

კლარა ფაჩუაშვილი

# სიტყვა მარად ცოცხლობს


მასსოვს წარსული,  
შევაფასე აწმყო,  
ვფიქრობ მომავალზე

ზუგდიდი 2019

**რედაქტორი: მარინა დამენია**

**სტილისტი, კორექტურა და კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: თეა მიშველია**

**აიწყო და დაკაბადონდა  
ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქციაში  
ტელ.: 557 56 71 16; 555 50 40 88**



## პატრიარქის ლოცვა

დედისა ნინოს, ეპიპასსა შინა ნათელღებულთ  
საქართველოვ, სამშობლოვ ჩემო! მრავალტანჯულთ,  
მარად მხნეთ, მარად ძლიერთ!.. სიტკბო, სიუნვე,  
სინარული არ დაგლეოდეს, შენს კანდელს ზეთი  
არასოდეს არ დაკლებოდეს, არასდროს დაგღამებოდეს,  
მზე სულ განათობდეს, სულ გათბობდეს და შენ ვენახო  
ჭეშმარიტო, დედაო ღვთისაჲ! შენ დაიფარე შენი  
წილხვედრი საქართველო, უკუნისამდე! ამინ.



საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი  
კლარა ფაჩუაშვილი.  
ნახატი გიზო მესხიასი



## დრო, ფაქტები, მოვლენები

რვა ათეული წელიწადი უკან მოვიტოვე და ჩემი წიგნის — „ქალი სუსტი — ქალი ძლიერის“ მეორე ნაწილის — „მახსოვს წარსული, შევაფასე აწმყო, ვფიქრობ მომავალზე“ შექმნას შევუდექი 2017 წლის დეკემბრიდან.

როგორ დავალაგო სათქმელი?! რა დამრჩა დაუნერვლი?! დავინყოთ ასე: მოკლედ განვიხილოთ განვლილი წლები — მეოცე საუკუნის დასასრულიდან ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე.

სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის ბოლო გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, მრავალი სახელმწიფოს ლიდერებსა და მოღვაწეებს გაუზიარა თავისი აზრი წიგნით — „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის“. ეს წიგნი „Демократия, гласность и перестройка“ არის განსჯა და ფიქრი გარდაქმნის საკითხზე. ამით ქვეყნის მეთაური დიალოგისთვის იწვევდა მსოფლიოს მოქალაქეებს.

რა არის გარდაქმნა, რატომ გვჭირდება იგი, რა არის მისი არსი და დანიშნულება, რას უარყოფს და რას ქმნის იგი, როგორ მიმდინარეობს და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო საზოგადოებას, რა წონა აქვს მას მსოფლიოს საქმეებში, ან ჩვენ როგორ გარდავქმნათ საქმიანობა ეკონომიკური და სოციალური ზრდის დასაჩქარებლად? ბუნებრივია, დადგა

ძიების პერიოდი, გაჩნდა ცხოველი ინტერესი, რომელსაც საბჭოთა გარდაქმნისადმი იჩენდნენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისა და აშშ-ს პრეზიდენტის რონალდ რეიგანის შეხვედრისას კრიტიკულად გაანალიზდა ოთხ-მოციანი წლების შუა ხანებში შექმნილი სიტუაცია და შემუშავებულ იქნა კურსი, რომელიც ეფუძნებოდა გარდაქმნასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. გარდაქმნამ მთელი საზოგადოება აამოძრავა და დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად გზათა ძიება დაიწყო...

როგორი იყო მსოფლიო მასშტაბის ობიექტური მოთხოვნები? კაცობრიობა აღმოჩნდა დიდი ამოცანების წინაშე: მისაღებია თუ არა ჩვენთვის ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონისტური პრეტენზიები? აქვს თუ არა უფლება სხვადასხვა ეროვნების ხალხს იცხოვროს თავისი ადათ-წესების, ჩვეულებებისა და გემოვნების მიხედვით?

ამერიკის შეერთებული შტატების წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში დიდი დაფასება აქვს. მიუხედავად თანამედროვე სამყაროში არსებული მრავალი წინააღმდეგობისა, ახლებური პოლიტიკური აზროვნება უნდა ჩამოვყალიბოთ და სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსის მშვიდობიანი შერწყმით ერთი ხომალდის (დედამიწის) მგზავრები უნდა გავერთიანდეთ, რათა ნოეს მეორე კიდობანი არ დაგვჭირდეს.

## საქართველოს დამოუკიდებლობა

„მეგობრებო, ჩვენ ობოლი ერი ვართ,  
არც ნათესავი გვყავს სადმე მსოფლიოში  
და არც დიასპორა გვაქვს;  
ანუ ქართველობა არსად არის გაბნეული,  
ჩვენ ჩვენი კერის მოსიყვარულე ერი ვართ.  
ჩვენ მხარის დამჭერი არავინა გვყავს —  
დავიხსომოთ ეს. დავიხსომოთ ისიც,  
რომ კაცობრიობის ისტორიაში  
არ არსებულა ხელისუფლება,  
რომელსაც უპატიებია ვინმესთვის განზრახვა —  
დაამხოს არსებული ხელისუფლება“.

ჭაბუა ამირაჯიბი,  
„სახალხო განათლება“, №19, 12. 04.1989 წელი.

მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა მძიმე ჭრილობა. 1989 წლის 9 აპრილს უმონყალოდ დაჩეხეს, მონამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის ათასობით მონაწილე მხოლოდ იმისთვის, რომ სამშობლოს ერთიანობა, თავისუფლება სურდათ და გულის წადილი საჯაროდ, ხმამაღლა, მსოფლიოს გასაგონად გამოხატეს. უახლესი ისტორია გაყალბებული აღმოჩნდა. ჩვენი ერთა კავშირი (სსრ კავშირი) ნებით კი არა, ძალით ყოფილა შეკონინებული, ჩვენი ერის ყოფისთვის დემოკრატია და სამართლიანობა კი არა, ტერორი, ძალადობა, განუკითხაობა, ხალხის ინტერესების უგულებელყოფა ყოფილა დამახასიათებელი.

ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომები რომ არ განმეორდეს, სახელმწიფოს უნდა განაგებდეს გონიერი და სამართლიანი ხელმძღვანელი.

„9 აპრილმა გადაწყვიტა საქართველოს ბედი და ასევე ხელი შეუწყო სსრ კავშირის დაშლის დაჩქარების პროცესს.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (სპიკერი: **ზვიად გამსახურდია**).

იმავე წლის 14 ნოემბერს საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ბატონი **ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია**. იმავე სესიაზე საქართველოს სს რესპუბლიკას ეწოდა — „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცებულ იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

დიდი პრობლემები შეიქმნა სამაჩაბლოში. იგი ყოფილი საქართველოს სსრ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას წარმოადგენდა 1922-1990 წლებში. 1989 წელს დანყებული ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოლქის სტატუსი გააუქმა (1990 წლის 10 დეკემბერი). რეგიონის აღსანიშნავად საქართველოს კონსტიტუციაში იხმარება ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში — „ცხინვალის რეგიონი“ ან „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)“. სეპარატისტულმა ძალებმა 1990 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სახელწოდებით — „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“,




1989 წლის 9 აპრილი, თბილისი



1989 წლის აპრილი, თბილისი

რამაც 1991-1992 წლებში რეგიონში საომარი მოქმედებები გამოიწვია. სამაჩაბლოში 1991 წლის 27 მარტს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა სამი ზუგდიდელი მამულიშვილი: **რაფავა ჯანო დურუს ძე**, დაბადებული 1950 წ. 10 სექტემბერს; **ბენდელიანი რომან შოთას ძე**, დაბადებული 1970 წ. 11 აპრილს; **ყურნუა პაატა ედიშერის ძე**, დაბადებული 1969 წ. 1 დეკემბერს.



**ჯანო რაფავა**



**პაატა ყურნუა**



**რომან ბენდელიანი**

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი. მისი ერთადერთი კითხვა იყო: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3%-მა. დადებითი პასუხი გასცა ქვეყნის საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა, მათ შორის — აფხაზებმა და ოსებმა. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, რომელსაც სხვებთან ერთად ათი ზუგდიდელი აწერს ხელს: **ზაურ ქობალია, ვალტერ შურ-**



ღია, გურამ აბსანძე, თენგიზ (გია) მამფორია, გურამ  
მაქაცარია, თამაზ ჟორჟოლიანი, გოგი ჩიქავა, ბონდო  
ჯიქია, ლეო ჩიქავა და ნოდარ ჭითანავა.



ზაურ ქობალია



გალტერ შურღია



გურამ აბსანძე



გია მამფორია



გურამ მაქაცარია



თამაზ ჟორჟოლიანი






გოგი ჩიქავა



ბონდო ჯიქია



ლეო ჩიქავა



ნოდარჭითაშვილი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს მოსახლეობის 87%-მა საყოველთაო და დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია. საქართველოს სახელმწი-



### საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია ავტონომიურ რესპუბლიკებში, რასაც მოჰყვა სამოქალაქო შეიარაღებული დაპირისპირება და სეპარატისტული რეჟიმის ჩამოყალიბება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში (შიდა ქართლში, სამაჩაბლოში).

საქართველო რეალური დამოუკიდებლობისაკენ სულ უფრო მტკიცედ მიაბიჯებდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება.

1991 წლის სექტემბერში რადიკალურმა ოპოზიციონერებმა დაიწყეს პროვოკაციული მიტინგები. 22 დეკემბრიდან ოპოზიციის მოქმედების შედეგად თბილისში დაიწყო პუტჩი, რაც დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამშობლოდან განდევნით.

ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების

დამხობით ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო საბჭო ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას შემადგენლობით. საბჭოს მეთაურობდა თენგიზ სიგუა. სწორედ იმ დღეს დაედო სათავე იმ განუკითხაობას, ნგრევასა და უბედურებას, რაც ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა. სამხედრო საბჭომ იმავე წლის მარტში მოსკოვიდან ჩამოიყვანა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე და ძალაუფლება გადასცა მას, როგორც „სახელმწიფო საბჭოს“ თავმჯდომარეს. ქვეყანაში დამყარდა ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი... საქართველო არ შეჰგუებია კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას. თბილისში საპროტესტო მიტინგების არაერთგზის ბარბაროსულად დარბევის შემდეგ ზუგდიდი გახდა საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ეპიცენტრი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა ვალტერ შურღაიამ ზუგდიდში შექმნა საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა უზენაესი საბჭოს წევრებს, სტუდენტებს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს.

1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ფოთში რუსული საზღვაო ჯარების სარდლის იგორ ბალტინის ჩამოყვანამ გადაწყვიტა კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების ბედი. სამეგრელოს მაღალმთიან რაიონში გახიზნული პრეზიდენტი, თავდადებული, უანგარო მამულიშვილი 1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მოღალატეებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე გამართლდა კონსტანტინე გამსახურდიას წინასწარმეტყველური ნათქვამი: „ჩემი შვილი ისეთ გზაზე შევაყენე, რომ თავისით სიკვდილი არ უწერია“ (წყარო: **მარინე დამენიას წიგნი „ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში“**).

## რომ ფრთებს უფროა ძლიერად ვშლიდეთ!

(9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას)

ახლოა ჟამი შუალამისა,  
ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება...  
კვდება სრულიად საქართველოსთვის,  
ლოცვით,  
გალობით  
ვინც ახლა კვდება!  
ახლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა,  
ინვიმებს სისხლი,  
დადგება ტბებად...  
კვდება სრულიად საქართველოსთვის,  
მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება!  
არა გაქრობა, —  
აღდგომა მკვდრეთით!  
არა დაღევა, —  
მრავლობა შვილთა,  
რომ... გამოვუხსლტეთ  
ისევ ყორანთა  
და ფრთებს უფრორე  
ძლიერად ვშლიდეთ!

ანა კალანდაძე

მოქალაქეთა კავშირი და  
ედუარდ შევარდნაძე,  
1992-2003 წლები



საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

პოლიტიკური მოვლენები დაგეგმილია შემდეგნაირად: საქართველო-აფხაზეთი-ოსეთი-რუსეთი და ჟენევის მოლაპარაკებები... შედეგი? — არასრულყოფილია. სატანებმა იმძლავრეს, მიმდინარეობს ქართველების გენოციდი... ტყუილების დიდოსტატი შევარდნაძეა. მისი ნათქვამი: — „აფხაზეთში ჩიტიც ვერ შემოფრინდება, დაბრუნდით

შინ“! — ბუდეშობილი ქართველების ნაწილმა დაიჯერა. უბედურებას გაქცეულები ჯოჯოხეთის გზას გაუყენეს და კოდორის ხეობაში ამოჟლიტეს, სახლები გაუძარცვეს, სახლ-კარი გადაუბუგეს, დედის ძუძუებს მტარვალი აბურთავებდა, ჩახოცეს შინაური ცხოველებიც კი... ინვოდა ნალკოტი — აფხაზეთი.

ვინც აფხაზეთიდან ადრე მოახერხა „ენგურის საზღვარზე“ გადარბენა, გადარჩა. მაღალჩინოსნებმა იმ წლების არეულ საქართველოში ჯერ ანტიკომუნისტურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ დაპირისპირებას, შიმშილობას, უშუქობას, უგაზობას, უწყლობას, ძარცვასა და ათასგვარ საფრთხეს სწრაფად გაარიდეს თავიანთი შვილები და საზღვარგარეთ გაგზავნეს ცოდნის მისაღებად. დაბრუნებულები კი ვარდების რევოლუციის წყალობით ხელისუფლების სათავეში მოექცნენ.

კანონიერი ქურდები და ქურდბაცაცები კალიასავით მოედვნენ ჩვენს ქალაქს. დღისით, მზისით, ავტომატით შეიარაღებული ლაწირაკები რას არ სჩადიოდნენ, რას არ კადრულობდნენ... საქქალაღდმრენვის დიდი სანარმოო დასახლების ბინებში დაკვეთით შედიოდნენ და სხვადასხვა ეროვნების მარტოხელებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ანიოკებდნენ, ასახიჩრებდნენ, კლავდნენ...

მხედრიონმა არაერთხელ დალაშქრა სამეგრელო, ზუგდიდი. გადანვეს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის 20 ოჯახი. დედის თვალწინ მოკლეს არაერთი ღირსეული მამულიშვილი, მათ შორის არქიტექტორი გოჩა ჯიქია. კაცის კვლა მათთვის გართობის საგანი იყო. სისხლის ცრემლებით გლოვობდნენ მშობლები დაღუპულ შვილებს, დამხმარე და შემწე არავინ ჩანდა...

„საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნის“ ინფორ-

მაციით ცნობილია, რომ 95 ზუგდიდელის სიცოცხლე შეენირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლას.

ხელისუფლებამ მოსახლეობას მოუწოდა, დანაზოგი ბანკში შეეტანა, ხოლო უახლოეს მომავალში გაორმაგებულად დაუბრუნდებოდა. ამის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობამ მთელი თანხა ბანკში შეიტანა, უფრო მეტიც, მომსწრე ვარ იმისა, რომ არაერთმა ადამიანმა გაყიდა ავტომანქანა, ბინა, სახლი, თანხა კი შემნახველ სალაროში შეინახა. იმასაც შევესწარი, ღამლამობით წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები როგორ ცვლიდნენ ეროვნულ ვალუტას უცხო ვალუტაზე. ამით თავიანთი დანაზოგები გაიათმაგეს, მოსახლეობა კი ბოლომდე გაძარცვეს.

ეროვნული ძალები 12 წლის განმავლობაში ებრძოდნენ ედუარდ შევარდნაძის ძალადობრივ რეჟიმს, რომლის 12-წლიანი მმართველობის პერიოდში აღინიშნა ადამიანის უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზების დაკანონება, მოსახლეობის გაძარცვა...“ (წყარო: **მარინე დამენიას ნიგნი „ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში“**).



## ათასობით მებრძოლისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მამულს შენიშული სიცოცხლე

ორ ძმას შორის გამართულმა დაუნდობელმა ომმა, შურმა, ლალატმა უბედურება და განსაცდელი მოუტანა ქართველ ერს. აფხაზეთის ომს შეეწირნენ საქართველოს სასიქადულო შვილები: **ჟიული შარტავა, ლორიკ მარშანია, იური (გიორგი) ანუა, რაულ ეშბა, ვოვა ვეკუა, ახალგაზრდა ნიჭიერი ჟურნალისტი გიორგი (გია) ჭანია...**

1992 წლის 3 სექტემბრისა და 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებას შეეწირა გაგრა, სოხუმი და მთლიანად საქართველოს ათასობით მებრძოლისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე.

გავრცელდა პროკლამაციები — „ყველა ქართველს სიკვდილი, აფხაზეთი ქართველების გარეშე“. აფხაზეთმა და რუსებმა გაამწარეს სამურზაყანოელი ხალხი.

ზუგდიდში ხშირად მოდიოდა ინფორმაციები გალის რაიონის სოფელ რეფში აფხაზი ექსტრემისტების მიერ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ისინი დაბანაკებულები იყვნენ „მესამე ჰესის“ შენობაში და ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას ართმევდნენ ყველაფერს, გადანვეს სახლები, მოკლეს უამრავი უდანაშაულო ადამიანი. ზუგდიდში მყოფი ახალგაზრდა დევნილთა ჯგუფი გაჭირვების ყამს ჩავიდა აფხაზეთში, მათ ხელმძღვანელობდა 60 წლის **ვალერი სისარულია**, რომელსაც თან ახლდა თავისი ორი ვაჟიშვილი — **ელგუჯა და თემური**.

საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დროს აფხაზეთის სნაიპერის ტყვია საბედისწერო აღმოჩნდა ელგუჯასთვის.

იგი ადგილზე დაილუპა. მისი ნეშტის გამოხსნა ვერ მოხერხდა... მამამისი ერთ დღეში მოტყდა. ძნელი აღმოჩნდა შვილის ნეშტის დატოვება მტრის ხელში...

გულსაკლავი, შემადრწუნებელი ტრაგედიები გრძელდებოდა სიდაში, ტყვარჩელში...

მიღებულ იქნა ზომები, ლტოლვილთა უფლებების დაცვის გარანტია თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დასაბრუნებლად, დახმარების აღმოსაჩენად, თუმცა ბარბაროსებმა — აფხაზებმა და რუსებმა — მუხანათურად მოგვატყუეს, გულუბრყვილო ხალხი ალყაში მოაქციეს და მასირებული შეტევა დაიწყეს განიარაღებულ ქალაქზე...


აფხაზეთის ომმა ნგრევა, ტანჯვა-წამება, უდიდესი მწუხარება და სულის ტკივილი მოგვიტანა. ეს ომი თავისი „კანონით“ უღირსია, უსამართლო და შეურაცხმყოფელი.

საქართველოში ინსპირირებული კონფლიქტების, ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, გენოციდის შედეგად დევნილი გახდა აფხაზეთის 300 ათასზე მეტი ადამიანი. ისინი მიმოიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ (წყარო: **ნიგნი „აფხაზეთის ლაბირინთები“, საქართველოს პარლამენტი, 1999 წ. გვ. 201**).


საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის აფხაზეთში გაჩაღებულ ომს შეეწირნენ ზუგდიდელები: **ბორის ხალვაში, დემურ ბულია, კობა გოგუა, ემა დარასელია, ვიტალი მირგატია** (საზოგადოება „ხსოვნის“ მიერ მონოდებული არასრული სია).



ვიტალი მირგატია



დემურ ბულია



ბორის ხალვაში



კობა გოგუა



ემა დარასელია

## ქართველთა და აფხაზთა ძმობა და მტრობა

აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები ისტორიის განმავლობაში ჰარმონიული თანაარსებობით ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. მათთვის საერთო იყო ჭირი და ლხინი. მახსენდება აფხაზი და ქართველი ერის ძმობის ზეიმი „რუხის ციხესთან“. ჩემთვის დაუვიწყარია შონიების საგვარეულოს შეყრა და დალოცვა; „ლიხნაშთობაზე“ სიტბოსა და პურმარილის მადლის გაყოფა; ჩემი ბიძაშვილის ყორა ფაჩუაშვილის დაკრძალვაზე სოსუმელი მეზობლების თანადგომა და გულისტკივილი; ჩემი მამიდაშვილის ყურნალის ბოჩია კირცხალიას გაცილება უკანასკნელ გზაზე და დიდი პატივისცემით მშობლიურ მიწას მიბარება...

„ქართველს არ ჰყავს უფრო ახლობელი, ვიდრე აფხაზია და აფხაზს არ ჰყავს უფრო ახლობელი, ვიდრე ქართველია“. 1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებულმა მოვლენებმა ისტორიულად ახლობელი და ნათესავი ხალხების, ასევე, სხვა ეროვნების მოსახლეობის ტრაგედია გამოიწვია. ერთად მცხოვრები ქართველები და აფხაზები ერთმანეთს დაუპირისპირა და მოსისხლე მტრებად აქცია... დღემდე ვერ ხერხდება ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა... ქართველებისა და აფხაზების შერიგება... ბუდემოშლილი ქართველები ვერ აშენებენ გავერანებულ და ცეცხლით გადაბუგულ მშობლიურ ეზო-ყურეს...

ისტორიის ფურცლებიდან ვერ ამოიშლება განვლილი წლების სასტიკი რეალობა, ომის საშინელება, მოძმე ერების განადგურება...

# თურმე პრეზიდენტს „არ სცოდნია“ ზუგდიდელი დევნილების გასაჭირი

ეპიზოდები ზუგდიდში განსახლებული  
დევნილების ლტოლვილთა და განსახლების  
მინისტრ ვალერი ვაშაკიძესთან შეხვედრიდან

5 თებერვალს სამხარეო ადმინისტრაციული შენობის წინ შეიკრიბნენ აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები. ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ თბილისიდან მათ მიერ გამოძახებულ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. ვის არ შეხვდებოდით აქ. 90 წელს მიტანებულ მოხუცებს, ინვალიდებს, შვილმკვდარ დედებს, აფხაზეთის ომში დასახიჩრებულ ახალგაზრდებს, ჩერნობილში ნამყოფებს, ობოლ ბავშვებს, ორსულ ქალებს. ისინი აქ საერთო სატკივარმა მოიყვანა და თავიანთ გასაჭირზე გვესაუბრებთან:

**როზა ეხვია** — გალი, ნაბაკევი: ვზრდი ორ ობოლ ბავშვს. მეუღლემ თავი ჩამოიხრჩო. გასული წლის 6 თვის დახმარება არ მიმიღია, რით ვიარსებო?

**სოფო ძიგუა** — გალი, დიხაზურგა: ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, შვილიც ავადმყოფი მყავს. ოჯახში ვშიმშილობთ. თურმე ამერიკას ჩვენთვის ხორბალი გამოუგზავნია და ზუგდიდის წისქვილკომბინატში აწყვია დასაფქვავად. საშველი არ დაადგა მის დაფქვას. ექვსი კაცის სამი თვის დახმარება არ მიმიღია.

**როზა ხურცილავა** — გალი, დიხაზურგა: მეუღლე აფხაზეტმა მომიკლეს, სახლ-კარი დამიწვეს, ოთხი შვილის დედა ვარ, ოჯახში ორსული რძალი მყავს, ექიმთან მისასვლელი ფული არ მაქვს. რვა კაცის შვიდი თვის თანხას ველოდები.

**გივი საბურზანია** — გალი, გუდავა: მინისტრ ვაშაკიძის ბრძანებით დაშვებული იყო ქსეროპასპორტებით ლტოლვილების რეგისტრაციაში გატარება. დღეისათვის კი მისი ბრძანება შეცვლილია და ქსეროპასპორტებით გაკეთებული საბუთები არ გამოიცვლება. რამდენად სამართლიანია მინისტრის ბრძანების გაუქმება, საკითხავია, რა ბედი ეწევა გაუქმებული საბუთებით დავალიანების დაფარვას?

**ვლადიმერ ქარდავა** — სოხუმი: ძმისშვილის მინდობილობით მის ფულს არ მაძლევენ. სააღრიცხვოში მითხრეს: საბუთების ძირი მოგვიტანეო. საერთოდ, აფხაზეთის ბანკის მუშაობით უკმაყოფილო ვართ. ზუსტ პასუხს არავინ გაღირსებს, დავრბივართ გზააბნეულები.

**ალიკო ვეკუა** — სოხუმი: მანანა ჩიტაია ჩვენი დახმარების თანხის „სტოროჟია“... ლტოლვილების იმ ნაწილს, ვინც ნახევარი დაუტოვა მას, დახმარების თანხა დეკემბრის თვის ჩათვლით აღებული აქვს. ვის ევალემა გაცემული თანხების გაკონტროლების საკითხი?

**მერი ფირცხალავა** — ტყვარჩელი: დახმარების იმედად დარჩა ჩემი ოჯახი. არსაიდან არ გვაქვს სარჩოს მიღების შესაძლებლობა, თანხა კი თვეობით არ გვაქვს აღებული. ვინ ინაწილებს გაჭირვებულის წილს, მარტო ჩიტაიამ როგორ შეძლო ამდენი თანხის მითვისება?

**პირიბე ფირცხელიანი** — ოჩამჩირე: ნუთუ სააღრიცხვო განყოფილებამ არ იცის რამდენი „მკვდარი სული“ წერია უწყისებში, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას ცოცხლებზე მეტს ლებულობენ?

**ჯუმბერ შონია** — სოხუმი: აფხაზეთიდან ჩერნობილში წარგზავნილი ბიჭები, სამის გარდა, ყველა დაიღუპა. ხომ ხედავთ, როგორ ვარ დასახიჩრებული. ჩემი ოჯახი ავტო-

ფარეხში ცხოვრობს. 6 თვის არანაირი დახმარება არ მიგვიღია, სანამდე ვითმინოთ?

**ზოია მიქაია** — გალი, სიდა: მეც ჩამწერე იმ ბლოკნოტში, იქნებ დამეხმაროთ. 22 წლის ინვალიდი ქალიშვილი მყავს. საერთოდ, არანაირი დახმარება არ მიმიღია ინვალიდის სახელზე. გასული წლის ორი თვის დახმარება მაქვს ასაღები. დანარჩენის აღება მოვასწარი სანახევროდ.

**ივანე ჟვანია, ომისა და შრომის ვეტერანი** — ოჩამჩირე: კომპაქტურ დასახლებაში და ოჯახებში მცხოვრები ლტოლვილი დევნილები სხვადასხვა უპირატესობით ღებულობენ ჰუმანიტარულ დახმარებას. ასევე, რაიონების მიხედვით ხდება სხვადასხვა დახმარების გაცემა უპირატესობით, რაც ლტოლვილების დაპირისპირებას იწვევს. ჩემს ოჯახს 7 თვის დახმარება ჯერ არ მიუღია.

**მამუკა ციკოლია** — გალი: სააღრიცხვო სექტორში გვაბნევენ, ხელოვნურად გვაბრკოლებენ, რომ საბუთები დროულად არ გავაფორმოთ. ოჯახის 2 წევრის, გასული წლის, თანხა აღებული მაქვს, დანარჩენი 4 კაცისა ვერ ავიღე. სააღრიცხვოში მეუბნებიან, სიაში აღარა ხარ, კომპიუტერმა ამოგაგდო... რატომ?

**ილიკო ცეკვაშვილი** — გალი: ოჯახში ფსიქიკურად დაავადებული შვილი მყავს და ერთი საათით ვერ ვტოვებ. არავითარი შესაძლებლობა არ გამაჩნია, რომ საავადმყოფოში მოვათავსო. 8 თვის თანხა არ ამიღია.

**ჭიკო მატუა** — გალი, ვარჩე: 91 წლის მოხუცი ვარ, ქერი არა მაქვს და კარი. ჩემთვის არავის სცალია. ვმათხოვრობ. არც კი ვიცი, სად გავათიო ღამე...

მოხუცის საუბარში ახალგაზრდა კაცი უხეშად ჩაერია: — შენ ყველაფერი გყავს, შვილებს არცხვენ, უსინდისო ხარ.



**ველოდი შონია** — ოჩამჩირე: ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. ვმონანილეობდი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მყავს ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი, მათგან ერთი ინვალიდია. რამდენიმეჯერ ვიყავი ჯანდაცვის სამინისტროში, დახმარება არსაიდან ჩანს.

**ლეილა კობახია** — გალი, ოქუმი: დადგენილი გრაფიკის მიხედვით ავადმყოფობის გამო საბუთები ვერ გამოვცვალე. ძველი ბარათებით მომცემენ დარჩენილი 7 თვის თანხას?

**ეკატერინე შონია** — გალი, ბარლები: მესამე შვილს ველოდები, სამშობიაროში ბევრი ფულია გადასახდელი, სანახევროდაც ვერ მოვახერხე დახმარების თანხის მიღება. მოლარე პირველად დამთანხმდა, მერე არ მენდო, ამდენ სირბილში ალბათ გზაში ვიმშობიარებ.

დევნილებთან საუბარი კვლავ გამიგრძელდებოდა, მაგრამ სტუმრები ჩამოვიდნენ. შეხვედრამ სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში გადაინაცვლა.

პრეზიდენტის რწმუნებულმა **ბონდო ჯიქიამ** შეხვედრის მონაწილეებს სტუმრები წარუდგინა.

**ვალერი ვაშაკიძე** (ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი), **თედო სააკაძე** (სახელმწიფო მინისტრის მოადგილე), **დალი გვაძაბია** (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), **მერაბ დგებუაძე** (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), **რეზო გერგედავა** (აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), **დათო ჯოჯუა**, **ნუგზარ ანთელავა**, **ამირან ქველიძე** და სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტარები **თენგიზ ჯგუშია** და **ოთარ ჭითანავა**.

სანამ სხდომა მუშაობას შეუდგებოდა, დარბაზში მყოფ-

ფმა ლტოლვილებმა ყვირილი და აყალმაყალი ატეხეს; იგინებოდნენ, იწყევლებოდნენ. ეგ ზალტირებული ჯგუფი რეპლიკებს ისროდა და სტუმრებს საშუალებას არ აძლევდა, მუშაობა დაენყოთ. ნესრიგის დამცველებმა, როგორც იქნა, მოახერხეს მათი დაშოშმინება. ყოველგვარი ნებართვის გარეშე ტრიბუნასთან გამომსვლელთა რიგი დადგა. გამომსვლელს სათქმელს არ აცლიდნენ, აზრს უწუნებდნენ. მასმედიის წარმომადგენლები გაფაციცებით აფიქსირებდნენ მოვლენებს...

გამომსვლელებმა ბოლმით აღნიშნეს ზუგდიდში ყველაზე დიდი პრობლემა: დახმარების თანხის თვეობით გაუცემლობა; სააღრიცხვო სექტორისა და აფხაზეთის ბანკის ფილიალის ქაოსური, გაუმართავი მუშაობა; ზუგდიდში ყოველნაირი ჰუმანიტარული დახმარება (კვების პროდუქტები, ტანსაცმელი) შემოდის, მაგრამ ის თავისი მისამართით არ იგზავნება; ლტოლვილები დროულად არ არიან ინფორმირებული, რომელი თვის დახმარების თანხას მიიღებენ; დევნილების „პრივილეგიურ“ ნაწილს უკვე აღებული აქვს მთელი წლის დახმარების თანხა, დანარჩენს კი 7-8 თვისა ც კი არა.

პრესაში პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ბანკის ფილიალში გადარიცხულია დახმარების თანხა ამა და ამ თვისა, ბანკის მესვეურები კი აცხადებენ, არ არის გადარიცხული; პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ახალშობილების დედებს ერთდროულად მიეცემოდა დახმარების თანხა 100 ლარის ოდენობით. ადგილზე აცხადებენ, რომ ამაზე არავითარი ბრძანება, საბუთი არ გავაჩნიაო. თითქოსდა ლტოლვილ დედებზე მომსახურება უფასოა, სინამდვილეში კი 400 ლარია საჭირო, სამშობი-

აროდან ჯანმრთელი ბავშვი რომ გამოიყვანო. სად არის აღრიცხული ინვალიდი ბავშვები, როგორ ეხმარებიან მათ?

დახმარების გაცემისას სალაროებში ქაოსი და განუკითხაობაა. მოლარეები ბანკის მმართველის შეხედულებებისამებრ ყოველთვე იცვლება. არ არის დადგენილი ცალკე რაიონების (ოჩამჩირე, სოხუმი...) სალაროების ადგილსამყოფელი. ლტოლვილები წაღმა-უკუღმა დარბიან სალაროებში, ბანკის ფილიალში ვერაფერს ვერ იკითხავს ადამიანი. თანამშრომლები ჩამსხვრეული ფანჯრებიდან ქურდულად იმზირებიან. თუ მეკარემ წყალობით გადმოგვხედა, შეიძლება მოხვდე ამ რკინისგისოსებიან კაბინეტებში, მაგრამ უშედეგოდ. მმართველს აქ საერთოდ ვერ ნახავ... მოლარეების უმეტესობა ატყუებს, აბუჩად იგდებს ისედაც გამწარებულ, გადაღლილ და მოშიებულ ადამიანებს. დილის 7 საათიდან სალამოს 8 საათამდე დგანან ქანცგანყვეტილი ავადმყოფები, ბავშვიანი ქალები და ელოდებიან, როდის დაიწყება დაპირებული თანხის გაცემა. შეღამებისას კი იმედგაცრუებულები იშლებიან. დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევა: რომ ღამის თორმეტი საათიდან ღამის ორ საათამდე ხდებოდა დახმარების თანხის გაცემა იმ პირებზე, რომლებმაც „პატივი“ სცეს მოლარეს. იყო სავალალო შემთხვევაც, ქურდბაცაცები აედევნენ ქალებს და წაართვეს სიმწრით აღებული თანხა. ასევე, რკინიგზის სადგურის გადასასვლელთან სცემეს კაცს და წაართვეს ფული.

ლტოლვილების პრობლემების მოსაგვარებლად ჩამოსულ სტუმრებთან შეხვედრისას დარბაზიდან ნასროლი რეპლიკებით: „ხალხმა იცის, ვინ არის დამნაშავე“, „მერამ-

დენედ გვატყუებენ დაპირებებით“! „არ გვინდა თქვენი დახმარების მიღება, დაგვაბრუნეთ ჩვენს გადამწვარ და აოხრებულ აფხაზეთში“, „ვინ დატოვა მანანა ჩიტაია ბანკში“?! — სიტყვას აწყვეტინებდნენ გამომსვლელებს.

შეხვედრაზე უამრავი შეკითხვა შემოვიდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ლონდერ ცაავას**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **თამაზ ნადარეიშვილის** სახელზე. ბატონმა ვალერი ვაშაკიძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა: აქ შემოსულმა კითხვებმა უკვე გამარკვია, რა მდგომარეობაა ზუგდიდში. ასეთი შეკითხვები სენაკში არ ყოფილა. ამჟამად მე არ შემიძლია პასუხი გავცე ამ კითხვებს. ძალიან გთხოვთ, დღეს 5 თებერვალია და 5 მარტამდე მაცალოთ, მოველაპარაკები სათანადო სტრუქტურებს და დასმულ პრობლემებს მოვაგვარებ. პრეზიდენტმაც არ იცის, რომ ასე ცუდი მდგომარეობაა ზუგდიდში. დავალიანების დასაფარავად 80 მილიონი ლარია გამოყოფილი, საქმეს ეშველება, ოღონდ მადროვეთ... ლტოლვილებმა ტრიბუნაზე მდგომ ვაშაკიძეს სიტყვის გაგრძელების საშუალება არ მისცეს. აირია დარბაზი.

შეხვედრის მონაწილეებმა მუშაობა კვლავ განაახლეს. ბატონმა თედო სააკაძემ აღუთქვა ლტოლვილებს, მოკლე ხანში სერიოზული დელეგაცია ჩამოვა აქ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ლტოლვილებმა მოითხოვეს, აფხაზეთის ხელისუფლებას რეზიდენცია ჰქონდეს ზუგდიდში, რადგანაც ლტოლვილების დიდი ნაწილი სამეგრელოშია დაბინავებული. ხელმძღვანელობა შორიდან ვერ არეგულირებს არსებულ სიტუაციას.

შეხვედრისას მწვავედ დაისვა საკითხი: გაუქმდეს აფხ-

აზეთის ბანკის ფილიალი, გადახალისდეს კადრები და ლტოლვილებს მოემსახუროს ზუგდიდში არსებული ბანკი საკუთარი კადრებით.

გამომსვლელები ემოციურად გადმოსცემდნენ სატკივარს: რატომ არიან ლტოლვილები უკიდურესად ღარიბ-ღატაკები და ჩინოვნიკები გამდიდრებულ-გაზულუქებულები, რომელთა ოჯახებს არ აკლიათ მდიდრულად მოწყობილი ბინები, სრა-სასახლეები, განსაკუთრებული სასმელ-საჭმელი, ძვირფასეულობა და უცხოეთში აგარაკები... ვის აძლევს ხელს, რომ დევნილები არ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას, მათხოვრობდნენ, დანაშაულს სჩადიოდნენ, ქართველი ქალი თურქეთში სამარცხვინო საქმეში იყოს ჩაბმული, ვის ხარჯზე გამდიდრდნენ გადიდ-კაცებული პირები?!

ლტოლვილების ხატოვანი თქმით: „შუბი ხალთაში არ დაიმალება“. არავის შერჩება სისხლით ნაშოვნი ფული, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, საბანკო ოპერაციები გამჭვირვალე გახდება.

მიუხედავად იმისა, დარბაზში მყოფი ხალხი უარყოფითი ემოციებით იყო დამუხტული, მაინც გაიჟღერა რამდენიმე სამადლობელმა სიტყვამ, რომლებიც დევნილებმა პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას მისამართით წარმოთქვეს (წყარო: **გაზეთი „ზუგდიდი“**).

## ივანე მოროხია



ივანე მოროხია

ჩვენს ქალაქში დინჯად დააბიჯებს ომისა და შრომის ვეტერანი — აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს ხელმძღვანელი, მრავალშვილიანი **ივანე ბუჯგას ძე მოროხია**. მისი მშობლიური კუთხე გალის რაიონი სოფელი რეფი — შეშელეთია. თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც, 1942 წლის 7 ივლისს, საექიმო კომისიის გაუვლელად გაჰყვა მეომრების ჯგუფს, რომლებსაც ჩვენი ჯარებისათვის

ავადხარაში უნდა მიეწოდებინათ სურსათ-სანოვაგე, ტყვია-წამლები. გერმანელმა ფაშისტებმა კავკასიის ქედი გადმოლახეს და მოიწვედნენ სოხუმის ასაღებად. ავადხარაში დიდი შეტაკება მოხდა გერმანელებთან და მათი სვლა მარცხით დამთავრდა.

ივანე მოროხია 1942 წელს გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იბრძოდა აფხაზეთში, კრასნოდარის მხარეში — პიატიგორსკში. 1944 წლის თებერვალში მძიმედ დაიჭრა და სოხუმის საავადმყოფოში გადმოიყვანეს. იბღლიანი ჯარისკაცი სიკვდილს გადაურჩა და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება, დაოჯახდა. ზნეკეთილმა მეუღლემ, ნუცა ბიქტორის ასულმა გეგიამ, შვიდი შვილი აჩუქა ომგადახდილ ვაჟკაცს. ღირსეულად აღზარდეს ორი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი. ყველა იყო ნიჭიერი, კაცთმოყ-



ედემი და ფრიდონ მოროხიები

ვარე და საქმიანი ახალგაზრდა. მათ უმაღლესი განათლება მიიღეს და თავიანთი პროფესიით შრომობდნენ აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში.

„1990 წლის 1 ოქტომბერს სრულიად მოულოდნელად ჩემი ორი ვაჟიშვილი — ედემი და ფრიდონ მოროხიები დაუდგენელმა პირებმა მომიკლეს. ახლაც არ ვიცი, ვინ გამოასალმა ისინი სიცოცხლეს — აფხაზმა თუ ქართველმა. მათი მკვლელობის თაობაზე პროკურატურას ძიება არ ჩაუტარებია, დაზარალებული მამა არ დაუკითხავს...“ — ასე დაასრულა ჩემთან საუბარი ცრემლმორეულმა მოხუცმა.



## ერტიანი ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი, 2003-2012 წლები



საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

1992-2003 წლებში პოლიტიკური პარტია „მოქალაქეთა კავშირი“ ედუარდ შევარდნაძის ძალაუფლების საყრდენი, ხოლო ზურაბ ჟვანია მისი მეხოტბე იყო, თუმცა 2003 წლისათვის პოზიციას იცვლის და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერია.

ახალგაზრდა რეფორმატორები: **ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე** გლობალიზაციის დასამკვიდრებლად იბრძვიან. ამოტივტივდა უმნიფარი ახალგაზრდების ნაწილი და „სოროსის“ ფონდით დაფინანსებულებმა ხელისუფლების დამხობა მოითხოვეს. ი.

ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მხცოვან, ღირსეულ ადამიანებს მიადგნენ და „კმარა“ შესძახეს. ეს ცინიზმის არნახული გამოხატულება გახლდათ...

... 2003 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე მ. სააკაშვილმა თავისი პოზიცია დააფიქსირა ე. შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების მიმართ:

„...საქართველოს ბევრად უფრო გონიერი დამპყრობლები ახსოვს, ვიდრე შევარდნაძეა... საქართველომ ყველაფერს გაუძლო, ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ! ოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ ჩვენ ერთად გავაცილებთ თანამედროვე მსოფლიოს დიქტატორს, ედუარდ შევარდნაძეს“ (წყარო: **ჟურნალი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**).

მიხეილ სააკაშვილმა წინასაარჩევნოდ ხალხს სამოქმედო პროგრამა შესთავაზა და თამამად განაცხადა: „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვების შემთხვევაში გააორმაგებდა პენსიებს ნამსახურობისა და სტაჟის მიხედვით, დაანესებდა ნამატებს, საარსებო მინიმუმამდე გაზრდიდა სახელფასო ანაზღაურებას, მიწის გადასახადებისგან გაათავისუფლებდა იმ გლეხს, ვისაც ოც ჰექტარზე ნაკლები მიწა ჰქონდა, მცირე ბიზნესის მქონეს ორი წლით გაათავისუფლებდა ყოველწლიური გადასახადისაგან და ა.შ.

პოლიტიკური და კონსტიტუციური კრიზისის ფონზე შევარდნაძე მშვიდად გამოიყურებოდა და თითქმის ყურადღებას არ აქცევდა სააკაშვილის მიერ წამოყენებულ პროგრამას „საქართველო შევარდნაძის გარეშე“!

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხალხს საკუთარი პოზიციისა და ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება არ მისცეს, ხოლო, ვინც ეს ნება გამოხატა, აბუჩად აიგდეს.

მიხეილ სააკაშვილმა თავისუფლების მოედანზე სატელევიზიო ეთერით მიმართა ყველა ოპოზიციურ პარტიას და გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მის ჯგუფს ჯუმბერ პატიაშვილის პოლიტიკური ბლოკი „ერთობა“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატები“ შეუერთდა. ამ მიმართვას არ გამოხმაურებიან „ახალი მემარჯვენეები“, „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ლეიბორისტული პარტია“. თავი წამოყვეს პარტიებმა: „ახლებმა“, „ბლოკი ახალი საქართველოსათვის“ და „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“.

აირია მონასტერი. მთელ საქართველოში იმართება მიტინგები დევიზით: „საქართველო შევარდნაძის გარეშე“; შევარდნაძის ხელისუფლება აღარ იმსახურებს მხარდაჭერას; „არ გაბედოს სააკაშვილმა ზუგდიდში შემოსვლა!“ — განაცხადეს შევარდნაძის მხარდამჭერებმა. სააკაშვილი მაინც ჩამოვიდა ზუგდიდში. მიტინგის დაწყებამდე შეიარაღებული პროვოკაციული ექსცესი მოხდა. „ნაციონალური მოძრაობის“ მიტინგის მომლოდინე ხალხში შეიარაღებული ნიღბიანი შეიჭრა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით სროლა ატეხა. სროლის შედეგად ერთი ქალბატონი დაიჭრა, ხალხი გაოგნებული გარბოდა. სად იყო ამ დროს „უშიშარი“ პოლიცია? რას ერჩოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას? რატომ ვერ შეეძელით ბანდიტის დაკავება?

პოლიციის სამმართველოს ეზოს კარი ჩაიკეტა. პოლიციელები „ჭუჭრუტანიდან“ უცქერდნენ ნიღბიანი თავდამსხმელების მიერ ხალხის აწიოკებას. ცოტა ხანში პოლიციელები თანდათანობით გამოვიდნენ „თავშესაფრიდან“.

დაიწყო მასობრივი გამოსვლები. ათასეულობით ადამიანი შეიკრიბა მთავრობის სასახლის წინ. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ირწმუნეს თავიანთი ძალა და თბი-

ლისში აქციის მონაწილეების უწყვეტ ნაკადს შეუერთდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ხალხი ბჭობდა მწვავე საკითხებზე: იწყება თუ არა ტერორი ჩვენს წინააღმდეგ; სად მიდის შევარდნაძის ნაფეხურები; ვინ დააფინანსებს ტერორისტთა „შრომას“; კარს მომდგარი ქაოსით კრიმინალები ხომ არ ისარგებლებენ; რა საქმიანობას სჩადიან შეიარაღებული ფორმირებები; როგორ მიიღებს ხალხი კუთვნილ ხელფასს; რა აზრისა ხართ ასლან აბაშიძის ვოიაჟებზე (შეხვედრები სომხეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში); რას გვიქადის პუტინთან მოლაპარაკებები; შევარდნაძე ნებისმიერ პროვოკაციაზე ხომ არ წავა; როგორ ავიცილოთ სამოქალაქო ომი; რას გეგმავს ოპოზიცია; — „ჩვენ მშვიდობიანი მეთოდით მივალწვეთ ძალიან სერიოზულ შედეგს“... — განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2003 წ. 17-23 ნოემბერი).**

ქართველი ერი თავისუფლებისაკენ საუკუნეობრივ ლტოლვაში ყოველთვის მზად არის, ხოლო პოლიტიკური ელიტა ისეთივე ნაწილია ხალხისა, როგორც უბრალო მოქალაქეები... (წყარო: **„გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის“, მიხეილ სააკაშვილი. 2001 წ.**)

ედუარდ შევარდნაძე უკანასკნელ წუთებამდე ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებას... თუმცა, სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა და განაცხადა: „სააკაშვილი დაკმაყოფილებულია და რევოლუცია არ მოხდება“. მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია კრწანისის რეზიდენციაში შევარდნაძეს მოელაპარაკნენ და „შინ“ მშვიდობიანად გაისტუმრეს. შევარდნაძის გადადგომას „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილ-

მა 2004 წ. 4 იანვარს გელათის ეკლესიაში, დავით აღმაშენებლის საფლავზე, ღვთისა და ერის წინაშე ფიცი დადო, რომ კეთილსინდისიერად აღასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას, იზრუნებდა თავისი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობაზე, დაიცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ქართველი ერი მას დიდი იმედით შეხვდა.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ განახორციელა პროგრამა „მეტი სარგებელი ხალხს“, რომელსაც ხელს აწერენ: მ. სააკაშვილი და ი. მერაბიშვილი.

პროგრამის სამოქმედო გეგმა იყო: ამუშავდება დასაქმების სამინისტრო; დარეგისტრირდება თითოეული უმუშევარი; სამუშაოს ყველა მაძიებელს ექნება სახელმწიფო დაფინანსებით გადამზადების და ახალი კვალიფიკაციის მიღების საშუალება, მათ შორის, ახალ ტექნიკურ სასწავლებლებსა და გადამზადების ცენტრებში; ჯანდაცვა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება: ჯანდაცვის დაზღვევა ექნება ყველას; ყველა სოფელში მოგვარდება წყლის, გაზისა და გზების პრობლემები; გაიხსნება სოფლის მეურნეობის 500-ზე მეტი ახალი სანარმო; მოირწყება 9 000 ჰექტარი მიწა; მოხდება სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია; სასოფლო სამეურნეო მიწის 90% იქნება დამუშავებული; ყველა ოჯახი მიიღებს 1000-ლარიან ვაუჩერს, რითაც დაიფარება კომუნალური ხარჯები; სახელმწიფო გაიღებს მედიკამენტების, სასკოლო სახელმძღვანელოების, სანვავისა და სასუქის ხარჯებს.

როგორ შესრულდა აღნიშნული პროგრამა?

გადავშალოთ ილუსტრირებული ჟურნალი „**ახალი საქართველო**“ (ახალი საქართველოს აღდგენილი დიდება).

1. ძველ თბილისს ახალი სიცოცხლე შემატა რიყის პარკის, მშვიდობის ხიდის, თავისუფლების მოედნის, მეიდანის

განახლებამ. აშენდა გამჭვირვალე სახელმწიფო დაწესებულებები: იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავრობის სახლი; თბილისის პროკურატურა; სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“; საქართველოს ბანკი; ლიბერთი ბანკი და ა.შ.

სახე იცვალა ქუთაისმა. განახლდა ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი: განახლდა ბაგრატიის ტაძარი, რეაბილიტირებულ იქნა მუსხელიშვილის სახელობის თეატრი, კეთილმოეწყო თეთრი ხიდი, სპორტული კომპლექსები...

სულ სხვა ეშხი და სილამაზე შეემატა ზღვისპირა უძველეს ქალაქ ბათუმს. განახლებულ იქნა სინაგოგა, ზეცად ამალდა ქართული ანბანი — საქართველოს გენეტიკური კოდი. სკულპტურა „ალი და ნინო“ საოცარ სილამაზეს აფრქვევს ღამის წყვილიაღში.

განახლდა საქართველოს არაერთი რაიონი: სიღნაღი, მცხეთა, ბორჯომი, ფოთი. აშენდა და რეაბილიტაცია ჩატარდა 3000 კმ-ზე მეტ საავტომობილო გზას, 400 ხიდსა და 10 გვირაბს. დაიგეგმა სტეფანწმინდისა და მესტიის მიმართულებით გვირაბის მშენებლობა.

დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლები აშენდა — თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში.

ზღვისპირა სოფელმა ანაკლიამ მთლიანად სახე იცვალა. ზღვის სანაპირო მარადმწვანე პალმების ხეივანებით დამშვენდა, აშენდა ულამაზესი სასტუმროები: „ოქროს სანმისი“, „ანაკლია“; მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელი სახლი „პატრიოტთა ბანაკი“; მდინარე ენგურზე აიგო ხიდი განმუხურისა და ანაკლიის დასაკავშირებლად, გაყვანილ იქნა ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლენტეხის საავტომობილო გზა.

# **„დემოკრატიული“ ტირანიის 9 წელიწადი**

## **„მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფიველი ცაითა“**

ეკლესიას ებრძვიან, მართლმადიდებლობას მიწასთან ასწორებენ, ქრისტიანობას აკნინებენ...

1991 წლიდან, სსრ კავშირის დანგრევის შემდეგ, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაიწყო აღორძინება, ხოლო 2004 წლიდან მასზე გააფთრებული შეტევა განახორციელეს. მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთ წმინდა ადგილად ითვლება საქართველო, რადგან ამ პატარა მხარეში აშენებულია 1400-მდე მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერი, მაგრამ დღეს, რაც კი ქრისტიანობასთან ასოცირდება, მიწასთანაა გასწორებული და ეს გააკეთა „ნატომ“. მართლმადიდებლობაზე შეტევა დაიწყო „თავისუფლების ინსტიტუტმა“ 2004 წელს, რასაც საგანგებო რელიგიური თათბირები მიუძღვნეს. მისი მიზანი იყო, პირველ არხს კომპლექსურად გაეშუქებინა სხვადასხვა გადაცემები საქართველოს საპატრიარქოსა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, საინფორმაციო გამოშვება „მოამბით“ დაწყებული და დოკუმენტური ფილმების ციკლით დამთავრებული. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ პიარსტრატეგია რამდენიმე გადაცემაში განახორციელა, თუმცა „გეგმა“ ჩავარდა.

„ვარდების რევოლუციიდან“ სულ მცირე ხანში საქართველოს ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ რამდენიმე სადამსჯელო ოპერაცია განახორციელა. ექსპერტთა შე-

ფასებით, ამ ოპერაციის მიზანი საზოგადოების ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი ინსტიტუტის დისკრედიტაციისა და ხალხში მასობრივი შიშის დანერგვის გარდა, მაღალჩინოსანთა ბიზნესინტერესებიც იყო.

„არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს, ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს, ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ, ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“ (ლუკა 16.13).

... საღამოა. ეკლესიის გარშემო შემოჯარულ ხალხს სპეცფორმებში ჩაცმულთა ხმამაღალი შეძახილები და უნმანური გინება ფრაგმენტულად გადაუვლის ხოლმე. ხალხი ღელავს, საიდანლაც ჩნდება დიდი ჯავშანმანქანა, რომელიც მთელი სისწრაფით მიემართება პირდაპირ ეკლესიის კარისკენ, კარი ჩარაზულია, ხალხი ძლივს ასწრებს გაეცალოს აღმუვლებულ ურჩხულს... პირჯვარს იწერენ, ხმამაღლა ლოცულობენ — ღმერთს უგუნურთა შეწყალებას შესთხოვენ. ერთი, ორი, სამი... და კარი გაჭირვებით, მაგრამ მაინც იხსნება — დიდი ინერციით წამოსული ლითონის მასის დარტყმას ვერ უძლებს. ერთმანეთში არეული კივილი, ლოცვა, სასონარკვეთილი შეძახილები და გინება ბგერათა უცნაურ ნაზავს ქმნის. უცებ ირგვლივ ყოველივე ირინდება — ტაძრიდან მოათრევენ მუხლზე დაცემულ, ანაფორიან ადამიანს, მლოცველთა უმწეოდ აღმართული ხელები თან მოჰყვება მოძღვარს. ნიღბიანებს ბორკილდადებული მოძღვარი გზამდე მიჰყავთ, გამვლელ მანქანას აჩერებენ, მგზავრებს გარეთ ყრიან, პატიმარი აჰყავთ და მძღოლს კონკრეტული მიმართულებით წასვლის ბრძანებას აძლევენ. მძღოლი იძულებულია კბილებამდე შეიარაღებულ ნიღბიანებს დაემორჩილოს. უკან დაბრუნებულს მანქანა გზაში უფუჭდება და მთელი თვის განმავლობაში უმუშევარი





რჩება. ნანობს, „ისინი“ რომ არ წამეყვანა, არაფერი მომივიდოდაო. მოგვიანებით ხალხი იგებს, რომ სატვირთოს მძღოლი, რომელმაც ეკლესიის კარი შეანგრია, უცნაური უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება...

ეს არ გეგონოთ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდის შესახებ გადაღებული ფილმის სცენარი, ეს 2004 წლის 12 მარტს მომხდარი ნამდვილი ამბავია.

გლდანის ეკლესიის დარბევის ამსახველ კადრებში კარგად ჩანან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადგიშვილი, დათა ახალაია, ვასილ სანოძე, ოლეგ მელნიკოვი და სხვები.

„სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ



ვარ, მათ შორის“ (მათე 18, 20), — ბრძანებს იესო და ამით შეგვახსენებს, რომ ტაძრის დანგრევა და მასზე ვანდალური თავდასხმა, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი ნაკურთხი, უფლის წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულია, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ხალხი. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ისინი, ვისაც ამ ხალხზე ზრუნვის დიდი ტვირთი ჰქონდათ აკიდებული და ფორმალურად ღვთის სამსახურში მყოფნი, მამონას ბნელ საქმეთა აღმსრულებელნი იყვნენ. მართლმადიდებელი ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც მღვდელს ქრისტიანობის დაცვისთვის, თუნდაც თავისებური ფორმით, უკანასკნელი ყაჩაღის კვალიფიკაციას აძლევს, ვერ იქნება ხალხის რჩეული, რამეთუ ხალხი, მათგან განსხვავებით, ღვთის სიტყვის დამცველი და მოშიშია.

თუმცა რომელ შიშზეა საუბარი, როცა გლობალიზებუ-

ლი მსოფლიოს კოსმოპოლიტური ხელოვნური მარგალიტები, რომლებიც თავის დროზე სწორედ საქართველოს ხელისუფლებაში გამოიყვანეს, მოგვიანებით „ნაციონალურ“ უბედურებად ექცა ქვეყანას. ამიტომაც მოხდა, რომ ენის შემბლაღავებსა და ფესვებდაკარგულებს ეროვნების უკანასკნელ ბურჯს, სარწმუნოებასაც საკუთარი ხელით რომ ანგრევიანებდნენ. გიორგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია და ბევრი სხვა ის ადამიანები არიან, რომლებმაც გლდანის ეკლესიაზე განხორციელებული ვანდალური აქცია დაგეგმეს და „საშიში ბოროტმოქმედის“ დაკავების საბაბით, ღვთის სახლი დაანგრეს.

სამწუხაროდ, ეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეული ერთადერთი ეკლესია როდია. 2007 წლის 18 მაისს აჭარაში, ფერიის მთაზე, მშენებარე ტაძრის დანგრევის ბრძანება გაიცა. ნგრევის ოპერაცია გამთენიისას განხორციელდა — დილით იქ მისულ მრევლს ეკლესიის ადგილას მხოლოდ ნანგრევები დახვდა. ეკლესიის დანგრევამდე ცოტა ხნით ადრე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე პრეზიდენტ სააკაშვილის სახელის გამოყენებით ცდილობდა დაერწმუნებინა ბათუმ-ქობულეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი, შეეჩერებინა მშენებლობა და ტერიტორია სახელმწიფოსთვის დაეთმო. „ფერიის მთიდან ბათუმი ხელისგულივით მოჩანს. საუბარია ფუნიკულიორისა და გასართობი ცენტრის მოწყობაზე. ჩვენი ინფორმაციით, ეს ადგილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ინტერესებში შედის“, — **საქართველოს კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური, 2007 წელი.**

„... ეკლესიის დანგრევის ბრძანება გასცა პრეზიდენტმა. სააკაშვილს ფერიის მთაზე გასართობი კომპლექსის აშენება სურდა, შესაბამისად, მას ხელს უშლიდა იქ მშენებარე

ეკლესია. ეკლესიის დანგრევა სააკაშვილის კისერზეა!“ — **„ქართული დასის“ ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი ჯონდი ბალათურია.**

ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევის საკითხი ადამიანის უფლებების დამცველი არაერთი ორგანიზაციის ანგარიშშიც მოხვდა. ეს იყო დანაშაული, რომელიც გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს, — **ასეთია ქართული საზოგადოების შეფასება და მოლოდინი.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ეკლესიის შეურაცხყოფის კიდევ ერთი შემთხვევა 2011 წლის 11 მაისს ზუგდიდში მოხდა, როცა პოლიციელებმა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაარბიეს. განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულმა სამართალდამცავებმა ყოველგვარ მორალურ თუ ადამიანურ ზღვარს გადააბიჯეს და ის მანქანაც დაცხრილეს, რომელშიც ეკლესიის წინამძღვარი მამა ანდრია ლიპარტია იჯდა. მღვდელმსახური სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თვითმხილველების განცხადებით, სამართალდამცავები ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედებას განიცდიდნენ და ცეცხლსასროლი იარაღით ხელში გარშემომყოფთ მოკვლით ემუქრებოდნენ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ყველაფრის ჩამდენები დღემდე ვერ აანალიზებენ, რომ საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული უზარმაზარი უარყოფითი მუხტი ხალხისგან თვითგანკვეთის საშინელი სასჯელია და სხვა არაფერი. ადამიანები, რომლებიც კანონის უზენაესობას მთელი სიმკაცრით მხოლოდ იმ თორმეტი წლის ბიჭზე აღასრულებდნენ, შიმშილის გამო მაღაზიიდან ფუნთუშა რომ მოიპარა („ნულოვანი ტოლერანტობა დანაშაულს, ყველანი ციხეში!!!“) ან იმაზე, ავადმყოფი დედისთვის წამლის საყიდელი ფულისთვის ლითონი ჯართად რომ

ჩააბარა, თვალს კი ხუჭავდნენ ამ დამშეული ხალხის ხარჯზე უკანონოდ გამდიდრებული საკუთარი გარემოცვის დანაშაულებრივ ქმედებებზე — მკვლევლობებზე, ადამიანთა ნამებაზე, გაუპატიურებაზე. უკვე დასჯილები არიან — „...ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თავიანთი თვალები, რომ არ დაინახონ თვალით, და არ ისმინონ ყურით, და არ გაიგონ გულით, და არ მოექცნენ, რათა არ განვკურნო ისინი“ (მათე 13.15). დიახ, ეს არის ნამდვილი სასჯელი და არა ის, რასაც ისინი სხვათა მიმართ აღასრულებდნენ, და რის აღსრულებასაც დღეს საზოგადოება მათ მიმართ მოითხოვს.

ეკლესიაში პირჯვრის ფარისევლური გარდასახვა და პატრიარქის წინ მუხლის ჩოქებზე დაცემა არ არის საკმარისი იმისათვის, შენზე მონდობილი ერი ჭეშმარიტების ტაძრამდე მიიყვანო. საკუთარი ძალების დემონსტრირების ის მანიაკალური, უხეში და ძალმომრეობითი მეთოდები კი, რასაც ხელისუფლება საკუთარი ხალხის მიმართ იყენებდა, ვერასოდეს დანერგავს იმ შიშს, რომელიც „სიყვარულს შეიქმს“ ხოლმე.

ბიბლიაზე არაერთგზის ფიცდადებულმა ყოფილმა ხელისუფლებამ სპეცეფექტებით შექმნილ ილუზორულ ქვეყანაში 9 წელი გვაცხოვრა. ასეთ ქვეყანას, როგორც წესი, ხელისუფლებაც ილუზორული ჰყავს. ილუზიები კი, სამწუხაროდ, ადრე თუ გვიან, ქრება... გამოფხიზლება კი მძიმე და ძალზე მტკივნეულია ხოლმე. „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა“ (მარკოზი 1.15), — გვაფრთხილებს უფალი“ (**გაზეთი „მხილება“, 18.01.2015 წ.**).

## 2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენები



2007 წლის 7 ნოემბერი სამართალდამცავების მიერ პარლამენტის წინ გაშლილი კარვების დარბევით დაიწყო. ხელისუფლებამ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა.

განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ოპოზიციონერებმა საქართველოს პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს მომიტინგეების მხარდაჭერისკენ მოუწოდეს, მაგრამ ამაოდ.

მიტინგზე იმ დროისათვის 30-ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმელებმა მომიტინგეების დასაშლელად, ხელკეტებისა და რეზინის ტყვიების გარდა, მხუთავი ცრემლმდენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. მხუთავი და ცრემლმდენი გაზი რუსთაველის გამზირსა და მის მიმდებარე ქუჩე-

ბზე და თეატრალურ ინსტიტუტში იქნა გაშვებული, რის გამოც, მომიტინგეების გარდა, ჟურნალისტები, სტუდენტები და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები მოქალაქეებიც მოინამლნენ. აქციაზე სასტიკად სცემეს გაერთიანებული ოპოზიციის რამდენიმე ლიდერსაც. ისინი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ელიავას“ ბაზრობაზე სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა გაერთიანებული ოპოზიციის წევრი, „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი ძალის გამოყენებით მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. იგი მოგვიანებით, ნაცემ მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

რუსთაველზე დარბეული მომიტინგეები და დედაქალაქის მცხოვრებლები მოგვიანებით რიყეზე შეიკრიბნენ, სადაც მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. სპეცრაზმელებმა ხალხი რიყეზეც დაარბიეს. პროტესტის ნიშნად თბილისის მეტროპოლიტენმა მუშაობა შეწყვიტა.

საპარლამენტო უმრავლესობის მაშინდელი ერთ-ერთი ლიდერის ნიკა რურუას შეფასებით, „მიტინგის დაშლა იმ მეთოდებით განხორციელდა, რომელსაც ყველა ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფო იყენებს. კანონის აღსრულება ხშირ შემთხვევაში ლამაზი პროცესი არ არის, მაგრამ დღევანდელი ფაქტის 9 აპრილთან შედარება სრული სიყალბეა. ის, რაც მოხდა, მხოლოდ ერთი მუჭა ცრუპენტელა, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების სინდისზეა, რომლებიც ქართველი ხალხის სახელით სპეკულირებენ“.

„საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა საერთაშორისო საზოგადოებასა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს მოუწოდა, „საქართველოს ხელისუფლების ბოლშევიკური სისასტიკე დაგმონ“.



განათლების მაშინდელმა მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე პროცესები ასე შეაფასა: „სიცრუის ფაბრიკის სერიული სახელწოდებით „არკადის სიზმრები“ (არკადი ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ნამდვილი სახელია) დასრულდა და აღარ გაგრძელდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თბილისი კარვების და ფარდულების ქალაქი აღარ იქნება“.

პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ ვითარების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ მოუწოდებდა. „მოგვეცით საშუალება, ქვეყანაში შექმნილი საკმაოდ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი პოლიტიკოსებმა ვიპოვოთ“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაპირისპირებულ მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებდა, რათა პროცესს უმართავი ხასიათი არ მიეღო. „ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გამონახონ ცივილიზებული გზა პრობლემის მოსაგვარებლად. არ დაავინწყდეთ, რომ მათ უკან ქვეყნის ინტერესები დგას. გახსოვდეთ, რომ ყველა თქვენი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ინტერესებიდან“, — აღნიშნა პატრიარქმა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

7 ნოემბერი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადადგომით დასრულდა. „მადლიერმა“ და დარბეულმა ერმა 7 ნოემბრის ავტორი და „დემოკრატი ლიდერი“ ვადადმელ საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ პრეზიდენტად აირჩია(!) (წყარო: <https://giorgibenashvili.wordpress.com/2009/11/07/2007>).



## ხელისუფლების ზენოლა მასმედიაზე

ქართული მასმედია ასწლეულებს ითვლის. მან არაერთი დაბრკოლება გადალახა. მისი თავისუფლების ხარისხი სხვადასხვა ხელისუფლებისა და წყობილების დროს სხვადასხვაგვარი იყო. იყო დრო, როცა იატაკქვეშ მუშაობდა; იყო დრო, როცა მწვერვალზე იპყრობდა; იყო დრო ცენზურის, დაბრკოლებების, მართალი სიტყვის ჩახშობის.

ყველასათვის ცხადია, რომ თავისუფალ სიტყვას მუდამ ებრძოდნენ. ამის მაგალითის მოსაყვანად არ გვჭირდება შორეულ წარსულში ძიება, უახლოესი ათწლეულიც გვეყოფა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად სიტყვის თავისუფლებაც მოიპოვა, რაც დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია. ქართულმა მასმედიამ დაიწყო შემოქმედებითი აღმავლობა. სამწუხაროდ, ედუარდ შევარდნაძის რეჟიმმა ეს მონაპოვარი ჩაახშო. ნოემბრის რევოლუციამ კვლავ იმედი ჩაუსახა ქართულ მასმედიას.

სამეგრელოს რეგიონში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. „მცირე ზენოლებს“ მედია არ ახმაურებს, მაგრამ ის, რაც 4 ნოემბერს ქ. ზუგდიდში მოხდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. გაზეთ „ღია ბოქლომის“ 2007 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი — **„რა მოხდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიას კაბინეტში?“** — დაწვრილებით გვამცნობს განვითარებულ მოვლენებს: გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქტორი ილია ჩაჩიბაია სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის კაბინეტში გამომამწყვდიეს და მასზე ფსიქიკური და მორალური

ზენოლა განახორციელეს. ილია ჩაჩიბაიამ განაცხადა: — სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის **ზაზა გოროზიას** დაცვის უფროსმა **დიმა მარკოიძემ** და პრესსამსახურის წარმომადგენელმა **ლალი გელენავამ** შეხვედრა დაამინიშნეს ქ. ზუგდიდის გამგეობის შენობასთან. მანქანაში ჩაჯდომა მთხოვეს. მოულოდნელად გუბერნატორის ოთახში აღმოვჩნდი. გუბერნატორის დაცვის უფროსმა ჩემგან ითხოვა ინფორმაციის წყაროს დასახელება, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, რადგან, ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე, ჟურნალისტი ინფორმაციის პირველწყაროს არანაირად არ ასახელებს. შემდგომ ამისა, დაიწყო ჩემზე მორალური და ფიზიკური ზენოლა. დიმა მეუბნებოდა, — „მე ვიზრუნებ შენი გაზეთის დახურვაზე, პირადად შენს განადგურებასა და გაქრობაზე. თუ შენ დარეკავ უშიშროებაში, პატრულში, პროკურატურაში, მაშინ მე დავრეკავ მათთან და ვეტყვი, არ მოვიდნენ. ჩვენ აქედან ვმართავთ სამეგრელოს, ჩვენ ვიძლევიტ განკარგულებებს“. დიმა არაერთხელ მწვდა ყელში, ხან აქეთ დამაგდებდა, ხან იქით. მეუბნებოდა, „მაგ მიკროფონს ყელში ისე გაგჩრი, რომ სამუდამოდ გაკმინდო ხმა“. მივხვდი, ადვილად არ გამიშვებდნენ. რეგიონულ ჟურნალისტებს გადავუგზავნე შეტყობინება და შველა ვთხოვე. შეტყობინება რომ მიიღეს, გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, ხუმრობ თუ მართლა ასეაო?! როცა ვუპასუხე, მართლა გამომწყვდეული ვარ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებენ-მეთქი, ლალი გელენავამ ტელეფონი გამომტაცა და სახეში სილა გამაწნა. მე კი მეგონა, დამიცავდა როგორც კოლეგას. პრესცენტრმა ისიც კი თქვა, „უნდა გავჩხრიკოთ. დიმა, ამას ჩამწერი ექნება“. გამჩხრიკეს და დიქტოფონი, რომლითაც ვინერდი, წამართვეს, კასეტა გაანადგურეს, დიქ-

ტოფონი ნაწილობრივ გამიფუჭეს, რისი უფლებაც მათ არა ჰქონდათ. დაახლოებით 3-4 საათის განმავლობაში ვყავ-დი გამომწყვდეული. პირველი, ჟურნალისტებიდან ვინც მოვიდა, იყო **ნანა ფაჟავა**, შემდგომ მოვიდა **თეა შონია**, **გერონტი ყალიჩავა**, **ნესტან ხუბუნაია**, **დათო ქანთარია**. მათი ხელშეწყობით გამოვიპარე ოთახიდან. მინდა აღვნიშ-ნო, რომ ამ ფაქტს შეესწრო გუბერნატორის მდივანი, საინფორმაციოს უფროსი **ირაკლი სიჭინავა** და გუბერნა-ტორის ერთ-ერთი მოადგილე **მურთაზ ბოკუჩავა**. როცა ოთახიდან გავრბოდი, დიმა დამედევნა აგურის ფილებით და დამემუქრა: „თუ ხმას დაძრავ და რამეს იტყვი, თავს გაგახეთქავ“.

აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა სხვადასხვა ტელე და რადიომაუწყებლები, გაზეთები, სააგენტოები. რეაგირე-ბის გარეშე არ დაუტოვებია სახალხო დამცველის სამე-გრელო-ზემო სვანეთის მხარის კოორდინატორ ბაგრატი ქირიას. უცხოეთიდან დაგვიკავშირდა სოზარ სუბარი.

იმედია, მსგავსი შემთხვევები არ განმეორდება, რადგან ყოველთვის მიზანსწრაფვას იწვევს ის, რასაც კრძალავენ. თავისუფალი სიტყვის აკრძალვა მეტ ამბოხსა და პრო-ტესტს გამოიწვევს უსამართლობის წინააღმდეგ... ასევე, ვიმედოვნებ, რომ ახალბედა, ჯერაც გამოუწრთობი ჟურ-ნალისტები დაიცავენ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, ხოლო უკვე გამოცდილი სახელმწიფო მოხელეები ინ-ფორმაციის გადამონმების მიზნით მათთან მისულ ჟურ-ნალისტებზე, მიუხედავად იმისა, ისინი დაიცავენ თუ არა „ჟურნალისტის ეთიკას“, დანაშაულებრივ აქტებს არ გა-ნახორციელებენ“ (წყარო: **გაზეთი „ღია ბოქლომი“**, **ჟურ-ნალისტი მარინე დამენია**).

2007 წელს საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ არც ზუგდიდი დარჩენილა გულგრილი...

2007 წლის ოქტომბერს ზუგდიდში თავდასხმა განხორციელდა ოპოზიციურ პარლამენტარებზე ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე. თავდასხმელების დასჯა არავის უფიქრია. პოლიტიკური ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი დაექვემდებარა პოლიტიკურ ძალადობას.

არაერთი ავტობუსი, მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა წავიდა თბილისის აქციაში მონაწილეობის მისაღებად. ამ მოვლენების ობიექტიურად გაშუქების მიზნით ზუგდიდიდან თბილისში გაემგზავრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალ „დისკუსიის“ **(რედაქტორი მარინე დამენია)** ჟურნალისტები, რა დროსაც ისინი ხობში დააკავეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით სააგენტო „media.ge“-ს ჟურნალისტი დავით მჭედლიშვილი წერილს აქვეყნებს: **„ხობის პოლიციამ ზუგდიდელ ჟურნალისტებს თბილისში მიმდინარე აქციის გაშუქების საშუალება არ მისცა“**.

გთავაზობთ ამ წერილის სრულ ვერსიას.

„ხობის პოლიციამ 5 ნოემბერს, საღამოს, ზუგდიდიდან თბილისში მიმავალი მიკროავტობუსი დააკავა, სადაც მგზავრებს შორის ექვსი ზუგდიდელი ჟურნალისტი იმყოფებოდა.

რეგიონული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალ „დისკუსიის“ მთავარ რედაქტორ **მარინე დამენიას** და მის ხუთ თანამშრომელს დაახლოებით 4 საათის განმავლობაში მოუწიათ ხობის პოლიციაში ყოფნა.

როგორც დამენია აცხადებს, ისინი თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციის შესახებ რეპორტაჟის მომზადებას აპირებდნენ ჟურნალის მორიგი ნომრისთვის. მისი

თქმით, პოლიციამ თავდაპირველად მძლოლი და ოთხი მგზავრი ნარკოლოგიურ შემონმებაზე გაატარა. ამის შემდეგ ისინი ჟურნალისტებთან ერთად ხობის რაიონულ პოლიციაში გადაიყვანეს.

ჟურნალ „დისკუსიის“ თანამშრომლები სამართალდამცავებს ჟურნალისტის მოწმობებს უჩვენებდნენ და მათგან განმარტებებს ითხოვდნენ, თუ რის საფუძველზე დააკავეს ისინი. — „პოლიციელებს ვინაობას ვეკითხებოდით, პასუხად, ერთ-ერთი ჯონდი ბალათურიად (ოპოზიციური პარტიის ლიდერი) გაგვეცნო. პოლიციელები გვიხსნიდნენ, რომ არ გვაქვს თბილისში აქციაზე წასვლის უფლება, რადგან ზუგდიდელი ჟურნალისტები ზუგდიდში უნდა იყვნენ“, — აცხადებს მარინე დამენია. პოლიციის განყოფილებაში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის წარმომადგენელი ბაგრატ ქირია მივიდა. მას თავად ჟურნალისტები დაუკავშირდნენ.

ბაგრატ ქირიას განცხადებით, „ჟურნალისტები პოლიციის ეზოში დახვდნენ. მძლოლი და ოთხი მგზავრი დროებით დააკავეს, სურათები გადაუღეს და მათი გვარსახელები ჩაიწერეს. ჟურნალისტები დაკავებულებს გარეთ ელოდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო ტაქსის მძლოლი ნარკოლოგიურ ზემოქმედებას არ განიცდიდა და საბუთებიც წესრიგში ჰქონდა, აიძულეს, მანქანა მოებრუნებინა და მგზავრებთან ერთად უკან, ზუგდიდში, დაბრუნებულიყო. პოლიციამ ადმინისტრაციული კანონი დაარღვია, შეზღუდა მგზავრთა თავისუფლად გადაადგილების უფლება. მე უკვე შევადგინე შესაბამისი ოქმი და რეაგირებისათვის სახალხო დამცველის აპარატს გადავუგზავნე“.

მიუხედავად იმისა და ობიექტურ ჟურნალში კრიტიკული

წერილების დაბეჭდვის გამო დაიწყო რედაქციის დევნა. ჟურნალის მეოთხე ნომერი დაიბლოკა. რედაქცია განთავსებული იყო ზუგდიდის გამგეობის შენობის პირველ სართულზე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უშიშროებისა და სპეცრაზმების მუქარის თანხლებით რედაქციის თანამშრომლები შენობიდან გააძევა. რედაქტორმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, შემდგომ კი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს წერილობით მიმართა და შუამდგომლობა სთხოვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. „კატისა და ლომის“ ზღაპარი განმეორდა, „აბა, ჩემს შვილს ხომ არ დავსჯიო“ და წერილი განსახილველად ისევ ზუგდიდის რაიონის გამგეობას გამოუგზავნეს.

ჟურნალის რედაქტორსა და რედკოლეგიაზე დევნის შესახებ არაერთი წერილი გამოქვეყნდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაში: „**media.ge**“, „**humanrait.ge**“, „**მთავარი სამეგრელოში**“, „**თავისუფალი გაზეთი**“, რადიო „**თავისუფლება**“, რადიო „**მწვანე ტალღა**“, ასევე, გამოქვეყნდა უცხოურ მედიასივრცეში...

ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ჟურნალისტი და „ქრისტიან დემოკრატიული“ პარტიის წევრი **გიორგი ახვლედიანი** ასეთ კომენტარს აკეთებს: „ჟურნალისტების ქუჩაში გასახლებას შეიძლება მიეცეს ცალსახა შეფასება. სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ვერ იტანს, რადგან, მათივე შეცდომებიდან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლება მათ სასარგებლოდ აღარ მუშაობს. ეს ხელისუფლება მუშაობს დაშინების, ტერორის, ტირანის მეთოდებით. „პატარა ადამიანები“ ცდილობენ სიტყვის თავისუფლების ჩახშობას. ასე მოექცნენ ტელეკომპანია „იმედს“, „მე-9“ არხს და

სხვა მრავალ მედია საშუალებას. წარმოდგენილი მაქვს, რა ზიზლითა და აგრესიით მოექცნენ ამ პატარა ჟურნალს, რომელიც ზუგდიდში ერთადერთი აღმოჩნდა, როგორც მართალი სიტყვის მთქმელი. სიტყვის თავისუფლების ჩახშობა ვერც ერთ ქვეყანაში, ვერც ერთ დროში ვერ მოხერხდა და მათი მცდელობა წინასწარვე განწირულია დამარცხებისათვის. არაერთი ტირანი და დიქტატორი გადაჰყვა ამ ბარბაროსულ ფაქტებს. უბედურებაა ის, რომ ჭკუას ვერ სწავლობენ და იმასვე იმეორებენ. ისინი დიდი სისწრაფით მიემართებიან პოლიტიკური სასაფლაოსკენ და აკაკუნებენ იმ კარებზე, რომლებიც მათ გადააყენებს....“ (წყარო: **გაზეთი „სამეგრელოს ქრონიკა“, 2004 წელი, №1**).

2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებს ტელეკომპანია „იმედი“ პირდაპირ ეთერში გადასცემდა, რასაც მოგვიანებით ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა მოჰყვა. მაუწყებლობა შეწყვიტა რადიო „იმედმაც“.

ტელეკომპანია „იმედთან“ შეკრებილების დასაშლელად სპეცრაზმმა რეზინის ხელკეტები, რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დაშავებულთა შორის აღმოჩნდნენ „იმედის“ ჟურნალისტებიც. მაუწყებლობა შეწყვიტა ტელეკომპანია „კავკასიამ“; „რუსთავი 2-მა“; საზოგადოებრივ მაუწყებელზე „დებატები“ შეწყდა. პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს იყო ჟურნალისტთა ფიზიკური ხელყოფის შემთხვევები.

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ აპროტესტებს კოლეგების — ნანა ფაჟავასა და ილია ჩაჩიბაიასადმი განხორციელებულ ძალადობას და მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, ადეკვატური შეფასება მისცენ ზუგდიდის გამგებლისა და პოლიციის ორგანოების თვითნებობას ადგილობრივი ჟურნალისტების მიმართ.

— „სამწუხაროდ, გრძელდება 2009 წლის 15 ივნისი (ხელისუფლების „ზონდერ-ბრიგადებმა“ უმოწყალოდ დაარბიეს მედიის წარმომადგენლები) და ამ ვითარებაში ჟურნალისტური სოლიდარობის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „ობიექტივმა“ დღესვე მიმართა საერთაშორისო ჟურნალისტურ ორგანიზაციებს და სთხოვა ილია ჩაჩიბაიასა და ნანა ფაჟავას მხარდაჭერა, რათა ჩვენს კოლეგებს მიეცეთ საკუთარი პროფესიული მოვალეობის განხორციელების საშუალება“, — აღნიშნულია „ობიექტივის“ სპეციალურ განცხადებაში. ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ნანა ფაჟავასა და ილია ჩაჩიბაიას წლების განმავლობაში ურთულეს რეგიონსა და ურთულეს პირობებში უწევთ სიმართლის სამსახური. ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ მზადაა ზუგდიდში მიავლინოს მონიტორინგის ჯგუფი და ადგილობრივ კოლეგებთან ერთად დაიცვას ჟურნალისტის ღირსება და თავისუფლება. — **ირმა ინაშვილი, ჟურნალისტი.**

„არ ვიცი, ქაჯები მოდიან თუ მიდიან, მაგრამ ქაჯები რომ არიან, ეს ზუსტად ვიცი“, — ასე შეაფასა „ალიასთან“ საუბრისას გუშინ, ახალი წლის წინა ღამეს, ზუგდიდში ჟურნალისტების ნანა ფაჟავასა და ილია ჩაჩიბაიას ცემის ფაქტი „presa.ge“-ს ხელმძღვანელმა გია იაკობაშვილმა. საქმე ისაა, რომ ერთი წლის განმავლობაში ნანა ფაჟავას დაცვა მის „შეფს“ უკვე მეხუთედ უწევს.

**ნანა ფაჟავა იყო ის ჟურნალისტი, რომელმაც გაახმოვანა ფაქტი — მიხეილ სააკაშვილს ფეხსაცმელი რომ ესროლეს.**

**ილია ჩაჩიბაიამ ამხილა სამეგრელო-ზემო სვანეთის**



**პროკურატურა, რომ „აღიას“ ლოგო მიაკრეს სანაგვე ყუთზე... მოკლედ, ნაციონალისტებისთვის ეს ორი ყურნალისტი დილემად იქცა. ამიტომ არ ახარებენ მათ...**

ახალი წლის ღამესაც ფაჟავასა და ჩაჩიბაიას მხოლოდ იმიტომ სცემეს (შემდეგ კი დააპატიმრეს), რომ მათ ზუგდიდში ჩასულ მიხეილ სააკაშვილს „ყინულის სასახლეში“ იმ დროს წაასწრეს, როცა ციგურებით მოსრიალე ყინულზე გაიშხლართა და კოჭლობით გამოვიდა „ყინულის სასახლიდან“.

ყველაზე მთავარი ისაა, როცა პოლიცია ყურნალისტებს სცემდა. ამას სააკაშვილი ხედავდა, იქვე იდგა და ხმა არ ამოუღია... არადა, სულ ცოტა ხნის წინათ გვიმტკიცებდა, ყურნალისტებს უბატონოდ ბუზსაც ვერავინ აუფრენსო. აუფრინეს და თანაც მის თვალწინ. მან, „დემოკრატიის მამამ“, მამინაცვლობა არჩია და ყურნალისტთა დამცირებას გულზე ხელდაკრეფილი ადევნებდა თვალს. ესეც ჩვენი დემოკრატია... ყურნალისტებს ოთხი „გრეჩიხას“ მომხრე და ერთი „შენ ვინ გკითხავს“ მიაყოლეს და „კპზ“-ში გამოკეტეს. ეს, „შენ ვინ გკითხავს“, პატარა ბიჭია, საკუთარი სახლის აივნიდან დაინახა ცემა-ტყეპა და იყვირა, თავი დაანებეთ, რატომ სცემთო. მოკლედ, დანაშაული ამკარაა, ყურნალისტისათვის მუშაობაში ხელის შეშლაც, მაგრამ, რომც იჩივლონ ფაჟავამ და ჩაჩიბაიამ, მერე რა? რომელი სასამართლო ან პროკურატურა დაიჭერს მიშას დაცვას ან პოლიციელებს?

მოკლედ, გამოძიების იმედი არავის აქვს“...

**დარეჯან მეზარიშვილი,  
„ახალი სიტყვა“, 11-18 იანვარი, 2010 წელი**

## ნართმეული და გაფლანგული მილიონები

„ნაციონალური მოძრაობის“ ძალადობრივი რეჟიმის პირობებში მოქალაქეებისთვის ქონების ნართმევით მიყენებული ზარალი 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში დაზარალებულ მოქალაქეთა უპრეცედენტო რაოდენობის (6 ათასზე მეტი) განცხადებაა შესული. სწორედ ამიტომ, მთავრობის გადწყვეტილებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში იქმნება სპეციალური სამმართველო, რომელიც 2003-2012 წლების საქართველოში კერძო საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევებს შეისწავლის და ამ მიმართულებით სამართლიანობის აღდგენის საფუძველს მოამზადებს.

სააკაშვილის რეჟიმი მოქალაქეებისგან საკუთრების ჩამორთმევას სხვადასხვა მეთოდით ახორციელებდა: ეკონომიკის სამინისტროს ან კერძო პირებისთვის საკუთარი ქონების „ჩუქება“; გაურკვეველი სახის ფონდებში თანხების ჩარიცხვა; საპროცესო შეთანხმებებით ფულის ბიუჯეტში გადარიცხვა და სხვ. ადამიანებს ყველა შესაძლო მეთოდით ძარცვავდნენ. ყოველივე ამას კი სათავეში ხელისუფლების სახელით მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ედგა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

საპროცესო შეთანხმებით ბიუჯეტში თანხების მობილიზება სააკაშვილის ხელისუფლების აპრობირებული მეთოდი იყო, რაც იმ წლებში ბიზნესის დატერორების ლეგიტიმურ მეთოდად დამკვიდრდა. ასე, მაგალითად, 2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმების შედეგად სახელმწიფო

ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 140 036 163 ლარი შეადგინა. ბიზნესსექტორი იძულებული გახდა, გარკვეული თანხები პერმანენტულად „შეენირა“ მმართველი პარტიის სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მფლობელები პატიმრობას სწორედ საპროცესო გარიგებით აღწევდნენ თავს. გარიგების აპრობირებული მეთოდი იყო „საკუთარი ნება-სურვილით“, ფაქტობრივად კი ცემითა და გაუსაძლისი წამებით, ხელისუფლებასთან ასოცირებული პირებისთვის ქონების „ჩუქება“, რის შედეგადაც მთელი მსხვილი ბიზნესი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში მოექცა. საინტერესოა, რომ ასეთი გარიგებების დადება, როგორც წესი, შუალამის საათებში ხდებოდა, როდესაც წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფ მოქალაქეს რატომღაც ღამის 3 საათზე რომელიმე მაღალჩინოსნის ნათესავისთვის, როგორც მინიმუმ, საკუთარი ძვირადღირებული მანქანის ან უძრავი ქონების ჩუქების სურვილი უჩნდებოდა და ამისთვის იზოლატორში ნოტარიუსს იძახებდა (I). მოქალაქეებისათვის პირადი საკუთრების წართმევა და ბიზნესნილების გადაფორმების ნოტარიული აქტების უმრავლესობა სწორედ ღამის საათებში წინასწარი დაკავების იზოლატორებშია გაფორმებული. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციები იცავენ.

2012 წლის 5 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“, რომლის მიზანსაც რეალურად საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის სამუშაოს მაძიებელთა ერთიანი ბაზის შექმნაში ხელშეწყობა წარმოადგენდა. იმავე დღეს გაცემული მთავრობის განკარგულებით კი პროგრამის ფარგლებში შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 3584 ერთეულით განისაზღვრა.

აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომლის დაფინანსების წყაროც საბიუჯეტო სახსრები იყო, დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ იურიდიულ პირს — სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, რომლის დირექტორიც **რამაზ სულამანიძე** იყო.

სწორედ ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ პროგრამის ნიღბად გამოყენებით 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსასყიდად და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის გვერდის ასავლელად **ივანე მერაბიშვილმა** შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელებაც **ზურაბ ჭიაბერაშვილსა და რამაზ სულამანიძეს** დაევალა.

წინასწარ დამუშავებული სქემისა და ივანე მერაბიშვილისგან მიღებული დირექტივის თანახმად, 2012 წლის 24 ივლისს „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ წერილით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ზემოთ ნახსენები პროგრამის ფარგლებში, მოითხოვა შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის 10 932 ერთეულით გაზრდა. ორი დღის შემდეგ გაგზავნილ დამატებით წერილში კი რამაზ სულამანიძემ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ყალბი მოტივით, თითქოსდა დასაქმების აგენტების ტექნიკური უზრუნველყოფისა და ერთიანი ბაზის ფორმირებისათვის, მოითხოვა შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის ერთბაშად 21 864 ერთეულით გაზრდა.

2012 წლის 31 ივლისიდან 2012 წლის 3 სექტემბრამდე „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ წარედგინა

მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო უბნების მიხედვით, იმ სანდო მოქალაქეთა სიები, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“.

დადგენილი კრიტერიუმით შერჩეული მოქალაქეების სიების გამოყენებით 2012 წლის 3 სექტემბერს რამაზ სულამანიძემ გამოსცა ბრძანება „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის“ პროგრამის ფარგლებში დამატებით შტატგარეშე მოსამსახურეთა აყვანის შესახებ. ბრძანების თანახმად, დანართში მითითებულ მოქალაქეებთან უნდა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედებისა და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა ერთი თვით, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებები სულ 21 837 პირთან გაფორმდა. თუმცადა, ფაქტობრივად, ხელშეკრულებები იყო თვალთმაქცური, ვინაიდან მათი გაფორმება მიზნად ისახავდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის თავის არიდებასა და სახელმწიფოს კუთვნილი თანხებით ამომრჩეველთა მოსყიდვას.

უფრო კონკრეტულად, მოქალაქეებს ხელშეკრულების გაფორმებისას არ განემარტათ პროგრამის რეალური მიზნები და შესასრულებელი სამუშაოს არსი. ისინი, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, საარჩევნო მიზნით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ პარტიის წევრების მიერ მიღებული დავალებების შესასრულებლად გამოიყენეს. დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ხელშეკრულებების გაფორმების დასრულებიდან ერთ კვირაში, 2012 წლის 14 სექტემბერს, 21 837 პირს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ წინასაარჩევნო აქტიურო-

ბისტვის თითოეულს 240 ლარი ჩაერიცხა უკანონოდ, რითაც ივანე მერაბიშვილმა და ზურაბ ჭიბერაშვილმა თაღლითურად გაფლანგეს სახელმწიფოს კუთვნილი 5 240 880 ლარი (წყარო: **გაზეთი „მხილება“, 18. 01. 2015 წ.**).

## **რეჟიმი უნილზოდ**

სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების ინიციატივით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე 2006 წელს წარდგა: „ვაცხადებ ახალ კანონპროექტს, „ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დანაშაულის მიმართ, ყველა — ციხეში!“ შედეგად მივიღეთ ნამდვილი ომი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ — ხშირად, პირდაპირ ქუჩაში, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ხვრეტდნენ.

საკაშვილის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ შემაშფოთებელი შედეგი აღმოჩნდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობის კატასტროფული ზრდა. თუ 2003 წელს საქართველოში 6 116 პატიმარი იყო, 2012 წლის იანვრის მონაცემებით პატიმართა რიცხვი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა მსოფლიოში და 24 079 შეადგინა. „ციხის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (WORLD PRISON POPULATION LIST) 2012 წლის მონაცემებით, ყოველ ასი ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის მხრივ 160 ქვეყანაში საქართველომ 537 პატიმრით მე-4 ადგილი დაიკავა. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით კი საქართველო წლების განმავლობაში ევროპაში პირველ ადგილზე იყო პატიმართა რაოდენობის მიხედვით. ასევე პირველ ადგილზე ვიყავით პატიმართა სიკვდილიანობის

მიხედვითაც. 2010 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 144 ბრალდებული/მსჯავრდებული გარდაიცვალა, 2011 წელს — 140, 2012 წელს — 67. აღსანიშნავია, რომ სამინისტრო 2010 წლამდე პატიმრების სიკვდილიანობის აღრიცხვას არ ახორციელებდა, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის 2011 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ 2008 წელს საქართველოში 90 ბრალდებული/მსჯავრდებული გარდაიცვალა, ხოლო 2009-ში — 91. პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არნახული ფაქტების გასაჯაროება კიდევაც იქცა სააკაშვილის რეჟიმის დასრულების ერთ-ერთ მიზეზად. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მთელი საქართველო შეძრა ტელეეთერით გავრცელებულმა კადრებმა, რომლებშიც პოლიციისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები, მათ შორის, მაღალჩინოსნები, პატიმრებზე (მათ შორის, არასრულწლოვნებზე) არაადამიანურად ძალადობდნენ.

2012 წლის 18 სექტემბერს საზოგადოებამ ციხეებში პატიმართა ცემის, წამებისა და მათზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ამსახველი შოკისმომგვრელი კადრები იხილა. როგორც გაირკვა, კადრები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის №8 დაწესებულებაში იყო გადაღებული, სადაც ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან სისტემატურად ხდებოდა პატიმართა წამება, ცემა, დამცირება, იძულება, არაადამიანური მოპყრობა, მათი პატივისა და ღირსების შელახვა.

ეს იყო ადგილი, სადაც სააკაშვილის რეჟიმს საკუთარი სახის შენიღბვა არც უცდია.

2013 წლის 15 ივნისს ქ. ზუგდიდიდან დაახლოებით 10

კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელ ნარაზენის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიტოვებულ ჩაის პლანტაციებში, 8 ცალი დამარხული კასრი აღმოაჩინეს. კასრებში დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და 18 ცალი ვიდეოფირი აღმოჩნდა.

სამართალდამცავებმა 18 ვიდეოფირიდან 2 დაათვალიერეს, რომლებზეც 2 მამაკაცის გაუპატიურების ფაქტი იყო გადაღებული. დადგინდა, რომ მამაკაცების გაუპატიურებასა და მათ წამებაში მონაწილეობდა თბილისის №7 საპყრობილის ყოფილი დირექტორი **მეგის ქარდავა**. სწორედ მისი ბრძანებით აშენდა აღნიშნულ ადგილას მინისქვეშა ქალაქი, სადაც სპეციალური სამალავები და ე.წ. „წამების ბუნკერები“ იყო განლაგებული.

მონმეთა დაკითხვის ოქმში ერთ-ერთი დაკავებული ჰყვება, ელექტროშოკით წამების შემდეგ როგორ გააუპატიურა ის „ნაბელავის“ ბოთლით ვინმე „კობტამ“, რომელიც შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე **კობტა კოდუა** აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით, დაზარალებული მამაკაცი ორჯერ გააუპატიურეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული პირველი გაუპატიურების (ბოთლით) შემდეგ, იმის შიშით, რომ კვლავ არ გაეუპატიურებინათ, მათთვის სასურველი ჩვენების მიცემას დასთანხმდა და მისი ჩვენება სამართალდამცავებმა ვიდეოფირზეც აღბეჭდეს, დაზარალებული მეორედ მაინც გააუპატიურეს. გაუპატიურება ამჯერად ბოთლის გამოუყენებლად, საგანგებოდ მოყვანილი „გამაუპატიურებელი მამაკაცის“ მეშვეობით მოხდა, რომელსაც ამისთვის 35 ლარი გადაუხადეს“ (წყარო: **გაზეთი „მხილება“**, 18. 01. 2015 წ.).



## სააკაშვილის დანაშაული და სასჯელი

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ იმ დანაშაულების გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის ვალდებულება აიღო, რაც სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის განმავლობაში მოხდა. სახელისუფლებო ცვლილებების პირველსავე თვეებში ქვეყნის მთავარმა პროკურატურამ ყოფილი მმართველი პარტიის მიერ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის თაობაზე თითქმის 20 ათასი მოქალაქის საჩივარი მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი მოსახლეობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სისტემური ხასიათი ჰქონდა, ძიება ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა ბრალეულობის დადგენით დასრულდა. მიხეილ სააკაშვილი ის პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელმაც აბსოლუტურად უგულვებელყო საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო კონვენცია, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სისტემატურად და მასშტაბურად ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამო სააკაშვილის ბრალეულობა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლი, რომელიც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს განმარტავს, ამბობს, რომ ეს არის ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობასა ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლევლობით, ადამიანთა მასო-

ბრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტიერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით — პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ფიზიკურ ანდა ფსიქიკურ ზიანს აყენებს ადამიანს. თუ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებრიობათა უსასრულო ნუსხას გადავხედავთ, დავრწმუნდებით: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, სხვა ეკონომიკურ დანაშაულებებთან ერთად, სწორედ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა გასამართლდეს.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილს უკვე 4 ბრალი წაუყენა, გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, ბრალდებათა რაოდენობა კვლავ გაიზარდოს, მაგრამ ის, რაც უკვე დადასტურებულია, ნათლად გვაჩვენებს, რომ საქართველოს 9 წლის განმავლობაში „ძლიერი პარანოიდული აშლილობის მქონე ისტერიული და ნარცისიზმის კომპლექსით შეპყრობილი“ ადამიანი მართავდა.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, პარლამენტარ ვალერი გელაშვილის სასტიკი ცემა, დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა, მაუწყებლობა „ტელეიმედის“ დარბევა და პატარკაციშვილების ოჯახისთვის სხვა ქონებასთან ერთად მისი ჩამორთმევა ის საქმეებია, რომლებზე პასუხისგებაც მიხეილ სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს.

## „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი, 2012-2018 წლები



2003-2012 წლებში საქართველოს მართავდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 2003 წელს ხელისუფლებაში ხალხის მხარდაჭერით მოვიდა. წარმატებით დაიწყო რეფორმები, თუმცა 2006 წლისთვის უკვე შეინიშნებოდა სახელისუფლებო კლანების უმართავი თავხედობა, ალვირახსნილობა, მოსახლეობის

ანიოკება, ბიზნესის დატერორება...

2012 წელს საქართველოში კვლავ რევოლუციის ჟამი დადგა, რომელსაც წინ უსწრებდა 2007 წლის ნოემბრის აქციაზე მომიტინგეთა გაუგონარი სისასტიკით დარბევა.

ახალი რევოლუციის ლიდერი გახდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დააფუძნა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“.

**ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?** 2012 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ გამოსცა ილუსტრირებული ჟურნალი **„ბიძინა ივანიშვილი: საქმით ნათქვამი“**, სადაც თვალნათლივ წარმოჩინდა მის მიერ განვლილი ცხოვრება და საქმიანობა, სოციალურ-საგანმანათლებლო თუ კულტურული პროექტების მიმართულებები და მასშტაბები. ერისკაცი გულგრილი არ უნდა დარჩეს ამ კეთილშობილი, კაცთმოყვარე ადამიანის მიმართ. ის

ჩუმად და აზრიანად ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა ქველმოქმედებასა და მეცენატობას.

ბიძინა ივანიშვილის მიერ წლების განმავლობაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებში დაიხარჯა ორ მილიარდ 800 მლნ ლარზე მეტი. წარმატებით შესრულდა სახელმწიფო-ადმინისტრაციული პროექტები: კულტურა და მეცნიერება, ძეგლთა დაცვა, განათლება. ჯანდაცვის სფეროში ივანიშვილმა რამდენიმე მასშტაბური პროექტი დააფინანსა.

საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 53% სოფლად ცხოვრობს და მეურნეობას უძღვება. დაინყო სოფლის აღორძინება, თანამედროვე სამინათმოქმედო ტექნოლოგიების დანერგვა. ჩამოყალიბდა სათესლე და სანერგე მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი. საგანგებო ნაკვეთებზე დაინერგა ეკოლოგიურად სუფთა ხეხილისა და ბოსტნეულის ჯიშების გამრავლება. სოფლის მეურნეობის აღორძინების მსურველს, გამოუცდელ მეურნეს, შეუძლია უფასოდ მიიღოს სათესლე და სანერგე კულტურები.

მთელი საქართველოს მასშტაბით დაიგო და გარემონტდა 300 კმ-ზე მეტი გზა, აღდგენილ იქნა ძველი ხიდები.

საქველმოქმედო ინიციატივებმა ხელი შეუწყო ქართული სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბებას. დაფინანსდა სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია, მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია, ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია, ხელბურთის, მშვილდოსნობის, რაგბის, გია თორთლაძის ალპინისტური ექსპედიცია ჰიმალაიზე. თბილისში აშენდა რაგბის კომპლექსი „ავჭალა“, ბაკურიანში მოეწყო დიდგელის სამთო-სათხილამურო კომპლექსი და ასე შემდეგ.

ერთი წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის და ქველმოქმედებას უბრუნდება. პოლიტიკაში ისევ კრიზისი გაჩნდა, რამაც გამოიწვია მისი უკან დაბრუნება.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში კვლავ დაბრუნებამ „ქართულ ოცნებასა“ და მის მხარდამჭერებს გარკვეული იმპულსი მისცა. 2018 წლის 1 მაისს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭო 15 წევრით დაკომპლექტდა. ახალ შემადგენლობაში არიან: „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი **ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**, პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**, პირველი ვიცე-სპიკერი **თამარ ჩუგოშვილი**, ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი**, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ილია ნაკაშიძე**, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **არჩილ თალაკვაძე**, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე**; პარლამენტის წევრები: **დიმიტრი სამხარაძე**, **ბიძინა გეგიძე**, **ირაკლი ტრიპოლსკი**, მთავრობის წევრები: **მაია ცქიტიშვილი**, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი **სოზარ სუბარი**; „საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე **დავით საგანელიძე** და თბილისის მერი **კახა კალაძე**.

ისტორიის წამბოში ჩართულია. პარტიასა და მასთან შერწყმულ სახელმწიფო შტოებს შიდა ბალანსის აღდგენა სჭირდებათ, გამარჯვების მოსაპოვებლად კი — დემოკრატიის, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება.

თუ საქართველო გვიყვარს, ნუ ვიქნებით ფულის შოვნას დახარბებულები, ქონების მომპოვებლები, კაცთმოძულენი, მიწა-წყლის გამყიდველნი, უსირცხვილონი...

## 100 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობიდან

2018 წლის 26 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილეს პომპეზურად აღნიშნა.

1918 წლის 26 მაისს მიღებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული იყო:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. XVIII საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი საქართველოს გარეშე მტრისგან დაიცავდა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისი ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდგეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა... ქართველ ერს დაეკისრა გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაიჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს...

ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო — სრულფასო-




ვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა“.

**1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს სხვებთან ერთად ხელს აწერს ორი ზუგდიდელი: სპირიდონ კედია და ალექსანდრე ჩიქავა.**





სპირიდონ კედია



ალექსანდრე ჩიკავა

2018 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ზუგდიდის მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში მოენწო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული უნიკალური საგანძურის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ფოტომასალების — გამოფენა, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაფინანსებით განხორციელდა.

ჩვენი უწმიდესის ილია II-ის სიბრძნით — „ის ახალგაზრდა, რომელიც აღიზრდება ამ ხელოვნებაზე და ამ რწმენით, სიყვარულითა და სასოებით, ვერ გახდება ვერც ნარკომანი, ვერც ქურდი, ვერც ავაზაკი და ვერც რაიმე სხვა ცუდის გამკეთებელი“ — დაკვალიანებული დამთვალიერებლები, მოსწავლე-ახალგაზრდობა დიდი ინტერესით გაეცნენ ფო-



ტოგამოფენის მასალებს. ეს მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია განფენილი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო:

ვარძია — ღვთისმშობლის ხატი, X-XVI-XIX საუკუნეები;  
ტიხრული მინანქარი, მირქმა, წმინდა გიორგის ხატები, XV ს.

ლაზარეს აღდგინება, სულიწმინდის მოფენა, XII საუკუნე;

ხობი — ღვთისმშობლის ხატი, X-XII საუკუნე;  
ნიკორწმინდა — ღვთისმშობლის მიძინების ხატი, X-XI საუკუნეები;

იშხანი — სანინამძღვრო ჯვარი, 973 წ.;  
ბრეთი — სანინამძღვრო ჯვარი, XI საუკუნე;  
ალავერდი — მიტრა, X-XII საუკუნეები;  
გელათი — სანინამძღვრო ჯვარი, X-XII სს. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, XII საუკუნე.

წილკანი, მარტვილი — ღვთისმშობლის ხატი;  
ბოჭორმა — წმინდა გიორგის ხატი;  
მღვიმეები — ვედრება, ღვთისმშობლის ხატი, ანჩის ხატი VI-XIV სს.;

ბეღია — ბარძიმი 999, ზარზმა, ღვთისმშობლის ხატი, XI საუკუნე;

კაცხი — მაცხოვრის ხატი, XII საუკუნე;  
მარტვილი — 12 დღესასწაულის ხატი, XVII საუკუნე. წმ.

გიორგის კვართი, საკურთხეველის წინ აღსამართავი კვართი, XV საუკუნე.

## 9 აპრილი თუ 26 მაისი

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაზე 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1921 წლის თებერვალში მოხდა საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ. საქართველო 70 წელი თავისუფალი ქვეყანა აღარ ყოფილა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა — გაუმარჯოს საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“ — ცხადია, რომ ამგვარი ფორმულირებით და სწორედ ამ დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დიდმა ზვიადმა მართლაც ხაზი გაუსვა 9 აპრილს მონამებრივად აღსრულებულთა როლსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლის საკრალურობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) სახელმწიფო ატრიბუტიკა — დროშა, გერბი და ჰიმნი.

მას შემდეგ 27 წელი გავიდა.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას მსოფლიო

1991 წლის 9 აპრილის აქტის საფუძველზე ცნობს, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, საქართველოს ხელისუფლება დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს აღნიშნავს.

ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრის, ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქტორის მარინე დამენიას მიერ დასმულ კითხვაზე: „რომელია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე, 9 აპრილი თუ 26 მაისი“, ეროვნული მოძრაობის ლიდერები ასეთ პასუხს იძლეოდნენ:

**ინდიკო ქობალია** — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაულალავი მებრძოლი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დისიდენტი: — „სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებლობის რამდენიმე დღე. გააჩნია, რამდენჯერ დაკარგა და აღიდგინა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა. ყველა თარიღი აღნიშვნის ღირსია, მაგრამ, როდესაც კონსტიტუციაში პირველ მუხლად გიწერია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ და შენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ამ აქტის საფუძველზე ცნობენ სხვა ქვეყნები, და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობის წელთა აღრიცხვას ანგარიშობ 1991 წლიდან და აღნიშნავ, რომ წელს დამოუკიდებლობის 17 წელია, რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს 9 აპრილს, ხოლო, თუ აღნიშნავ 26 მაისს, მაშინ გამოდის 90 წელი, ვინაიდან დამოუკიდებლობა მიღებულ იქნა 1918 წელს. რასთან გვაქვს საქმე?! — ცხადია, კომუნისტური ლოგი-

კური აზროვნების უბადრუკობასთან, რომელიც ახალ საქართველოში დაამკვიდრა და განამტკიცა ედუარდ შევარდნაძემ. უფრო მეტიც, მან ერთხელ განაცხადა, 9 აპრილი გლოვის დღედ გამოვაცხადოთ. ასეც იყო, მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა გლოვის დღე იყო და არის კიდევ. რას იზამ, არის ერში გაუკუღმართებული აზროვნება, რომელიც დამკვიდრებულია მტრული, უცხო ძალებითა და იარაღით მოსული ხელისუფლების მიერ. ჩვენში მას შემწყნარებლურად აღიქვამენ, სინამდვილეში კი ლაჩრობაა.

**ზაურ ქობალია** — საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დისიდენტი: — „როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შერჩევაზე იყო მსჯელობა, ბევრი იყო წინააღმდეგი, 9 აპრილი შერჩეულიყო, მაგრამ ზვიადმა ეს ძალიან კარგად ახსნა და თქვა, „9 აპრილს დაღუპულთა სულები დაგვყურებს ციდან და, თუ ჩვენ ამ დღეს გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას, ეს იქნება მათთვის დიდი საჩუქარი“ და ასეც მოხდა. მართალია, დღევანდელი ხელისუფლება მას გაურბის და 26 მაისს მეტ დატვირთვას ანიჭებს, მაგრამ გავა დრო, დაღვინდება პოლიტიკური სიტუაცია და 9 აპრილს, ისევე, როგორც სამართლებრივად და იურიდიულად, ფაქტობრივადაც აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

**სოსო თორია, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი:** — 9 აპრილი უდიდეს ტკივილთან ერთად უდიდესი გამარჯვებაა რუსულ იმპერიაზე. ეროვნული ცნობიერების აღორძინების ათვლისწერტილია, გაშიშვლება იმპერიული რაობისა და ღიად დანახული სახე დღევანდელი მსოფლიოსი. 9 აპრილმა შოკური თერაპიის როლი შეასრულა ქართველთა ცნობიერებაში, რაც შეეხება იმ უდიდეს ნაპრაღს,

რომელიც 1989 წლის 9 აპრილსა და 2008 წლის 9 აპრილს შორის გაჩნდა, ეს არ არის შემთხვევითი. ეს კეთდება გარეშე ძალების მიერ შეგნებულად და მიზანმიმართულად იმისათვის, რათა საქართველოში 9 აპრილი — ეროვნული თვითშეგნების არსსა და ზვიად გამსახურდიაში არსებული პატრიოტული სულის განმეორება — არასოდეს მოხდეს.

სწორედ ამას ემსახურება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტის გამოძვევა იმ შენობიდან, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მოღვაწეობდა. ვგულისხმობ ზუგდიდის გამგეობის შენობას, საიდანაც გამგებელმა ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქცია გამოაძევა იმ ხალხთან (ეროვნული მოძრაობის აქტივისტები) ერთად, ვისაც ჰყავდა შეფარებული და რომელთაც კედელზე ეკიდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სურათები“ (წყარო: **გაზეთი „სამეგრელოს ქრონიკა“, 2008 წელი**).

ეროვნული მოძრაობის ძველი თაობის წარმომადგენელი, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დისიდენტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ედემ კვიციანი** ხშირად და სამართლიანად, საბუთებზე დაყრდნობით, მსჯელობს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით:

„საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ნიშანდობლივია ისიც, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებას წინ უძღოდა 31 მარტის რეფერენდუმი. XXI საუკუნის ახალმა თაობამ, შესაძლოა, არც იცის, რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელისუფლებამ საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების მიზნით გად-

ანყვიტა საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება. რეფერენდუმის დღედ დაინიშნა 17 მარტი — ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი განაცხადა და მიიღო პოლიტიკურად და სამართლებრივად გონივრული და გამართლებული გადაწყვეტილება — რეფერენდუმს რეფერენდუმითვე დაპირისპირებოდა: 31 მარტს დაინიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. რეფერენდუმში მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ ერთადერთ კითხვაზე: „ეთანხმება თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში) შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით იქნა მიღებული 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და სწორედ ამ აქტის საფუძველზე ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მსოფლიომ. ამ აქტის საფუძველზე იქნა მიღებული გაეროს წევრად... ასე რომ, დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილია და არა 26 მაისი. ეს თარიღი სახელმწიფო დონეზე სამხედრო აღლუმითა და საყოველთაო-სახალხო ზეიმით უნდა აღინიშნოს.

რა თქმა უნდა, 26 მაისი — საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღე — მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია და სათანადოდაც უნდა აღინიშნოს...

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება

გაგება იმისა, თუ რა ხდება ამ მხრივ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში: 1991 წელს გამოცხადებულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ოფიციალურად ზეიმით აღნიშნავენ ქვეყნები:

უკრაინა — 24 აგვისტო, მოლდავეთი — 27 აგვისტო, ყირგიზეთი — 31 აგვისტო, უზბეკეთი — 1 სექტემბერი, ტაჯიკეთი — 9 სექტემბერი, სომხეთი — 21 სექტემბერი, აზერბაიჯანი — 18 ოქტომბერი, თურქმენეთი — 27 ოქტომბერი, ყაზახეთი — 16 დეკემბერი; ბელორუსია დამოუკიდებლობის დღეს 27 ივლისს (საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის დღე) აღნიშნავდა, მაგრამ 1996 წელს 3 ივლისით (1944 წელს ფაშისტური გერმანიისაგან გათავისუფლების დღე) შეცვალა.

რაც შეეხება ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ისინი ორივე თარიღს (1918 წელს რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფისა და 1991 წელს — საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის დღეს) თანაბრად აღნიშნავენ: ლიტვა — 16 თებერვალს და 11 მარტს (ლიტვამ 1990 წლის 11 მარტს გამოაცხადა დამოუკიდებლობა), ესტონეთი — 24 თებერვალი და 20 აგვისტო, ლატვია 18 ნოემბერი და 21 აგვისტო.

ერთადერთი საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც (შევარდნაძის ხელისუფლებიდან დაწყებული დღემდე) სახელმწიფო დონეზე არ აღნიშნავს იმ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რომლის ხელისუფლებასაც თავად წარმოადგენს.

ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა უსამართლო და მიზანმიმართული მცდელობა ზვიად გამსახურდიას ღვანლის, ეროვნული ხელისუფლების დამსახურების მიჩქმალვისა. უპატივცემულობაა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისა, რომელთა სახელების უკვდავსაყოფად

იქნა შერჩეული სწორედ 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ, იგნორირებაა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მნიშვნელობისა, უგულვებელყოფაა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციისა, სადაც პირველსავე მუხლში აღნიშნულია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.

აქვე გთავაზობთ 9 აპრილის თარიღთან დაკავშირებით დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 28 მარტის მიმართვას საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც 1993 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ჭყონდიდში“.

### **დიდი ეროვნული თარიღი**

**მინდა გესაუბროთ 9 აპრილზე. 9 აპრილის მომავალი დღესასწაული, რასაკვირველია, ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში. 9 აპრილი არის დღე ჩვენი მონამეებისა, რომელთაც თავიანთი უმანკო სისხლი დაღვარეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აი, ამიტომ აირჩია ჩვენმა უზენაესმა საბჭომ 9 აპრილი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. სწორედ ამ დღეს გამოვაცხადეთ დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მე მინდა, ქართველი ერი შეეგებოს 9 აპრილს ისეთი შემართებით, როგორითაც დაიწყო მან 9 აპრილის მოძრაობა, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის**



მოძრაობა, და სწორედ ისეთი, და უფრო დიდი მასშტაბის აქციები უნდა დაიწყოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და ხუნტის გადადგომის მოთხოვნით.

როგორც მოგეხსენებათ, ხუნტა არ აღნიშნავს არც დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების დღეს და არც დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და ეს შემთხვევით როდია, მეგობრებო. ეს გამონკვეულია იმით, რომ სწორედ ხუნტა არის საქართველოს დამოუკიდებლობის მტერი და მისთვის სწორედაც რომ გლოვის დღეა ეს დღე. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იმპერიის აგენტურისათვის არის გლოვის დღე და ამიტომ ოფიციალურად ხუნტა არც აღნიშნავს ამ დღეს, მაგრამ, რასაკვირველია, ქართველი ხალხი სხვაგვარად უყურებს მოვლენებს და ის ჯეროვნად აღნიშნავს 9 აპრილს ისე, როგორც ეს აღინიშნებოდა ჩვენს დროს. უნდა გაიმართოს უდიდესი მასშტაბის მიტინგები და გამოსვლები მთელ საქართველოში.

დაუკვირდით, მეგობრებო, არ არსებობს რესპუბლიკა ყოფილი საბჭოთა კავშირისა, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს არ აღნიშნავდეს. ერთია დამოუკიდებლობის დღე, რომელიც უნინ იყო გამოცხადებული ჩვენში 26 მაისს და მეორეა დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა რესპუბლიკაში: ლიტვაში, სომხეთში, აზერბაიჯანში... ხელისუფლება ოფიციალურად აღნიშნავს ამას და ხალხი ზეიმობს. საქართველოში კი ეს ზეიმი ფაქტობრივად აკრძალულია. საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც ისევ საბჭოურ-ნომენკლატურული მაფიოზური ხუნტა ბატონობს. ესაა ჩვენი ერის სირცხვილი... უდიდესი სირცხვილი, რომელიც მალე უნდა

მოიწმინდოს ჩვენმა ხალხმა. ეს კი ძალზე სავალალო ამბავია — წარმოიდგინეთ, მეგობრებო, თუ არის დღეს დედამიწის ზურგზე ქვეყანა, რომელიც თავის თავს დამოუკიდებელს უწოდებს და არ აღნიშნავს ამ დღეს?! ეს არის მხოლოდ შვედნადის საქართველო. თუნდაც ამით დასტურდება, რომ ეს არავითარი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, რომ მათ ჩვენში დამოუკიდებლობა მოსპეს, რომ მათ საქართველო კვლავ იმპერიაში დააბრუნეს და მათი მიზანი სწორედ ეს — საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაა. მოსპობა ქართველი ერისა, როგორც ასეთის, და იმპერიის ოცნების განხორციელება — „საქართველო უქართველებოდ“ — აი, ეს არის მათი პროგრამა, მაგრამ მრავალი იმპერია ცდილობდა საქართველოს განადგურებას ისტორიის მანძილზე და კარგად მოგეხსენებათ, როგორც დამთავრდა მათი მცდელობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი  
ზვიად გამსახურდია  
28. 03. 1993.

## 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

ქალბატონმა სალომემ 2018 წლის 6 აგვისტოს საკუთარი სახლის ეზოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: „ეს დიდი



პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობა. მე ვალდებული ვარ ჩემი წინაპრების წინაშე და ყველა იმათ წინაშე, რომელთაც 100 წლის წინათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და შემდეგ ეს დამოუკიდებლობა ველარ აცოცხლეს“.

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 38,64% (615572 ხმა) მიიღო, ხოლო მეორე ტურში 28 ნოემბერს — ამომრჩეველთა ხმების 59,52% (1147625 ხმა).

სალომე ზურაბიშვილი პირდაპირი გზით არჩეული საქართველოს მეხუთე და ბოლო პრეზიდენტია. იგი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც პირველი პრეზიდენტი ქალია.

### წინაპრები

დავიბადე პარიზში 1952 წლის 18 მარტს ქართველი ემიგრანტების — ლევან ზურაბიშვილისა და ზეინაბ კედიას ოჯახში, სადაც მაგიდას ჩემი დიდი ბაბუის ნიკო ნიკოლაძის ფოტო ამშვენებდა, როგორც შეხსენება მინისა და სამშობ-

ლოს ყივილისა. ამ ფოტოსა და ქართული გარემოს გამო არასოდეს მიგრძნია თავი სამშობლოსგან მოწყვეტილად; ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დავბრუნდებოდი საქართველოში, დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყანაში, და ავიხდენდი ოცნებას.

ჩემს წინაპრებს როგორც მამის, ისე დედის მხრიდან საფრანგეთში მოუწიათ ემიგრირება. ბაბუაჩემი დედის მხრიდან მელქისედეკ კედია სამეგრელოში დაიბადა. კედიების მთელი ოჯახი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამსახურში იდგა. მელქისედეკი კი დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების სამსახურში მსახურობდა. მეორე ბაბუა ვანო ზურაბიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს სენატის წევრი გახლდათ. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გამოჩენილ ყველა ინიციატივაში მონაწილეობდა, რადგან მიაჩნდა, რომ „არც ერთი ქართველი, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება აქვს, უსაქმოდ არ უნდა დარჩეს“.

დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში მამაჩემი პარიზის ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეობდა. მის საბუთში ეწერა „წარმოშობით ქართველი“. მან უფროს ძმასთან ერთად დააარსა პარიზის წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია; მისი დახმარებით დაარსდა პენსიონერების ქართულ-უკრაინული სახლი, დანესდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და სხვა სადღესასწაულო თარიღების აღნიშვნა.

### **ქართული ბავშვობა პარიზში და ოჯახი**

ჩემს პარიზულ ცხოვრებას მუდამ თან სდევდა ჩემი ოჯახის წევრთა მოგონებები საქართველოზე. შინ ქართულად ვსაუბრობდით. ასე ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარუ-

ლი, რომელიც არასოდეს მენახა. ჩემს შვილებს უცხოელებ-ისთვის რთულად გამოსათქმელი სახელები — თეიმურაზი და ქეთევანი — დავარქვი და მეც მათთან ქართულად ლაპარაკი ვარჩიე. მიხარია, რომ ისინი თავისუფლად საუბრობენ ქართულად. ქეთევანი ერთ-ერთი ფრანგული სატელევიზიო არხის რედაქტორი და წამყვანია, თეიმურაზმა კი დიპლომატის გზა აირჩია.

ჩემი მეუღლე ჯანრი საფრანგეთში გავიცანი, როდესაც ის საბჭოთა რეჟიმს დაუპირისპირდა და თავისუფლება აირჩია. მან დამაკავშირა იმ საქართველოსთან, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოდა. საფრანგეთში ერთად დავაარსეთ „ქართულ-ევროპული ინსტიტუტი“. ერთად ვაკეთებდით ქართულ საქმეს — ფრანგულ ენაზე გამოვეცით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ვბეჭდავდით სტატიებს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, რათა ევროპას გაეგო, თუ ნამდვილად რა მოხდა ჩვენს სამშობლოში.

### **დიპლომატიური გზა საქართველომდე**

როცა პროფესიის არჩევის დრო დადგა, გადავწყვიტე, დიპლომატი გავმხდარიყავი. ამ არჩევანს ქვეცნობიერად, ალბათ, საფუძვლად ედო იმედი იმისა, რომ დიპლომატის პროფესიით სამომავლოდ საკუთარ სამშობლოს გამოვადგებოდი. დავამთავრე პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა. პირველად დიპლომატიური სამსახური 22 წლისამ რომში, საფრანგეთის საელჩოში, დავინყე.

რომში ყოფნისას გავიგე საქართველოში შექმნილი

დისიდენტური ჯგუფის შესახებ — ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, ძმებმა გუდავებმა დისიდენტური ჟურნალი სწორედ მაშინ გამოსცეს. ჩემთვის ზვიად გამსახურდია ჩვეულებრივი პოლიტიკური ფიგურა არ არის და ვერ იქნება, რადგანაც მისი სახელი დაკავშირებულია ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ფასდაუდებელ მოვლენასთან ქვეყნის უახლეს ისტორიაში — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან.

ჩემი 30-წლიანი დიპლომატიური კარიერის განმავლობაში სხვადასხვა კონტინენტსა და თანამდებობაზე ვმუშაობდი: საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში; ამერიკის შეერთებულ შტატებში; ავსტრიაში; ჩადსა და ბელგიაში.

2003 წლის ნოემბერს საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩად დავინიშნე საქართველოში.

### **ქვეყნის სამსახურში**

2004 წლის 19 მარტს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად დავინიშნე, რომელიც ჩემმა წინაპრებმა 83 წლის წინათ დატოვეს. ამ ემოციის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. ყველაზე რთული იყო რუსეთთან მოლაპარაკება საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე. გადავწყვიტე, ქართულ ენაზე მელაპარაკა რუსულის ნაცვლად, რომელსაც ყოველთვის იყენებდნენ დსთ-ს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ავალებინე წითელი ხალიჩა, რომელიც რუსი მინისტრის თბილისში ჩამოსვლის გამო იყო დაფენილი, როცა მან უარი განაცხადა, ყვავილებით შეემკო დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ძეგლი. 2005 წლის 30 მაისს რუსე-

თის საგარეო საქმეთა მინისტრთან ხელი მოვანერე ისტორიულ შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე.

ჩემი მინისტრობის დროს შეიქმნა „საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების ახალი ჯგუფი“, რომლებიც გვეხმარებიან ნატოსა და ევროკავშირში განწევრიანებაში.

სამწუხაროდ, ჩემთვის ცხადი ხდებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი რეფორმების ნიღბით, ავტორიტარულ სისტემას აშენებდა. 2005 წლის 19 ოქტომბერს დავტოვე თანამდებობა. ცხოვრებაში ბრძოლის ახალი ეტაპი იწყებოდა.

### **ბრძოლა სამართლიანობისთვის**

ბრძოლა არ შემინეყვეტია, რადგან მივიჩნევ, რომ ადამიანი უსამართლობას არ უნდა შეეგუოს. მთავრობის წევრობიდან ოპოზიციაში გადავედი, რათა მებრძოლა სამართლიანობისა და დემოკრატიის გადასარჩენად. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, საფრანგეთში საცხოვრებლად დაბრუნება არც მიფიქრია. ისტორიული უსამართლობის გამო ისედაც დიდი ხნის განმავლობაში არ მქონია სამშობლოში ჩამოსვლისა და მის სამსახურში ჩადგომის შესაძლებლობა. გადავწყვიტე, ცხოვრების დარჩენილი ნაწილი საქართველოს უკეთესი მომავლის შენებისათვის მიმეძღვნა.

ჩემი წინაპრებისგან ასეთი ხასიათი მერგო — არასოდეს ვნებდები ბედს, არასოდეს ვუშინდები წინააღმდეგობას. სწორედ ჩვენ მიერ დაწყებული ბრძოლა სამართლიანობისთვის წარმატებით დაავიროვინა „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მივიღე, როგორც დამოუკიდებ-

ბელმა კანდიდატმა, და გავიმარჯვე. გავხდი საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რაც ჩემთვის განსაკუთრებული სიამაყის საფუძველი გახდა.

### **პირობა წინაპრების, ქვეყნისა და მომავლის წინაშე**

საქართველო აუცილებლად გახდება ძლიერი, ევროპული ტიპის ქვეყანა, სადაც იქნება ერთიანობა, სიმშვიდე და შემწყნარებლობა. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები! ესაა ის, რაზეც ოცნებობს თითოეული თქვენგანი! სანამ შემიძლია ჩვენს სამშობლოს უნდა ვემსახურო — ესაა ჩემი ცხოვრების დანიშნულება.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, თქვენი მხარდაჭერით, გავხდე საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იქნება საზოგადოების გამაერთიანებელი, მედიატორი ხალხსა და ხელისუფლებას შორის!

მჯერა, რომ მოვიპოვებ თქვენს ნდობას და ვიქნები თქვენ მიერ არჩეული საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი! (წყარო: [www.salome.ge](http://www.salome.ge)).



## ყველა ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს

წარსული ანმყოს საძირკველია, ხოლო ანმყო — მომავლისა. ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. „ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ხშირად იმეორებდა ილია ლაიბნიცის ამ აზრს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა მოვწყდეთ წარსულს, შევინარჩუნოთ ენა, მამული და სარწმუნოება. რწმენა და იმედი გვინათებდეს სავალ გზას. არაერთმა მამულიშვილმა შესწირა თავი საქართველოს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. ნუ დავივიწყებთ, რომ „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. ძველი დიდების ნაშთი არ უნდა გაქრეს, დღევანდელი ჩვენი საძირკველია, ცივილიზებული ხალხთა შორის ადგილის დამკვიდრება გვმართებს და არა მონობაში მოპოვებული „გადიდკაცება“.

ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას სიტყვა მარად ცოცხლობს! „თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი — გმირებად“.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მაინც უბედნიერესი ადამიანები იყვნენ, რადგან ერთი დღეც კი არ უცხოვრიათ საქართველოზე ფიქრის გარეშე. ეს რაინდები მხოლოდ ღვთისა და ერის წინაშე იხრიდნენ ქედს. ზვიადმა და მერაბმა გამოაღვიძეს და ფეხზე დააყენეს მთელი ქართველი ერი. ეს ისეთი ფაქტია, რომლის უარყოფა მტერსაც კი არ შეუძლია.

XXI საუკუნეა და ჩვენ კვლავ ვებრძვით ერთმანეთს; ვკლავთ, ვძარცვავთ, ვანადგურებთ მორალურად, ფიზი-

კურად... სანამდე გაგრძელდება ყოველივე ეს?! როგორ  
წარმოგვიდგენია მომავალი?! მსოფლიო საზოგადოებაში  
როგორ დავიმკვიდროთ ჩვენი ადგილი?!

უნდა გავერთიანდეთ, ერთსულოვნად დავძლიოთ შური  
და სიხარბე...

## საქართველოს მინა ეკუთვნის ქართველ ერს

საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია.  
არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონ-  
სოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი,  
აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისაგან.

ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალთა“ მმართველობისა-  
გან გვიხსნა და ხალხი მისი მადლიერია. საზოგადოება მას  
ენდობა და, ბუნებრივია, მოთმინებით ეკიდება მის გაუგე-  
ბარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ  
საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ  
ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისათვის უნდოდა, რათა  
საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიალღუმები, ტელე-  
ვიზიებს არ გაერყვნათ ახალგაზრდობა, სახელმწიფო  
სტრუქტურებს დაეცვათ ტრადიციული მორალური ღირე-  
ბულებები, ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის  
სოციალურ-კულტურული თვითმყოფადობისათვის, მისი  
სპეციფიკური თავისებურებებისათვის და სწორედ ეგ უზ-  
რუნველყოფდა ერის შენარჩუნებას. „ქართული ოცნება“  
ამას ისევე დაგვპირდა, როგორც აფხაზებსა და ოსებთან  
ურთიერთობის აღდგენას, მათთან კავშირების გაუმ-  
ჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინითა და იმედი-  
თაა აღვსილი.

ქართველ ერს არ აქვს იმის სურვილი და ფუფუნება, რომ „ძვირადღირებული“ უსაქმური მაღალჩინოსანი შეინახოს. მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნეს გამოყენებული. შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზეთთან, ოსეთთან ურთიერთობის სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა...

ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა უცხოელებისთვის ქართული მიწა-წყლის ხელაღებით, უკონტროლოდ მიყიდვა, რაც ქართველი აბორიგენი მოსახლეობის უცხოეთში გადინების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლავთ! მხოლოდ ასე თუ მოიპოვებს ქართველი ადამიანი საარსებო საშუალებას, თუმცა ეს უკვე სხვა ანგარიშგასაწივე პრობლემა გახლავთ, რასაც ხშირად აშუქებს და კვლავაც გააშუქებს გაზეთი „ილორი“. ყოველივე ეს ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. რამ გაფიქრებინათ მისი გაყიდვა, გასხვისება, უნებართვოდ მითვისება?! მიწა სამშობლოა, წმინდა მარიამის ნილხვედრი ქვეყანაა. მიწას მოფერება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. მცირემიწიან საქართველოში მიწის გაყიდვა კანონით უნდა აიკრძალოს, ვინაიდან სინგაპურიზაცია ნალექვით ემუქრება ეროვნულ თვითმყოფადობას. საქართველო უნდა გამთლიანდეს და გაყიდული მიწა პატრონს დაუბრუნდეს. საქართველოს მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია.

**ნაკოლეონ გირგვალაძე,  
განათლების დამსახურებული მუშაკი,  
აფხაზეთიდან დევნილი**

## აღვადგინოთ შელახული ღირსება!

საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს სათავეში ედგა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ინტერესით გაეცნენ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომს „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა“.

შორსმჭვრეტელმა და სამშობლოს ბედით დაინტერესებულმა ერისშვილებმა გულთან ახლოს მიიტანეს ღრმად ანალიტიკური, ეროვნულ ღირებულებებზე აღმოცენებული ნაშრომის დედააზრი.

ცხრა წლის განმავლობაში ახალი მთავრობის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა თუ წარუმატებლობამ დააფიქრა ავტორი. ახლახან დაწერილ პუბლიკაციებში ნათქვამია: „ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდით“; „ავგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა“; „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს, დავიღუპებით“. ნაპერწკლები გაკრთა და ალი აინთო. როგორ აღიქმება მკითხველებში ეს შეგონება? უარვყოთ ათასწლოვანი ტრადიცია, რელიგია, ქრისტიანული მორალი და ზნეობა, თუ თვალახელილებმა ვითმინოთ დემოკრატიისა და ადამიანების უფლებების დაცვის ნიღბით როგორ თელავენ ფეხქვეშ სიმართლეს, ადამიანის პატივისა და ღირსებას. მიზანთროპები სპობენ ადამიანურ სიყვარულს, ძარცვავენ ქვეყანას, ერი დამფრთხალი და გზააბნეულია.

რა ხდება ჩვენს თავს? რატომ გააქტიურდა მოსახლეობის

მცირე ნაწილი, რომ ცხოვრების წესად და დემოკრატიულ ნორმად აქციოს კაცის კაცთან და ქალის ქალთან დანყვილება, მათი „მამობისა“ და „დედობის“ აღიარების ხარჯზე მომავალი თაობის სულიერი დამახინჯება?..

თუ გადავხედავთ 1944 წელს აშშ სახელმწიფო მდივნის ალენ დალესის მიერ შემუშავებულ პროგრამას, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ადვილად მიხვდებით: ის, რაც საქართველოში და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება, დიდი ხნის წინათ დაგეგმილი და ნაბიჯ-ნაბიჯ განერილია.

**„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოენყობა და ჩვენ კი ყველაფერს, რაც კი გვაბადია ... მთელ ოქროს, მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით ხალხის გამოსათავყვანებლად.**

ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს იქ (საბჭოთა კავშირში). ჩვენ ქაოსს შევქმნით, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს ყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. როგორ? ჩვენ ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს თანამშრომლებსა და მოკავშირეებს თვით რუსეთში. ერთმანეთზე მიყოლებით ეპიზოდურად გათამაშდება თავისი მასშტაბით გრანდიოზული ტრაგედია, ყველაზე ურჩი ხალხის დაღუპვისა და მისი თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი ჩაქრობისათვის. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენ თანდათან მოვუსპობთ მათ სოციალურ არსს. ხელოვანს გადავაჩვევთ — ჩავუკლავთ მისწრაფებას, შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე უფრო დაბალი გრძნობის ამსახველი და გამოსასულელებელი იქნება. ჩვენ ყველანაირად მხარს დავუჭერთ და შევაქვთ ეგრეთ ნოდებულ მხატ-

ვრებს (ხელოვანთ), რომლებიც დანერგავენ ადამიანის შეგნებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს, ერთი სიტყვით, ყველაფერს ამორალურს.

ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპირატესობას, ბიუროკრატიზმი აყვანილ იქნეს სათნოების სიმაღლეზე. პატივმოყვარეობა და წესიერება გამასხარავებული, არავისთვის საჭირო აღარ იქნება. იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა... უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მანანწალობა, ლოთობა და წარკომანია, ცხოველური შიში ერთიმეორისადმი... უსუსურობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა, ყველაფერი ეს, ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით.

მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ, თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და მთელი ქვეყნის სასაცულოდ გავხდით. მოვძებნით ხერხს, რომ მათ ცილი დასწამონ და ქვეყნის სასაცულოდ გავხდით, მოვძებნით ხერხს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირალეზად გამოაცხადონ... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდობაზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდობისაგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე გავაკეთებთ ამას.

ა. შ. შ. სახელმწიფო მდივანი ალენ დალანსი.  
1945 წ.“

ძვირფასო ერისკაცებო, შეურაცხყოფილ თანამემამულეებო, მოეგეთ გონს! საქართველოში შემოგდებული სიბინძურე — გეიალუმის მონყობა და მათი გამარჯვება ნიშნავს ქართველი ერის გადაგვარებას, ჯანსაღი შთამომავლობის აღკვეთას, რჩეული ვაჟკაცების დასაჭურისებას, ქართველი ქალის გაუბედურებას.

როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ხვალისდელი დღე? როგორ გადაირჩინოს პატარა საქართველომ თავი, რომელიც მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე? ჩვენ უნდა მივმართოთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც შეგვინარჩუნებენ ეროვნულ ტრადიციებს. ქართველებმა უნდა შევძლოთ შელახული ღირსების აღდგენა და ინტელექტუალური ერის რეპუტაციის მოპოვება. ახალმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია დაჯილდოებულია სათანადო ნიჭითა და გონებით, საკითხთა ღრმად წვდომის უნარით. იგი არის გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მას შეუძლია სხვებზე უფრო მეტად აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამოხატვა. იგი აუცილებლად უნდა ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესში.

ვინ დააფასა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზვარაკად შეწირული საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია? — ალექსანდრე ჭაჭიამ. მან ქალაქ ზუგდიდის ცენტრში ძეგლი აუგო მას და განადიდა მისი სახელი.

**ნაპოლეონ გერგაძევა,**  
**განათლების დამსახურებული მუშაკი,**  
**აფხაზეთიდან დევნილი**

## ლაზური ენის მსგავსად მეგრულსაც ემუქრება გაქრობის საფრთხე

„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყენს და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი“ — აკაკი წერეთელი.

არ დაგვკარგოთ ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე; საქართველო კოლხ-იბერთა ქვეყანაა. მათ ერთი წინაპარი ჰყავთ, ერთი ფესვიდან იკვებებოდნენ. საოცრად ტკბილად ჟღერს საყვარელი მელოდია: „იავნანა, მარდუ ნანა, იავნანინა“, — დედის ღიღინი, რომელიც დარწეული აკვნის ხმას უერთდება.

ვინ ზრუნავს საქართველოზე, ვინ ფიქრობს ქართველობაზე?!

სახარებაში ვკითხულობთ: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“, — ამბობს ქრისტე — „ჩემი მორწმუნე, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს“.

ქრისტე მიგვითითებს ლაზარეს ერზე, როს ამბობს: „აღდგება შენი ძმა“, რაზეც ბართა პასუხს აძლევს: „ვიცი, რომ აღდგება აღდგომის უკანასკნელ დღეს“.

საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე დადგა მას




შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყანა 1990-იან წლებში ბევრმა ქართველმა დატოვა და უცხო ქვეყანას შეაფარა თავი. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ქვეყნიდან ადამიანების გადინებას აგრეთვე მოჰყვა შიგა მიგრაციაც — სოფლებიდან ოჯახებმა დედაქალაქს მიაშურეს ლუკმაპურის საშოვნელად. ორი ავტონომიური ოლქის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დაკარგვის შემდეგ ლტოლვილთა დიდმა ნაწილმაც თბილისს შეაფარა თავი.

საუბარი შორიდან დავინყე, მაგრამ ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რათა ნათლად დავინახოთ პრობლემის სიმძაფრე. თბილისში ჩამოსულ ლტოლვილებსა თუ სამეგრელოდან მიგრირებულ ქართველებს მეგრულად ლაპარაკის გამო დედაქალაქის მცხოვრებნი ხშირად აქილიკებდნენ და გამოაჯავრებდნენ ხოლმე, რაც არაერთხელ ყოფილა უსიამოვნების მიზეზი. ანალოგიური მდგომარეობაა სვანებისა და სვანურის მიმართაც. სამაგიეროდ, ჩვენდა სამწუხაროდ, თბილისში „პარკეტზე“ გაზრდილ ახალგაზრდებს სულაც არ აღიზიანებთ „თბილისელი სომხების“ საუბარი და ენა. ახლა აგრერიგად მომრავლებული უცხოელების ენასაც შეეჩვივნენ და მშვენივრად ასხვავებენ, ვინ სადაურია.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში ალბათ მოგისმენიათ ფრაზა: „რა საშინელი კილო აქვთ მეგრელებს (სვანებს)!“ აქვე განვმარტავ, მეგრული კილო არ არის.

დღეს ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებულები ვართ, უხილავი თუ ხილული მტრის წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთ; ვიბრძოლოთ ენის, რწმენის, მინის, ოჯახის, კულტურული და ისტორიული

ფასეულობების დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი უძველესი და უძვირფასესი ღირებულება ქართული ენა და ის ქართველური ენებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შევინარჩუნეთ და რომელთაც ახლა გადაგვარება უწერია, თუ დაცვას ვერ შევძლებთ.



პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მე-2 ყრილობაზე წარმოთქვა მეტად საინტერესო სიტყვა: „არსებობს მეგრული ენა, როგორც სრულფასოვანი ენა, არსებობს მეგრული ენობრივი კულტურა, როგორც ქართული ენობრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. არსებობს და კიდევ უნდა იქმნე-

ბოდეს ლიტერატურული ნაწარმოებები მეგრულ ენაზე. ყველაფერი ეს პატივისცემას შენარჩუნებასა და განვითარებას ითხოვს.

რა არის ცუდი იმაში, რომ ქართველი მოსწავლე საქართველოს ყველა კუთხეში ამას ნაიკითხავს, ამ ჭეშმარიტებას გაიცნობიერებს და, როდესაც სამეგრელოში თავისი თანატოლების წრეში სტუმრად აღმოჩნდება, მეგრულის გაგონებაზე იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ქართულია, მშობლიურია.

შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას?

მოგეხსენებათ, იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით,

იქ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ სკოლებში შემოიღეს იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლება. იტალიელები რატომღაც მიიჩნევენ, რომ ეს ერის კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს. ასევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა სამი წლის წინათ ბრეტონელებისა და კორსიკელების მიმართ, მაგრამ ჩვენს „რეფორმატორებს“ სიამოვნებით გადმოაქვთ დასავლეთიდან ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ყოვლად მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის, ქართული ეკონომიკისთვის, ქართული ეროვნული შეგნებისთვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც მართლა მისაღებია, რომელიც ერის გამთლიანებას ემსახურება, ჩვენი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა ქართველობის მტრობას, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას ნიშნავს“.

1999 წელს, როდესაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების ვალდებულება აიღო, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, არადა, ევროპისკენ მივისწრაფით.

**ამ მეტად მტკივნეულ თემაზე სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ კვარაცხელიას ვესაუბრეთ.**

— საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში კოლხურ-იბერიული მოდგმის თითოეულ ეთნოსუბიექტს უნდა ჰქონდეს თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება-განვი-



თარების შესაძლებლობა. ეს არის ის, რაზეც უნდა იფიქროს, იქადაგოს და იღვანოს თითოეულმა მამულიშვილმა. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ლაზური ენის მსგავსად მეგრულსაც ემუქრება გაქრობის საფრთხე. მართალია, ახალგაზრდები საუბრობენ მეგრულად, მაგრამ იმაზე უნდა

ვიფიქროთ, რა შეიძლება მოხდეს 30-50 წლის შემდეგ — შეიძლება მეგრული ენაც გაქრეს, და ეს თავიდან რომ ავიცილოთ, გამოსავალზე ერთად უნდა ვიფიქროთ.

გლობალიზაციის ეპოქაში თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება საფრთხე და, წარმოიდგინეთ, როგორია მეგრული, ლაზური და სვანური ენების პერსპექტივა.

### — შესაძლოა, ეს ენები საერთოდ გაქრეს?

— ფაქტია, რომ ეს ენები გაქრობის პირასაა. ცალკეული ენთუზიასტის მცდელობა ნამდვილად არ არის საკმარისი ამ ენების გადასარჩენად. უნდა არსებობდეს საზოგადოებისა და, რაც მთავარია, ხელისუფლების კეთილი ნება, რადგან საჭიროა დამცავი საკანონმდებლო ბაზა და მექანიზმები. მიმაჩნია, რომ აუცილებელია კოლხურ-იბერიული (ქართველური) ენების დაცვის სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ სტრუქტურამ, თავის მხრივ, უნდა შექმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას, რომელშიც უნდა ჩაიდოს ყველაფერი, რაც შეუქცევადს გახდის

მეგრულ-ლაზური და სვანური ენების გადარჩენა-განვითარების პროცესს. თუ რა უნდა ჩაიდოს იმ პროგრამაში, აი, ამაზე უნდა იფიქროს საზოგადოებამ და წინადადებებიც შესთავაზოს კომისიას. ვფიქრობ, ეს ენები დაწყებით კლასებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს. აგრეთვე აუცილებელია, ამ ენებზე რადიო და ტელემაუწყებლობა სახელმწიფოს ორგანიზებით. უნდა მოხდეს ამ ენებზე ბეჭდვითი გამოცემების სტიმულირებაც. კიდევ გავიმეორებ: მავანი ენთუზიასტის ძალისხმევა არ არის საკმარისი და, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ მოგვარდა პრობლემა, უახლოეს ათწლეულებში ეს ენები გაქრება. ენის გაქრობა კი, შესაბამისად, ჩვენს იდენტობასაც წაშლის, რაც ეთნოსის სიკვდილია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალგზის მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, გაეთვალისწინებინა ჩვენი პოზიცია ამ საკითხისადმი; ვთხოვეთ, შექმნილიყო ქართველური ენების დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მაგრამ სახელისუფლებო სტრუქტურებიდან არაფრისმთქმელი, გაუგებარი პასუხები მივიღეთ.

**— ამ წერილს რომ წაიკითხავენ, შესაძლოა, ბევრმა სეპარატიზმის ნიშნები დაინახოს?**

— ეს პირველი შემთხვევა არ იქნება. მუდმივად აპელირება იმაზე, რომ „ეს სეპარატიზმია, ეს არის კრემლის ოცნება და იმპერიულ ნისქვილზე წყლის დასხმა“, სიმართლე გითხრათ, უკვე მოსაბეზრებელიცაა და ამაზრზენიც. მავანი მუდმივად ცდილობს, ამგვარი ინსინუაციებით ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვამყოფოს. ფაქტი კი არის ის, რომ არც მე და არც სხვა ენთუზიასტები ბრიუსელს, ვაშინგტონსა და მოსკოვს კი არ ვთხოვთ ამ პრობლემის

მოგვარებას, არამედ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ თბილისს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს ვთხოვთ, მიხედოს საქართველოს უძვირფასეს განძს — მეგრულ და სვანურ ენებს. ამ ქვეყნის ისტორიაში ერთხელ მაინც კეთილინებოს ხელისუფლებამ და დაიკისროს პასუხისმგებლობა კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებაზე. ჩვენ არ გვსურს საკითხის რადიკალიზაცია. ჩვენ გვინდა საზოგადოებრიობის ფართო წრეებისა და ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და თანადგომა. ეს ეროვნული სხეულის ერთიანობას უფრო გაამყარებს. უნდა შეიგნოს დიდმაც და პატარამაც, რომ ამ საკითხის იგნორირება მხოლოდ დააზარალებს ჩვენს ერთიანობას. ამ საკითხზე შესანიშნავად ილაპარაკა ნიჭიერმა ქართველმა კაცმა, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნათქვამს არავინ ითვალისწინებს. არადა, ყველა მისი შეფასება და პროგნოზი, შესაძლოა, წინ დაგვხვდეს.

— **თქვენ რას აკეთებთ მეგრული ენის დასაცავად?**

— 2013 წლიდან ყოველ 29 მაისს აღინიშნება მეგრული ენის დღე ზუგდიდსა თუ სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში. ეს თარიღი საგანგებოდ შეირჩა. ეს არის ენათმეცნიერ **მამანტი ძაძამიას** დაბადების დღე.

წელსაც აღვნიშნეთ და უამრავი სტუმარიც გვყავდა. ღონისძიება ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში ჩატარდა, სადაც მეგრულად კითხულობდნენ ლექსებს, პოემებს, მღეროდნენ და ყველა გამომსვლელი მეგრულად მიმართავდა დამსწრე საზოგადოებას. ამ დღის აღნიშვნის შემდეგ უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება მშობლიური ენის შენარჩუნებით. ეს აგრეთვე იქნება ხელისუფლებისთვის კიდევ ერთხელ შეხსენება, რომ მეგრულ ენაზე

ზრუნვა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან მისი გაქრობით საფრთხე კონსტიტუციით დაცულ ქართულსაც ემუქრება.

მეგრული ენის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე წელს **ლაზი მაჰირ ილდისი** გვეტყუმრა, რომელმაც თქვა, რომ თურქეთში მცხოვრებ ლაზებს აქვთ მშობლიური ენის ცოდნის პრობლემა, მის შენარჩუნებას ცდილობენ, მაგრამ არ აქვთ სათანადო წიგნები და სახელმძღვანელოები, რაც ლაზურის შესწავლის პროცესს ართულებსო.

— **რას ეტყვიტ მეგრელებს, რომლებიც ცდილობენ, მეგრულად აღარ ილაპარაკონ, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ, რომლებსაც ასეთი საგანძური გვაქვს და სათანადოდ ვერ ვაფასებთ?**

— მოვეფეროთ ჩვენს ენას, ვისაუბროთ მეგრულად, სვანურად, ვასწავლოთ შვილებს მეგრული, სვანური და ეს ენებიც დაცული იქნება. კონსტიტუცია არ არის ენის სიძლიერის განმსაზღვრელი, ენის სიძლიერის განმსაზღვრელია ხალხი. **ეკა ნასყიდაშვილი (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, № 363, 12 ივლისი, 2017 წ.).**

## მსოფლიო ცივილიზაცია ზოპოქროს, საკითხავია, საით წავა და რა გოლო ექნება?

ბრძენი ხალხის თქმულია: მეორედ მოსვლა დაიწყო... ამას ფაქტები მოწმობენ. ადამიანები გულცივი მიზანთროპები გახდნენ.

ჰაერი მონამლულია, ჩვენი პლანეტა დაბინძურებულია. ატმოსფერო ნადგურდება. თუ ასე გაგრძელდა, ადამიანებისათვის პლანეტა საცხოვრებლად უვარგისი გახდება. ასე რომ, ჯერჯერობით ცივილიზაციას გადაშენების გზაზე მივყავართ...

ჩვენს ეპოქაში მიმდინარეობს სახელმწიფოებს შორის ტერიტორიების გადანაწილების მძაფრი პროცესები. ეს არის ტერიტორიების მიერთება მიტაცებით თუ ნებაყოფლობით... ისმის კითხვა: რომელი სახელმწიფოა ოკუპანტი? ვინ გადასცა რუსეთს აფხაზეთი და ოსეთი? „ერისკაცებმა“ გაყიდეს თუ გაასაჩუქრეს?

ამ სავალალო პროცესში გარკვეული წვლილი მიუძღვით მოღალატე ქართველებს, რომლებიც ქართველებად იწოდებოდნენ, სინამდვილეში უცხო ქვეყნიდან მოსული პირები არიან. მთავრობა „განვადებით“ ყიდის წიაღისეულ სიმდიდრეებს როგორც ადგილობრივ პირებზე, ისე უცხოელებზე. ამით ერთმა მუჭა ჩინოვნიკებმა ხელთ იგდეს წიაღისეული სიმდიდრეები: ოქროს, მარგანეცის, ქვანახშირის საბადოები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

პატარა საქართველო უცხოელების ზეგავლენას განიცდის. ქართველები კი ლუკმაპურის საშოვნელად მოჯამაგირებლად უცხოეთში გადაიხვეწნენ.



უცხოეთში გადახვენილია მილიონზე მეტი ქართველი. ისინი გაფანტულები არიან რუსეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში, ამერიკაში და ა.შ. დაუბრუნდებიან თუ არა მშობლიურ საქართველოს?

რა მიზეზით ცხოვრობენ ოჯახმიტოვებული დედები უცხოეთში? ქართველი კდემამოსილი ქალები მონურ შრომას ეწევიან და ლუკმაპურის თანხას ოჯახს უგზავნიან.

საქართველოში უმუშევრობაა... ვინ მოაწყობენ გენოციდი? რა კატეგორიის ადამიანები დააპატიმრეს პოლიტიკური ნიშნით და საპყრობილეში ვის „მისცეს ბინა“?

სამაგიეროდ, უცხო ტომებისათვის საქართველოს კარი ღიაა. უცხოელებს ყოველგვარ საყოფაცხოვრებო პირობებს უქმნიან, აძლევენ საქართველოს მოქალაქის სტატუსს...

დემოკრატიის სახელით ფეხქვეშ ითელება ეროვნული ტრადიციები: ენა, მამული, სარწმუნოება. ახალგაზრდობა უზნეობის მსხვერპლი ხდება. რა საშინელებებს არ სჩადიან ჰომოსექსუალები; სატაბის კოსტიუმში გამონყობილი ტრანსვესტიტი ბავშვებსა და მათ მშობლებს ლექსებს უკითხავს, შეკითხვებს უსვამს: „ვის სურს ტრანსვესტიტობა?“ რამდენიმე ქვეყანაში ნება დართულია, დარეგისტრირდეს ერთსქესიანთან ქორწინება — ქალი ქალთან, კაცი კაცთან იფსკვნის ჯვარს. საქართველოს კანონმდებელთა ერთი ნაწილი ცდილობს, ეს კანონი ჩვენთანაც შემოიღოს, ჯერჯერობით ვერ შეძლეს, მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ კანონი გატარდეს. რას ემსახურება ყოველივე ეს? — ერის გადაშენებას.

ძველ დროში ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები ემსახურებოდნენ ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთე-

ბით აღზრდას, სულიერი სინმინდის ქადაგებას... ამჟამად კი დემოკრატიის სახელით უზნეობას ემსახურებიან. მომავალი თაობა სერიალებიდან სწავლობს გარყვნილებას, კაცის კვლას, მოტყუებას, ძარცვას, კაცთა სიძულვილს, უნდობლობას...

გლობალიზაცია ბობოქრობს... ცალკეული დიდი სახელმწიფოები ქარცეცხლში ატარებენ პატარა ერებს და მართავენ მათ. ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ითმენს, რადგანაც ოცდამეერთე საუკუნის მუშები და გლეხები ლიბერალები გახდნენ, ხოლო უზომოდ გაუმაძღარი მეოცნებე ჩინოვნიკები თავშესაფარს სხვა პლანეტაზე ეძებენ.

## **მთავრობამ გაიხსენოს წარსული, დაეყრდნოს ანგჟოს, იფიქროს მომავალზე**

„ვარდების რევოლუციონერები“ ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი ახალმა დემოკრატიულმა ძალამ შეცვალაო.

დაიწყო ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის ძიება და დანერგვა. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისას ვერ გავითვალისწინეთ ქართველი ხალხის ტრადიციული ღირებულებები. საქართველოში დაირღვა ადამიანის უფლებები. ყოველდღიურობად იქცა ხელისუფლების განუკითხაობა. ნუთუ დემოკრატიული დასავლეთი ასეთი დემოკრატიის მშენებლობას გვთავაზობდა?!

რა დააშავეს სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებმა? რაში შეცდნენ თავიანთი „მსოფლმხედველობით“ ჯარისკაცის მამა, ომში დაცემული უწვერულვაშო ჭაბუკები?..

ზუგდიდის ჭადრების ხეივანთან შეკრებილი ვეტერანების, ომის ინვალიდების, ავღანეთში დასახიჩრებული ახალგაზრდების სჯა-ბაასი მოვისმინე: — საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ვეტერანებისათვის ჰოსპიტლის აშენება, ომის ქარცეცხლში გამოვლილი სამშობლოს დამცველი ვეტერანების სახელისა და დიდების უკვდავყოფა. შორს — მათგან ზიზღი და სიძულვილი! პენსიონერებისთვის განკუთვნილი 200 ლარი დღითი დღე უფასურდება. ნამლების, პროდუქტების ფასი იზრდება. სანამ მთავრობის მიერ დანიშნული პენსია საარსებო მინიმუმს გაუტოლდებოდეს, ჯოჯოხეთგამოვლილი პენსიონრები ზეცად ამაღლდებიან...

მთავრობამ უნდა გაიხსენოს წარსული, დაეყრდნოს ანმყოს და იფიქროს მომავალზე.

## „საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“ („მედიამუზეუმი“)

2013 წელს ზუგდიდის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრს დაექვემდებარა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ერთადერთი „მედიამუზეუმი“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“). აქ ხშირად სტუმრობენ საქართველოს მედიის განვითარების შესასწავლად და იმ პირველი გამოცემების დასათვალიერებლად, რომლებიც ძნელბედობისა თუ დალხინების ფაშს გამოიცემოდა და დიდი რუდუნებითა და უსაზღვრო შრომით მოიძია მედიამუზეუმის დამფუძნებელმა, იდეისა და პროექტის ავტორმა, ექსპონატების 80%-ის მფლობელმა, ამჟამად მედიამუზეუმის ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა მარინე დამენიამ. აქ მოსული დამთვალიერებელი დიდი ინტერესით ეცნობა უკვე გაყვითლებული და გაცრეცილი გაზეთის ფურცლებს, რომელიც ბატონყმური, სოციალისტური და ბოლშევიკური აზროვნებიდან ნელ-ნელა ეროვნულ და დემოკრატიულ ფურცლებად და გზავნილებად გარდაიქმნებოდა.

პერიოდული გამოცემების გარდა, მედიამუზეუმში, მიუხედავად ფართის სიმცირისა, ინახება ჟურნალ-გაზეთების მატრიანეები, ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტების, ტელეოპერატორების, პოლიგრაფისტების საავტორო ნიგნები, ნაშრომები, მემორიალური ნივთები, ფოტოარქივი, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალები, ავტოგრაფები; სასტამბო საქმისათვის აუცილებელი ატრიბუტები: შრიფტები, ხა-



„მელიამუზეუმის“ ექსპონატები

ზები, კლიშეები, ცინკოგრაფია, პირველი საბეჭდი მანქანა, პირველი ფაქსი, სხვადასხვა ტიპის ფოტოაპარატები, ფირის გასამჟღავნებელი წამლებიც კი.

ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ბოლო ყრილობაზე (2017 წლის მარტი) მარინე დამენიამ მოახერხა, წესდებაში შეეტანათ ცვლილება, რომ „მედიამუზეუმი“ უკვე დაფუძნდა ზუგდიდში და საქართველოში სხვა „მედიამუზეუმები“, ანუ ფილიალები, არ გაიხსნება, რათა არ დაირღვეს ერთიანი ორგანიზმი და არსებულმა მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაკარგოს თავისი ფუნქცია.

2018 წლის 31 ოქტომბერს მოენყო „მედიამუზეუმის“ ექსპონატების პირველი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი ნივთი. გამოფენა დაათვალიერეს რეგიონის მედიის წარმომადგენლებმა, გუბერნატორის აპარატის თანამშრომლებმა, ქალაქის ინტელიგენციამ, კულტურისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

გამოფენამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ამ გამოფენის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“ (№229, 13 ნოემბერი, 2018 წ.); „ილორი“ (№439, 7-20 ნოემბერი, 2018 წ.); „ნოჯიხური“ (№45, მირკანი, 2019 წ.) და სხვადასხვა ონლაინ გამოცემასა და სააგენტოებში.

## ზვიად გამსახურდია — 80

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს თბილისში, ქართველი მწერლის, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფა-



ლავანდიშვილის ოჯახში; დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა (1957), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით (1962). ჰყავდა ორი მეუღლე და სამი შვილი. ზვიად გამსახურდია წლების მანძილზე მოღვაწეობდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტად. 1973 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. 1972-1977 და 1983-1990 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1970-1977 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.


ზვიად გამსახურდიას გამოქვეყნებული აქვს სამეც-

ნიერო შრომები, მონოგრაფიები, რჩეული თარგმანები, ლიტერატურული თხზულებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომები.

ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უკავია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ დაიწყო ფიქრი და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1956 წელს ზვიად გამსახურდიამ და მისმა მეგობრებმა საბჭოთა კავშირის მიერ უნგრეთში სისხლიანი ინტერვენციის დამგმობი პროკლამაციები გამოაკრეს თბილისის ქუჩებში, რაც არნახული აქცია იყო მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. 1976 წელს გამსახურდიასა და კოსტავას თაოსნობით თბილისში დაფუძნდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი. ზვიად გამსახურდია სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე. ჯგუფი გამოსცემდა იატაკქვეშა თვითგამოცემებს. 1975 წელს გამსახურდია და კოსტავა აირჩიეს საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრებად. მოგვიანებით გამსახურდია აირჩიეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წევრად. იგი აქტიურად თანამშრომლობდა მოსკოვში გამომავალ დისიდენტურ თვითგამოცემით ყურნალში.

დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან „ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, აგრეთვე დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის





მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი (ნარადგინა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა).

ზვიად გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა. ზვიად გამსახურდიამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) ზვიად გამსახურდია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამ მოვალეობას ის 1991 წლის მარტამდე ასრულებდა. 1991 წლის მარტში უზე-

ნაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვებით...

საქართველოში პოლიტიკური უთანხმოება მწვავე წინააღმდეგობაში გადაიზარდა 1991 წლის 2 სექტემბერს. არაფორმალურმა გაერთიანებებმა, მათ შორის „მხედრონმა“, ქალაქში ბარიკადების აღმართვა დაიწყეს. 1991 წლის დეკემბერს ოპოზიციამ საქართველოს პარლამენტზე, სადაც პრეზიდენტი იმყოფებოდა, იერიში მიიტანა. ნიანვარს გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა ალყაშემორტყმული შენობიდან გააღწიეს და საქართველოს საზღვრები დატოვეს...

გამსახურდიას ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა და მისმა მთავრობამ თავშესაფარი უბოძა. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია მთავრობიდან გადაყენებული იყო, იგი აგრძელებდა საკუთარი თავის საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად წარმოჩენას. 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში ის მინვეული იყო ფინეთსა და ავსტრიაში. ორივე ქვეყანაში მან პრესკონფერენციები და შეხვედრები გამართა პარლამენტარებსა და ოფიციალურ პირებთან.

1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა (თვითმფრინავით ჩაფრინდა სენაკში, საიდანაც ჩავიდა ზუგდიდში). ზუგდიდში მან „დევნილი მთავრობა“ აღადგინა. ის განაგრძობდა „მშვიდობიან წინააღმდეგობას არალეგალური სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ“. 1993 წლის 20 ოქტომბერს დაახლოებით 2 000 რუსი ჯარისკაცი შემოვიდა ქართული რკინიგზის დასაცავად და

ქართულ ჯარებს იარაღით დახმარება გაუწია. აჯანყების ჩახშობა სწრაფად მოხერხდა და ზუგდიდი იმავე წლის 6 ნოემბერს დაეცა.

1993 წლის ოქტომბრის დამლევს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი რამდენიმე მხარდამჭერი იძულებულნი გახდნენ თავი სამეგრელოს მთიანი მხარისთვის შეეფარებინათ. სამეგრელოს მაღალმთიან რაიონში გახიზნული პრეზიდენტი, თავდადებული, უანგარო მამულიშვილი, 1993 წლის 31 დეკემბერს სავარაუდოდ ხობის რაიონ სოფელ ხიბულაში სიცოცხლეს გამოასალმეს (ამ ფაქტზე 2004 წლიდან დღემდე მიმდინარეობს გამოძიება). ზვიად გამსახურდიას სიკვდილი ე. წ. „საქართველოს მთავრობამ“ 1994 წლის 5 იანვარს გამოაცხადა. პრეზიდენტის ცხედარი ჯიხაშკარიდან გროზნოში გადაასვენეს 1994 წლის 15 თებერვალს, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევიმ და მისმა ხელისუფლებამ 1994 წლის 24 თებერვალს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პრეზიდენტისათვის შესაფერისი პატივით, ქრისტიანული წესით დაიტირა და უკანასკნელ გზაზე გააცილა.

ზვიად გამსახურდიას ნეშტი 2007 წლის 28 მარტს საქართველოში ჩამოასვენეს და 1 აპრილს დაასაფლავეს მთაწმინდის პანთეონში. მის პატივსაცემად სვეტიცხოველში ჩატარებულ პანაშვიდს ასეული ათასობით ადამიანი დაესწრო, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

მისი დაღუპვის გარემოებები დღემდე უცნობია. არსებობს მისი სიკვდილის რამდენიმე ვერსია, თუმცა მათი სიზუსტის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

## ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავსაყოფად



ზუგდიდის ადგილობრივ-მა ხელისუფლებამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის ფასადზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავსაყოფად, სადაცივისი ცოცხლის ბოლო დღეებში მოღვაწეობდა, გააკეთა ბარელიეფი და წარწერა: „1993 წელს ამ შენობაში მოღვაწეობდა

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“. ქალაქის შუაგულ ქუჩას ეწოდა ზვიად გამსახურდიას სახელი. 2002 წელს ზუგდიდის ცენტრალურ ხეივანში აღექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაიდგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბიუსტი. ასევე, ბიუსტები დაიდგა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. 2005 წელს კულტურის სამინისტრომ კულტურის ძეგლის სტატუსი მიაკუთვნა კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლ-მუზეუმს თბილისში — „კოლხურ კოშკს“. ზვიად გამსახურდიასა და მის დიდებულ მოღვაწეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა 2006 წლის 26 მაისს თბილისში დაფუძნებულ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის ექსპოზიციაში.

2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მესამე პრეზი-

დენტმა მიხეილ სააკაშვილმა მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. ჯიხაშკარში, სადაც იგი დროებით განისვენებდა, დაიდგა მემორიალი. 2017 წელს ა.ა.ი.პ. „ზუგდიდის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრში“ გაიხსნა ზვიად გამსახურდიას მუზეუმი. 2018 წელს ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზს. ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდა თბილისის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, რუსთავის ერთ-ერთ საჯარო სკოლას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიტორიას, და გადაწყვეტილია მისი სახელი მიენიჭოს ზუგდიდის ერთ-ერთ საჯარო სკოლას.

2019 წელს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით არაერთი ღონისძიება გაიმართა, მოეწყო სამეცნიერო-საკონფერენციო თემების კვირეული, ფოტოგამოფენები, კინოჩვენებები. 2019 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა: საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზს, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ზუგდიდში აშენდება ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკა.

ცნობილმა ქველმოქმედმა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მშენებლობა ხიზულაში, რადგან სწორედ აქ გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი სიცოცხლის ბოლო დღეები.

## ექიმი — მოწოდებით, ცხოვრების წესით, სულისკვთებით



**ფრიდონ თოდუას** განსაკუთრებული წარდგენა არასდროს სჭირდებოდა. საქართველოში მას ყველა იცნობდა როგორც მკურნალს, საზოგადო მოღვაწესა და კარგ კაცს; იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2008-2012 წ.წ.), ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კლინიკის ფუძემდებელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, საქართველოსა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოების კავალერი და უამრავი რეგალიის მქონე, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მედიკოსი. და მაინც, უპირველეს ყოვლისა, „მკურნალი და მაჯაშისა შემტყვევებარი“ გახლდათ.

ბატონ ფრიდონს ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობდი, შევხვედრივარ ზუგდიდის საქალაქო კომკავშირის კონფერენციაზე. მოკრძალებული, ღიმილიანი ჭაბუკი იყო. იცოდა საქმიან თემაზე გასაუბრება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდა წავიდა მოსკოვში გამოცდილების შესაძენად. მშობლიურ კუთხეს, საქართველოს, 1990 წელს დაუბრუნდა, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენ-

იჭა და დედაქალაქში სამედიცინო მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა დააარსა. მას უშუალო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული უცხოელ კოლეგებთან.

მქონდა ბედნიერება ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს, საკუთარი აზრი გამომეთქვა ამ დიდ პიროვნებაზე. შეხვედრის დასასრულს ბატონი ფრიდონი თავისებური უბრალოებით, გულთბილად გაგვესაუბრა მე და ჩემს მეუღლეს და მოწინებით გადმოგვცა სავიზიტო ბარათი. — „ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შემემხმიანოთ და პროფილაქტიკის მიზნით მოზრძანდეთ ჩვენს კლინიკაში“, — ასე დაგვემშვიდობა.

ძმა ცუდად გამიხდა. თბილისის უროლოგიის ინსტიტუტის საავადმყოფო გადატვირთული იყო, ძალიან გაჭირდა პაციენტის მიღება. ავადმყოფს სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. გაჭირვების ჟამს ჩვენი ქალაქის მკვიდრი, გაჭირვებულთა შემწე და სნეულთა მკურნალი, ღვთისკაცი ფრიდონი მომაგონდა და ტელეფონით შევეხმიანე. თბილი სიტყვებით გამამხნევა, დამარიგა. 24 დღის შემდეგ ავადმყოფი ფეხზე წამოდგა, ოპერაცია შედეგიანი აღმოჩნდა. ასევე, მეც დამჭირდა ბატონი ფრიდონის დახმარება და მისი რეკომენდაციით დვალის კლინიკის „ახალი მზერის“ ახალგაზრდა ქირურგმა ონისე ცერცვაძემ თვალის ოპერაცია წარმატებულად გამიკეთა. მის დათესილ სიკეთეს შვილიშვილები მოიმკიან. კურთხეულ იყოს მისი ოჯახი, შთამომავლობა.

## ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს

ბატონი ვლადიმერ ვახანია ზუგდიდში შემოვიდა წმინდა ძღვნით — ღმრთისმშობლის ხატის მონუმენტით. ეს პროექტი ჩვენთან (ზუგდიდში) არ განხორციელებულა.



ავტორის ნანატრი ოცნება „ჩაიფერფლა“... მოსკოვიდან ჩამოსულ მამულიშვილს უნდობლობა გამოუცხადეს, შეურაცხყოფა მიაყენეს, გული ატკინეს და ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში ჩააგდეს...

ქართველებო, როგორ შეცდით, სატანურმა სულმა როგორ დაგიპყროთ, როცა მტრულად შეეგებეთ სამარ-

თლის დოქტორს, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას 2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. რეგისტრაციისა და სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდეგ პოლიციისა და სპეცსამსახურის თანამშრომლებმა უსაფუძვლოდ დააკავეთ ყოველგვარი საბუთების გაუფორმებლად, ჩამოართვეთ საქართველოსა და რუსეთის პასპორტები (ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა).

რატომ დაირღვა მისი უფლებები და რატომ შეიზღუდა მისი თავისუფლება, რამ განაპირობა მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები, რატომ გააძევეს აეროპორტიდან პასპორტჩამორთმეული და ტელეფონჩამორთმეული, რატომ გაქურდეს მისი ავტომანქანა?..

2009 წლის 11 მარტს ქ. ზუგდიდში მისი ინიციატივით



პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა ჩაშალეს სპეცსამსახურებმა, ხოლო მოსყიდულმა ჟურნალისტებმა შანტაჟი მოუწვევეს; გავრცელდა ათასგვარი ჭორი. მისმა თანამოაზრეებმა ერთი წლის შემდეგ მაინც შეძლეს პოლიტიკური გაერთიანების დარეგისტრირება.

2009 წლის 15 მარტს მის მიმართ კვლავ განხორციელდა უკანონო სპეცოპერაცია, რომელშიც სპეცდანიშნულების 200-მდე რაზმელი მონაწილეობდა. მის ოჯახში ჩხრეკის დროს მოიპარეს მრავალი ნივთი, ვიზა-ბარათები, ხოლო მასთან მყოფი მეზობლები და უახლოესი ადამიანები დააშინეს ცეცხლსასროლი იარაღის სროლით...

2009 წლის 17 მარტს გამოტანილ იქნა ერისკაცის, ბატონ ვლადიმერ ვახანიას წინასწარი დაპატიმრების განაჩენი. სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება გასაჩივრებულთა ევროპულ სასამართლოში (№40227/09)...

თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის თავგანწირულმა ვლადიმერ ვახანიამ, რუსთავის მკაცრი რეჟიმის №6 საპყრობილეში სამი წელი და ექვსი თვე დაჰყო.

ბატონებო, რატომ გავწირეთ ჩვენს კუთხეში დაბადებული და აღზრდილი მამულიშვილი, ჩვენი სისხლი და ხორცი, რატომ დევნით და აწამებთ ჭეშმარიტების მსახურ ღვთის კაცს?.. უწმინდესი გრძნობით მოგმართავთ, დადგება ჟამი განკითხვისა და ღვთის რისხვაც მოგვევლინებათ, მაგრამ გვიანლა იქნება გოდება...

პასუხი გაეცით დაშვებულ საბედისწერო შეცდომებს. გადაშალეთ და გულისყურით წაიკითხეთ, აღიქვით მისი ავტორობით შექმნილი წიგნი „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი — ქრისტეს ბოლო სიტყვები — ლაზარეს აღდგენა“.

დღეს არსებულ მდგომარეობას, ქართულ ქრისტიანულ

რწმენას, მართლმადიდებლობას ვლადიმერ ვახანია ნიგნში — „ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს“ — ვრცლად აღწერს:

„ქართული ქრისტიანული რწმენა მონამებრივი გზაა მრავალსაუკუნოვანი სწრაფვისა მართლმადიდებლობისკენ — ურიცხვი მტრების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლებში გამონატარები. საქართველოს ისტორია მონამეთა სისხლითა და ნეტარ მამათა ცრემლითაა დაწერილი, ელვიანი ბრძოლების ნიგნია. მასში ასახულია ხანძართა მენამული ალით ნაკურთხი წმინდა რწმენის, მაღალი კულტურისა და გმირობების უპრეცედენტო მაგალითები. იყო დრო, როდესაც საქართველო წარმოადგენდა რწმენის კუნძულს ურწმუნო სამყაროს აბოპოქრებულ ზღვაში, ციური დედოფლის წყალობა მუდამ თან ახლდა მას. ქართულ მიწასა და ქართველ ერს მისი გაცისკროვნებული მაღლი იფარავდა.

რაც დღეს საქართველოში ხდება, გარდაუვალი რეალობაა, რადგან უნდა გვენახა, თუ ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ. ამ ავბედით ჟამს, როცა გმინავს და კვნესის ქართული მიწა, როცა გასამთლიანებელია საქართველო, ნიშანდობლივი იქნება, ამ მიწის მფარველმა ღმრთისმშობელმა საქართველოში, მის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ ზუგდიდში, დაივანოს. ღმრთისმშობლის ხატის მონუმენტი არის ნაყოფი იმ იდეისა, რომელიც განგებამ ჩამაგონა. მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ ღმრთისმშობლის ნებისა, რომლის ხორცუმესხმას სამი წელიწადი მოვანდომე. ღმრთისმშობელი არა მარტო ჩემი ძღვენია, არამედ ობიექტური აუცილებლობაა, რასაც საქართველო და, კერძოდ, ზუგდიდი იმსახურებს იქ დავანებული ნიშნის — ღმრთისმშობლის კვართის გამო.

ღმრთისმშობელი დაანახვებს მთელ მსოფლიოს ჩვენი

ხალხის სწრაფვას ქვეყნის მშვიდობიანი გზით განვითარებისა და გამთლიანებისაკენ. წმინდა მარიამის გამოჩენა ხომ ყოველთვის დასტურია მომავალი გამარჯვებებისა და წინსვლისა. ღმრთისმშობლის ხატის მონუმენტის დაბრძანება საქართველოში განსაზღვრავს ჩვენი აღმავლობის ახალ სანყისს, დადებითად იმოქმედებს არა მარტო მორწმუნეთა გრძნობებზე, არამედ მრავალს ჩაუსახავს რწმენას, სიკეთეს... სიყვარულსა და სიმშვიდეს დათესავს მათში“.

## შეხვედრა ჯუმბერ ლეჟავასთან

სამყარო წიგნია და, ვინც არ მოგზაურობს,  
მხოლოდ ერთ გვერდს კითხულობს ამ წიგნისას.  
ნატარია ავგუსტინა



ზუგდიდის საზოგადოება და მოსწავლე-ახალგაზრდობა შეხვდა მსოფლიოს დიდ ველომოგზაურს ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო მართონი ველოსიპედით. დიდი პატივი მქონდა, მისგან ინტერვიუ ამელო. მიუხედავად დროის სიმცირისა, ყურადღებით მესაუბრა, ჩანთა გახსნა და მისი პირველი ქართული შემეცნებითი ჟურნალის — „მოგზაურის“ ორი ნომერი მისახსოვრა. ვიგრძენი, რომ დიდმა მოგზაურმა ჩემს სულიერ სამყაროში შემოაღწია. ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღე იყო.

## მერაბ ქვარაია — ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი



ბევრს ვფიქრობდი, სანამ მერაბ ქვარაიაზე დავინწყებდი წერას. მე არ მინდა ვილაპარაკო მერაბ ქვარაიაზე, როგორც თანამდებობის პირზე... მერაბი საოცრად გულისხმიერი და ყურადღებიანია. იგი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, აქტიურადაა ჩართული ქალაქის ცხოვრებაში, საკანონმდებლო ინიციატივებში. სისტემატურად ხვდება ამომრჩევლებს, აბარებს ანგარიშს. მასთან მისული ნებისმიერი მოქალაქე, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა დაეხმაროს მას, მაინც კმაყოფილი რჩება. მერაბმა საკუთარი სახსრებით ძალიან ბევრს გაუწია დახმარება. იქნებ ვინმემ იფიქროს, ჰქონდა და დაეხმარაო... არა, აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა, აქ საუბარია მის სულიერ სამყაროზე, თანაგრძნობაზე, თანაქალაქელებისადმი მის დამოკიდებულებაზე.

მერაბი ძალიან კარგი კალმოსანია, არის შესანიშნავი ლექსების ავტორი. სწორედ მისმა შემოქმედებითმა სამყარომ, ოჯახმა და აღზრდამ განაპირობა მისი ჩამოყალიბება კეთილგონიერ, დადებით პიროვნებად.

მერაბ ქვარაია დაიბადა 1972 წლის 13 ივლისს ქალაქ ზუგდიდში. წარჩინებით დაამთავრა მერაბ კოსტავას სახელო-


ბის ქ. ზუგდიდის №2 საშუალო სკოლა; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასპირანტურა. მინიჭებული აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სპეციალობით ეკონომისტი (მაკროეკონომისტი) და სამართალმცოდნეა. ამჟამად დოქტორანტია.

1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატისა და შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობაზე; 1998, 2002 და 2014 წლებში არჩეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკრებულოს წევრად; 2003 წელს იყო შეუმდგარი პარლამენტის წევრი; 2005-2012 წლებში იყო დაპატიმრებული და სასჯელს საქართველოს სხვადასხვა ციხე-საპატიმროში იხდიდა. ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულადაა აღიარებული და შეყვანილია უკანონო პატიმართა სიაში. 2013 წელს მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვისა და პოლიტპატიმრების საკითხებზე მომუშავე სპეციალური კომისიის საქმიანობაში; 2013-2014 წლებში იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე; 2014-2016 წლებში — ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; 2016 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტში ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატად პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოდან“.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

ვამაყობ, რომ მერაბ ქვარაია ჩემი თანაქალაქელია.

## ლაშა გვასალია



მწერალი, ლიტერატურათმცოდნე ლაშა გვასალია დაიბადა 1972 წლის 7 თებერვალს ხობის რაიონის სოფელ გურიფულში. დაამთავრა ხობის №1 საშუალო სკოლა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; იურიდიული ფაკულტეტი; 2013-2014 წლებში კი — ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტი პოლიტიკურ

აკადემიაში. ფლობს: გერმანულ, ძველბერძნულ და რუსულ ენებს. ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გახდა ხობის საკრებულოს წევრი; 2015 წელს დაინიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსად; 2019 წლიდან არის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხვადასხვა დროს იყო გაზეთების: „აღდგომა“ — განყოფილების გამგე; „ეროვნული თანხმობა“ — რედაქტორი; „გზა ხსნისა“ — რედაქტორი; „სტუდენტური ფურცელი“ — რედაქტორი. ჟურნალები: „მიჯნა“ — რედაქტორი, „მწერლობა XXI“ — რედაქტორი.

გამოცემული აქვს 10 პოეტური და პროზაული კრებული. პყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ზუბდიღს

სახარებისად მაფშალიას გალობა ჩუმი,  
ჩამღერებული ენგურამდე მდინარით ჯუშით,  
ხევ-ხევ მითების ბორბოლია მაღალი ზეცით,  
ვნებააშლილი სიყვარულზე ნალესი ლექსით...  
ანაკლიიდან მზე მასქურის ლეღვით ცაშლილი,  
დღე ლეგენდების ლეგიონთა მზერით აშლილი,  
სად ტყაშმაფების კივილისგან გიზგიზებს კერა  
და ოჩოკოჩი მთვარის შუქზე ლოგინებს კვერავს...  
ზღვის ტალღებიდან თოლიების ლურჯი დგაფუნით,  
ამოჩითული კვირტებიდან განცდა აფუნის,  
შემოკვართია სამშვენისად არეს და მარეს,  
გაუტაცნიათ მახარია უხანო ქარებს...  
და სული ლექსით ეწირება ოდოს ნათებით,  
მითაჟამური ტკივილებით და ანათემით  
მოდილაობენ ნანკვარამებ ჟამთა ხილვიდან  
კირბისები და მარადობაც ცით მოხივილდა...  
ცირა და ბოში ინამავენ გულ-პირს გადაშლილს  
სიყვარულით და „ნანას“ გალობს ღმერთი ტაძარში,  
დარაჯობს ურთას სავსე მთვარე — ბერი კეთილი,  
გადასარჩენად ლეგენდების ცად აღკვეცილის...  
მოვდივარ შენთან ანთებული გულის ლექსებით  
და იჯიჯგვება შენს სულთქმაში ჩემი ფესვები.

**ნიგნიდან: „ცადაღვლენილი ლეგენდები“**

## არის წარსული და მომავალი



ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016 წლის 1 ივლისს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა დაამტკიცა. გერბის ფარის ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს სანმისი, რომელზეც მოთავსებულია მენამული ფერის მცირე ფარი — ცენტრში ღმრთისმშობლის ოქროს

კვართით. ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი, სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია ჭიშკრით. გერბის ფარს გარს არტყია შესამკობელი — ვაზის ფოთლების ვერცხლის ორნამენტი. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი „ზუგდიდი“, სადევიზო ბაფთის ორივე მხარეს გამოსახულია ორი მცირე მენამული ჰერალდიკური ჯვარი. ქალაქის დროშის აღწერილობა ასეთია: დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ლაჟვარდისფერ ქსოვილს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ჰერალდიკური ფარი ოქროს მცირე არშიით — ცენტრში ღმრთისმშობლის ოქროს კვართით.

როგორი ისტორია აქვს ჩვენს მშობლიურ ქალაქს?

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ



საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ისტორიულ კოლხეთში, მითური „ოქროს საწმისის“ ქვეყნის შუაგულში. ზუგდიდის გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვასა და მთასთან სიახლოვე, განსაზღვრავდა მის მდიდარ ისტორიას და ის საუკუნეების განმავლობაში გვევლინებოდა ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრად.

მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალები ცხადყოფენ, რომ ქ. ზუგდიდი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან იყო დასახლებული. დროთა განმავლობაში ხდებოდა მისი დაწინაურება ან დაკნინება, მაგრამ საკუთრივ ზუგდიდის, როგორც პოლიტიკური ცენტრის, ისტორია მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ზუგდიდი, როგორც ოდიშის სამთავროს ცენტრი, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის კერაა. აქ ხდება წიგნების გადანერა, თარგმნა, ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშების შექმნა და სხვ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ზუგდიდის აღმავლობის ხანაა. ზუგდიდის სამთავრო დინასტიის მესვეურებმა, დადიანებმა დაიწყეს ევროპული ტიპის სასახლეების მშენებლობა, სადაც გათვალისწინებული იყო აზიური ხუროთმოძღვრების ელემენტებიც.

ზუგდიდში დავანებულია კვართი, რომელსაც გამოაბრძანებენ ყოველი წლის 15 ივლისს ვლადიკლავის დღესასწაულზე. ამ დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიან პილიგრიმები და პატივს მიაგებენ ამ უდიდეს სინმინდეს.

ვამაყოფ, რომ ზუგდიდის უხუცესი მოქალაქე ვარ.

## საზოგადოება „ზუგდიდელი“

საზოგადოება „ზუგდიდელის“ ორგანიზაცია 1993 წელს დაფუძნდა, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო **მურმან დემურია**. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა **მურად ქავთარაძე**. 2008 წელს საზოგადოება „ზუგდიდელის“ მესამე ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს **ოთარ ფაცაცია**.

წესდების შესაბამისად, ყრილობამ აირჩია საზოგადოების პრეზიდენტი და გამგეობა: **კარლო ვეკუა, მურმან ნაჭყებია, დომენტი სიჭინავა, ანზორ ქუჩულორია, ვაჟა ფიფია, ბონდო ჯიქია, რევაზ ცაავა**.

საზოგადოება „ზუგდიდელის“ მიზნები და ამოცანებია: ეროვნული ტრადიციების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, სოციალური სფეროს, სპორტის აღორძინება-განვითარება; ისტორიული ძეგლების დაცვა, ხელშეწყობა და მხარდაჭერა; მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებაში, მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტაში.

საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივითა და მუნიციპალური გამგეობის თანადგომით მოენყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები: პროფესორ **ნაპო მესხიას** წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ პრეზენტაცია; პოლიტიკური დევნილის აკადემიკოს **ვლადიმერ ვახანიას** მხარდამჭერი აქცია; სახალხო დიპლომატიის ამოქმედებისა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან თანამშრომლობის პროგრამით ჩატარდა დისპუტი აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე.

ღვანლმოსილი ადამიანებისადმი პატივის მიგების მიზნით ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებლის **აკაკი ჭანტურიას** სახელი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წინაშე დაისვა ქალაქში **აკაკი ჟვანიას, გვანჯი ჩიქოვანის, ალექსანდრე ეგუტიას, ანდრია დადიანის, ნონა გაფრინდაშვილის, მურმან დემურიას** ბიუსტების დადგმის საკითხი.

საზოგადოება „ზუგდიდელის“ მხარდაჭერითა და დაფინანსებით გამოიცა წიგნები: იონა მეუნარგიას ხუთტომეული; „ზუგდიდი, წარსული, აწმყო და მომავალი“; ცნობილი ფრანგი მოგზაურის, ქართველოლოგის, აკადემიკოს მარი ბროსეს წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და აფხაზეთში“ — თარგმნილი ქართულ ენაზე.

საზოგადოება „ზუგდიდელი“ პატივს მიაგებს ცოცხალ თუ ან განსვენებულ თვალსაჩინო პიროვნებებს: **კარლო ხორავას, ნოდარ ჭითანავას, გონერი არახამიას, ტიტე მოსიას, გურამ კვარაცხელიას, იური წონერიას, არიანე ჭანტურიას, ვახტანგ კვარაცხელიას, ლავრენტი ლატარიას, კონსტანტინე თათარიშვილს, იონა მეუნარგიას, შალვა ჩილაჩავას, ფრიდონ თოდუას, დავით აბსავას, ისაკ ქორთუას, ლეო ჩიქავას...**

საზოგადოება „ზუგდიდელი“ აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მასმედიასთან. ესენია: გაზეთები — „ზუგდიდი“; „ეგრისის მაცნე“; ტელემაუწყებლობა — „ოდიში“; რესპუბლიკური გაზეთები — „ილორი“; „მსოფლიო და საქართველო“; „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვ.

## სახალხო ზეიმი „ზუგდიდობა“



სახალხო ზეიმი „ზუგდიდობა“ პირველად 2016 წლის 10 სექტემბერს აღინიშნა, რომელიც საზეიმო მსვლელობით 12:00 საათზე გაიხსნა. შემდეგ გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება.

ცენტრალურ ბულვარში გამოიფინა ხალხური რენვის ნიმუშები, ხელნაკეთი ნივთები, ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრები; წარმოდგენილი იყო მეგრული სამზარეულო, მეგრული ყველი და ღვინის სხვადასხვა სახეობა, გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა „კინტირიას დიარა“, მოეწყო ფოტოგამოფენა „ძველი ზუგდიდი“, სპორტული ღონისძიებები, ვარსკვლავი გაუხსნეს რეზო ბულიას სახელობის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჩელას“.

დადიანების ეზოში თეატრალური წარმოდგენების მეოხებით გაცოცხლდა ეკატერინე ჭავჭავაძის ჩამობრ-

დანება, „მთვარის მოტაცება“; გააცოცხლეს ბერტა ფონ ზუტნერი და იონა მეუნარგია; გაიმართა ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლების, საბავშვო ანსამბლების კონცერტი. 21:00 საათზე მოენყო გალა-კონცერტი „CHECK IN GEORGIA“.

დააჯილდოვეს საპატიო ზუგდიდელები.

პირველ „ზუგდიდობას“ მთავრობის წევრები, პარლამენტარები, ელჩები და საქართველოს სხვადასხვა მხარის წარმომადგენლები დაესწრნენ და მასპინძლებს „ზუგდიდელობა“ მიულოცეს.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა მერაბ ქვარაიამ აღნიშნა: „ეს დღე სიმბოლოა ერთად დგომისა და ქალაქზე ზრუნვის. დღესასწაული „ზუგდიდობა“ ტრადიციული გახდება და ყოველი წლის შემოდგომაზე აღინიშნება“.

სტუმრებს მასპინძლობა გაუწიეს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა და ქალაქ ზუგდიდის მერმა.

## 2014 წლიდან განხორციელებული პროექტები

2014 წლიდან დღემდე ქ. ზუგდიდში გადაიხურა 26 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და 15 კერძო სახლი, 107 ქუჩაზე მოენყო გარე განათება, 30 ქუჩაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე არხებს, 6 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონისა და რკინა-ბეტონის საფარი დაიგო, განხორციელდა 52 შიდა გზის რემონტი, კეთილმოენყო ქალაქის ცენტრალური ქუჩების ტროტუარები, განთავსდა 200 ახალი ნაგავშემკრები კონტეინერი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს. რეაბილიტირებულ იქნა რუსთაველის ქუჩაზე მინისქვეშა გადასასვლელი.

ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში მოენყო სარწყავი სისტემა, წყალსაწრეტები და მოაჯირებიანი ხიდ-გადასასვლელები, განთავსდა დეკორატიული ქოთნები, ახალი სანაგვე ურნები, დაიდგა ახალი სკამები, შეიცვალა განათების სისტემა, ბულვარის ტროტუარებზე შშმ პირების დაუბრკოლებელი მოძრაობისათვის მოენყო პანდუსები, განახლდა ბულვარის გამწვანება. სხვადასხვა სამუშაოებზე დაიხარჯა 789 970 ლარი.

არქიტექტორ ლეონიდ ვასილიევის მიერ XIX ს-ის 80-იან წლებში აშენებულ დადიანების სასახლეთა კომპლექსში შემავალი ნიკოსეული სასახლე წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა დროულ რეაბილიტაციას, რომელიც განახორციელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით.

აღდგა ბოტანიკური ბაღის წყალმომარაგების სისტემა და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ სამუშაოებზე დაიხარჯება 11 მილიონ 974 ათას 436 ლარი.

ზუგდიდში სათანადო ყურადღება ექცევა იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას და მათი პრობლემების გადაჭრას. 2015-2016 წ.წ. ხელისუფლებამ იძულებით გადაადგილებულ 594 ოჯახს ზუგდიდში საცხოვრებელი ობიექტი პირად საკუთრებად დაუმტკიცა. ბინებით ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია ლტოლვილის სტატუსის მქონე ადამიანები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2017 წელს განეული მუშაობის ანგარიშის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დევნილთა სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიის მუშაობას. შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით, შესწავლილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან შემოსული წერილობითი მიმართვები დევნილთა საცხოვრებელი ადგილის დადგენაზე; განხილულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; აფხაზეთიდან დევნილ 360 პირს გაენია შუამდგომლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზუგდიდის მერიის წინაშე სოციალური დახმარების თაობაზე; ხოლო 70 ოჯახს — საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, გარემონტებაზე და სახლის შესყიდვაზე; ასევე, მათ შუამდგომლობა გაენია აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოების წინაშე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მძიმე საყოფაცხ-

ოვრებო პირობების მქონე ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამის ფარგლებში 2015-2016-2017 წლებში 66 სახლი ააშენა. 2015 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს სწორედ ამ პროექტის განხორციელებისათვის გადაეცა სპეციალური ჯილდო. აღნიშნული პროგრამისათვის 2018 წელს 700 000 ლარია გამოყოფილი, აქედან 100 000 ლარი „ერთი თბილი ოთახის“ პროექტისთვისაა გათვალისწინებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს. დაწესდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია თვეში 250 ლარის (დარიცხული) ოდენობით ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

თვითმმართველობა ზრუნავს თავის ქალაქზე.

## 2018-2021 წლების გეგმა

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი: თუ 2013 წლის მონაცემებით, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სულ გადასახდელები 32,2 მლნ ლარს შეადგენდა, 2017 წელს ამ მაჩვენებლებმა 43,7 მლნ ლარი შეადგინა. 32 მლნ ლარიდან 45,8 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლები; იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც: ზუგდიდის მუნიცი-



პალიტექმა 2013 წელს გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2,1 მლნ ლარი მიიღო, 2017 წელს კი შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებელი 9,1 მლნ ლარია.

**ეკონომიკა და დასაქმება:** ქვეყნის სწრაფი და თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საქართველოს ხელისუფლების ოთხპუნქტიანი გეგმის უმთავრესი მიზანი და პრიორიტეტია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად განხორციელდება სოფლის მეურნეობისა და მენარმეობის მხარდამჭერი პროგრამები. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა.

**სოფლის მეურნეობა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განსავითარებლად გაგრძელდება სამელიორაციო სამუშაოები. 2020 წლისათვის წყალურუნველყოფილი მიწის ფართობის ზრდა კიდევ იგეგმება, რომელიც სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას განაპირობებს. გაგრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, ასევე, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა; შეიქმნება ახალი კოოპერატივები, რომლებშიც გაერთიანდება 2828 ფერმერი და ა.შ.

**მენარმეობის განვითარება:** გაგრძელდება მენარმეობის მხარდამჭერი პროგრამები. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პროგრამით „ანარმოე საქართველოში“ დაფინანსდება 63 პროექტი, 2018-2021 წლებში 6 მლნ ლარის ოდენობით გაიცემა დაფინანსება და შეიქმნება 900 ახალი სამუშაო ადგილი.

**ტურიზმის განვითარება:** ტურიზმის განსავითარებლად 2014 წელს გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენ-

ტრი. ყოველწლიურად გაიმართება ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „ჯამფესტი“, რომელიც მეოთხე წელია ანაკლია-განმუხურში ტარდება.

**2017-2021 წლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტები:** სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია — 4 მლნ ლარი; საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია; საცურაო აუზის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდში ქუჩების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია; მდ. ჩხოუშიაზე ორი საავტომობილო ხიდის მშენებლობა და ნაპირდამცავი რკინა-ბეტონის საყრდენ-სარეგულაციო კედლების მშენებლობა (2018-2021 წწ.).

საუკუნენახევრიანი ისტორიის მქონე შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატული თეატრი 2 წელიწადში სრულად რეაბილიტირდება. ახალ თეატრს ექნება ევროპული სტანდარტების ორი დარბაზი. დიდი დარბაზი — გათვლილი 370 მაყურებელზე, მცირე დარბაზი კი — 130 მაყურებელზე. თეატრს ექნება სახელოსნო, საგრიმიორო, სამკერვალო, საკონფერენციო დარბაზი, კაფე; დამონტაჟდება განათების, გახმოვანების უახლესი აპარატურა; გასტროლებზე ჩამოსული სტუმრებისთვის მოეწყობა სასტუმრო.

პროექტის ღირებულება შეადგენს 20 მილიონ ლარს.

## ბიოგრაფია



კლარა ივლიანეს ასული ფაჩუაშვილი დაიბადა 1937 წლის დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, მოსამსახურის ოჯახში. 1947-1957 წლებში სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით. ბავშვობა დარჩა მძიმე ტკივილიან

მოგონებად. მათი ბედნიერი ოჯახი 1937 წლის რეპრესიის მსხვერპლი გახდა. უდანაშაულო მამა ციმბირში გადაასახლეს. ბედის ანაბარად დარჩენილ დედას სამი მცირეწლოვანი ბავშვი შერჩა აღსაზრდელად. ხალხის მტრად აღიარებულ ოჯახს მთავრობა ავინროებდა, სახლი და საოჯახო ნივთები ჩამოართვა, საკუთარ ეზოში მოყვანილი სიმინდი წაართვა, მიწა ჩამოაჭრა და ორივე ვაჟიშვილი სკოლიდან გაურიცხა.

ამ ოჯახს რეპრესიები და ავბედობა 1921 წლიდან დაებედა. ზუგდიდის მაზრაში რუსეთიდან შემოსული ნითელი არმიის ნაწილმა ბაბუა ბასასი სიჭინავა (დედის მხრიდან) სიკვდილით დასაჯა, სახლ-კარი დაურბია, მისი ბიბლიოთეკა ცეცხლს მისცა.

კლარა ფაჩუაშვილი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაება. პირველი შრომითი ნათლობა ზუგდიდის №1 ჩაის ფაბრიკაში მიიღო. შემდეგ ინგურქალაქდკომბი-

ნატში გადავიდა და მუშაობა დაიწყო ქალაქის წარმოების საამქროში მუშად. რთული და გრძელი გზა განვლო ქალაქის კომბინატში. აითვისა სხვადასხვა პროფესია: ლაბორანტი-ქიმიკოსის, მხაზველის (ტექნიკური განყოფილება), საბუღალტრო-სატაბელო აღრიცხვის. სრულიად ახალგაზრდა გახდა სკკპ-ს წევრი. ყოველგვარ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებას კეთილსინდისიერად ეკიდებოდა. შრომაში ღირსეულთა შორის ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

ჯერ კიდევ ბავშვობისას, მონდომებითა და საქმის სიყვარულით წერდა და აქვეყნებდა წერილებს გაზეთში „ნორჩი ლენინელი“. შემდეგ რაიონულ გაზეთ „მებრძოლში“ ბეჭდავდა საინტერესო მასალებს, იყო შტატგარეშე კორესპონდენტი. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა გაგრძელდა ინგურქალაქკომბინატის მრავალტირაჟიან გაზეთ „ენგურის მუშაში“ .

განვლო დრომ. მისი დახვეწილი მრავალფეროვანი მასალები: მოთხრობა, ლექსი, ინფორმაციები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში: ჟურნალში „საქართველოს ქალი“; გაზეთში „ზარია ვოსტოკა“; ინგურქალაქკომბინატის ხე-ტყისა და ხის დამუშავების მრეწველობის სამინისტროს გაზეთში „Лесная промышленность“.

1989 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1980 წლიდან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი; 1991 წლიდან — საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“; ხე-ტყისა და ხის დამუშავების სამინისტროს „საპატიო სიგელით“; „საქართველოს პრეზიდენ-

ტის“ 2002 წლის 22 დეკემბრის განკარგულებით, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისა და აქტუალური ცხოვრებისეული თემების მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოჩენაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებისათვის „ღირსების ორდენით“; 2016 წელს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითა კავშირმა მიანიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. გამოსცა წიგნი „ქალის სუსტი — ქალი ძლიერი“.

ჰყავს მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

**ს/გ „საქქალაქმრეწვის პარტიულ კომიტეტს,  
გაზეთ „ენგურის“ მთარგმნელის  
კლარა ივლიანეს ასული ფაჩუაშვილის**

## **განცხადება**

სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როცა სკკპ-ს წევრი გავხდი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ შევიდოდი პარტიაში, მე კომუნისტური პარტია წარმოდგენილი მქონდა, როგორც ყველაზე წმინდა და პატიოსანი ორგანიზაცია, ხოლო პარტიის წევრი — ყველაზე ჰუმანურ და სამართლიან ადამიანად, პარტიული მუშაკი კი საქმისათვის მებრძოლ და ხალხის ერთგულ პიროვნებად.

ახლაც მახსოვს 30 წლის წინათ დაწერილი განცხადება: „გთხოვთ მიმიღოთ პარტიის რიგებში, რათა ბეჯითი შრომითა და სწავლით ვასახელო დედასამშობლო“. ამ დაპირებისათვის არასოდეს მიღალაგია. საშუალო სკოლის მოსწავლე ბეჯითად ვშრომობდი საკოლმეურნეო მინდვრებზე,

შემდგომ — სანარმოში. ჩემი სურვილი იყო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიმელო უმაღლესი განათლება. ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებებს ვასრულებდი პირნათლად და სინდისიერად. პარტიული პირადი კეთილდღეობისათვის არასოდეს გამომიყენებია, ყოველთვის ვიბრძოდი უსამართლობის წინააღმდეგ, თუმცა ამის გამო „მშობლიურ კომუნისტურ პარტიას“ ჩემთვის მადლობა არ გამოუცხადებია...

ცხოვრებამ ნათლად დამიდასტურა, რომ პარტია არ ეფუძნებოდა ჰუმანისტურ იდეებს. იგი არ იცავდა სიმართლესა და პატიოსნებას; ჩემთვის მომაკვდინებელი იყო სიყალბე და ორპირობა. უღირსი იკავებდა ღირსეულის ადგილს, უნიჭო წინ ეღობებოდა ნიჭიერს, უგუნური ბატონობდა გონიერზე.

ჩვენი ოჯახი თავიდანვე იყო ტრაგიკული ბედისა. ჯერ კიდევ 1921 წელს ბოლშევიკებმა ჯალათურად მოჰკვეთეს თავი უცხოეთში განათლებამიღებულ ბაბუას (დედის მხრიდან) და დაურბიეს სახლ-კარი, დაწვეს მისი ბიბლიოთეკა. 1937 წელს რეპრესიების ქარიშხალმა გადაუარა ჩვენს ოჯახს. მამაჩემი შორეულ ციმბირში გადაასახლეს (მოგვიანებით რეაბილიტირებულ იქნა, მთავრობამ მას ბოდიში მოუხადა „შენუხებისათვის“). მამაპაპისეული ოდასახლი გაგვიყიდეს, ბავშვები ბედის ანაბარა მიგვყარეს მიწურის ქოხში. სამამულო ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ბიძები, ბიძაშვილები. მიუხედავად ამდენი ჭირ-ვარამისა, მარადყამს ერთგული ვიყავი და ვიქნები ჩემი რწმენისა, მშობლიური ერისა.

თბილისის 9 აპრილისა და აფხაზეთის ივნისის ტრაგედიები გაუნელებელი ტკივილია ჩემთვის. ქართველი

მამულიშვილების პირსისხლიანი დამსჯელები დღესაც დაუსჯელი დაპარპაშებენ. ამიტომ, ბუნებრივია, პარტიისადმი რწმენა და ნდობა მთლიანად დაეკარგე. სამაგიეროდ, ერთგული ვრჩები ჩემი პოზიციისა. სიმართლის, პატიოსნების, ჰუმანიზმის, გამარჯვების რწმენა მასულდგმულებს. ამჟამად ჩემთვის ახლობელია საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დღეს — 28 ოქტომბერს — ჩემს ხმას ვაძლევ დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერებას.

ვინაიდან დღეისათვის დამოუკიდებელი საქართველოს კომუნისტური პარტია არ არსებობს, გთხოვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასულად მიმიჩნიოთ. პარტიული ბილეთი №12575213, რომელსაც მთელი სიცოცხლე თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, ამ განცხადებას თან ერთვის.

**კ. ი. ზაჩუაშვილი,**  
**1990 წ. 25 ოქტომბერი**

## დაუვინყარი შეხვედრა

მინდა გესტუმრო, ჩემო სოფელო,  
რომ დაგიფასო ის სიყვარული,  
რაც ბავშვობიდან გამომატანე,  
რითაც გამითბე პატარა გული...

კ. ფაჩუაშვილი



20 ივნისს სოფელ ანაკლიის საჯარო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა მიმინვია ჩემი წიგნის „ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ განხილვაზე. დიდი პატივი მერგო, რადგან ვარ სოფელ ანაკლიის ღვიძლი შვილი და ამავე სოფლის საშუალო სკოლის (1956-1957 წ.წ.) კურსდამთავრებული. სკოლამ წიგნის განხილვასთან ერთად ჩემთვის სრულიად მოულოდნელად აღნიშნა ჩემი საიუბილეო თარიღი — 80 წელი.





გულახდილად გითხრათ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთხელაც არ მიცდია დაბადების დღის აღნიშვნა...

ნაშრომი ვრცლად მიმოიხილა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **მანანა ცხადაიამ**. მან თქვა, რომ ამ წიგნის სახით „მკითხველს ხელთ აქვს სამეგრელოს ახლო წარსულის გაცოცხლებული მხატვრული მატრიანე, ისტორია. წიგნი „ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ სამი ნაწილისაგან შედგება: მემუარები, წერილები, მხატვრული შემოქმედება. მთლიანობაში ეს სიუჟეტურ ქარგად აკინძული ნამუშევარია. აქვე წარმოდგენილია მრავალეროვან მექალაქდეთა კოლექტივის ისტორია. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სადიპლომო ნამუშევრებს: „არალეგალური ქართული ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „ოჯახი სოციალიზმის და კომუნიზმის დროს“. საინტერესოდ იკითხება მხატვრული ტექსტები — „სულის იდუმალება, ანუ ფრაგმენტული ფიქრები“, წერილები, მოგონებები“...

მთავარი პერსონაჟის, ძლიერი ქალის თავგადასავალზე ისაუბრა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორმა,



შეხვედრა ანაკლიის საჯარო სკოლაში.  
2017 წელი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა **ბორის მიშველადემ**. მან ახალგამოცემულ კრებულს „სამეგრელოს ჟურნალისტური მათიანე“ უწოდა.

შეხვედრა გაალამაზა ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლაზიკამ“ (ხელმძღვანელი **თ. სიჭინავა**). ყმანვილებმა მაღალი ოსტატობით შეასრულეს სიმღერები: „მაგრად დაჰკარით“; „მუმლი მუხასაო“; „შენ ხარ ვენახი“; „ლაზური ნანა“. სიმღერებს ენაცვლებოდა ცეკვა „თუშური“; „მოცეკვავეთა წვიმა“. ნორჩმა დეკლამატორებმა მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს ჩემი ნოველა „ატმის ყვავილები გიყვარდა, დედი“. ნორჩმა დეკლამატორმა **მ. ლუკავამ** წაიკითხა თავისი დიდი პაპის, ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის **ბიქტორ მათეს ძე დიდიშვილისადმი** მიძღვნილი ნარკვევი „სიტყვით დამპურებელი მოძღვარი“ და ღვანლმოსილი პედაგოგის **ნაპოლეონ გერგედავასადმი** მიძღვნილი ნარკვევი „მწ წლის გადასახედიდან“. საზოგადოების მოწონება დაიმსახურა ნარკვევებმა: „ბალადა უკვდავებისა“, „გაზაფხულის სუნთქვა“.

იმდენად გულწრფელი აღმოჩნდნენ ბავშვები, რომ მეც მათთან ერთად ვიმღერე და აღფრთოვანებულმა წავიკითხე საკუთარი ლექსი „მერცხალს“.

ულამაზეს სცენას ამკობდა ატმის ყვავილებით დამშვენებული ხე, ნატურმორტები, ყვავილები. ნორჩი მსახიობები: **მ. ლუკავა, ვ. ზაქარაია, მ. რაზმაძე, ნ. წურწუშია, ნ. გულუა, ს. გოგოხია, მ. ხუნწარია, ლ. ლორჩოშვილი, ს. ნინუა, ე. ჭყუია, სანდრო და ლუკა შამათავეები, ანა და ნანა დანელიები** მზრუნველობით მევლებოდნენ თავს. მადლიერების ნიშნად, ჩემი მეუღლე, დამსახურებული პედაგოგი **ნაპოლეონ გერგედავა** სიყვარულით მოძღვრავდა ნორჩებს...

საიუბილეო საღამოს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ის ნუთები, როცა ბავშვებთან ერთად სკოლის ეზოს შუაგულში დავრგე მუხის ხე. ნორჩებმა პირობა დადეს, მოუვლიან და გაახარებენ მწერლის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის კლარა ფაჩუაშვილის სახელზე დარგულ ფესვმაგარ მუხას.

შეხვედრა დამთავრდა...

ჩემი სკოლიდან ისე როგორ წამოვიდოდი, ჩემი ბავშვობის ნაკვალევი არ მეძებნა სკოლის ეზოში. ჯერ ეკლესიას ვესტუმრე, სანთელი დავანთე, შემდეგ დავათვალიერე საკლასო ოთახები, რომლებიც, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ისე კეთილმოწყობილი, როგორსაც ველოდი. სკოლის სახურავი გამოსაცვლეელია, მოძველებულია ელექტროგაყვანილობა, არ მოქმედებს გათბობის სისტემა. გული დამწყდა. გადავწყვიტე, ეს ამბავი მეცნობებინა იმ ადამიანებისათვის, ვისაც ამ სკოლის დახმარება ევალეობა. მეორე დღესვე ვესტუმრე განათლების სამინისტროს წარმომადგენელს ზუგდიდში **მიხეილ არქანიას**, რესურსცენტრის დირექტორ **კახა ფარცვანიას**, ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატ **მერაბ ქვარაიას** და ვთხოვე, გაითვალისწინონ ანაკლიის სკოლის სავალალო მდგომარეობა და ახალი სასწავლო წლისთვის მაინც შეუქმნან მოსწავლეებს სათანადო პირობები ნორმალური განათლების მისაღებად.

იმედია, ახალ სასწავლო წელს განახლებულ, მონესრიგებულ გარემოში მოუწევთ ანაკლიელ მოსწავლეებს სწავლის დაწყება.

# სამეგრელოს ჟურნალისტური მატინა

## ქალი მუდამ ძლიერი

ამ წიგნის ავტორს, ისე როგორც ვაჟა-ფშაველას ჩარგლიდან, ფეხი არ მოუცვლია მშობლიური მხარიდან და დარჩა „იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე სამეგრელოსი“. დიახ, მკითხველს ხელთა აქვს სამეგრელოს ახლო წარსულის გამაცოცხლებელი მხატვრული მატინა (გნებავთ, ისტორია დაარქვით). ჟამთა აღმწერელი კი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი კლარა ფაჩუაშვილი. ვინც ამ წიგნს გულდასმით წაიკითხავს, „ეგრისი არ შეუყვარდეს, ყოვლად შეუძლებელია“.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ამ ბიოგრაფიული ნარკვევის — 350-გვერდიანი წიგნის — სრულყოფილი შეფასებისა. საგაზეთო ანოტაციაში ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ ზოგიერთი შტრიხის წარმოჩენით შევეცდებით მკითხველის დაინტერესებას. წიგნი „ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ სამი ნაწილისაგან შედგება: მემუარები, წერილები, მხატვრული შემოქმედება და მთლიანობაში ეს სიუჟეტური ქარგა აკინძულია მთავარი პერსონაჟის — ძლიერი ქალის თავგადასავალზე. არსად ჩანს, რომ ეს ქალი სადმე სუსტია, სადმე შედრკა, პირიქით, იგი ყველგან მუდამ ძლიერია. ე. ი. კლარა ფაჩუაშვილი მუდამ საზოგადოების აქტიურ წევრად გვევლინება. იგი მძაფრი ქარტეხილების მონაწილეა. წიგნში ვკითხულობთ და განვიცდით 1937 წლის რეპრესიების სუსხს, დიდი სამამულო ომის საშინელებებს, უფრო მწვავედ კი — აფხაზეთის, იმავე სამეგრელოს, იმავე საქართველოს ტრაგედიას.

ავტორი ყველგან რჩება, დიდ პატრიოტად და ჰუმანისტად. ქალბატონი კლარა ამაყობს (და ვინ არ იამაყებდა) იმით, რომ მოღვაწეობდა, ტრიალებდა ისეთი ადამიანების მხარდამხარ, როგორიც გახლავთ ჟურნალისტიკის კორიფე

**ნოდარ ტაბიძე;** დიდი ზუგდიდელები **შალვა შენგელი** და **ისაკ ქორთუა;** გამოჩენილი სამეურნეო მუშაკები **ოთარ ფაცაცია, ბაკურ გულუა, ბონდო ჯიქია;** საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია;** ეროვნული გმირი **მერაბ კოსტავა...**

თავად ავტორის ჟურნალისტურ ოსტატობაზე, წერის მანერაზე კარგის მეტი, აბა, რა გითხრათ. განყოფილებაში „შემოქმედება“ მოგხიბლავთ მისი მინიატიურები, ლექსები, ბრწყინვალე ნარკვევები. ეგ მასალა ეძღვნება ზუგდიდის ინგურქალაღკომბინატის სახელოვან ისტორიას. მარტო სათაურებით მიხვდებით, რა შემოქმედებითი და პოეტური გზნებაა ჩაქსოვილი ნაშრომში. თავს უთუოდ წაგაკითხვით „მაპატიე, დედი!“, „სტამბა — ჩვენი ოჯახი“, „ბედისწერის გჯერათ?“ „ჩემი ბიბლიოთეკა“, „ბალადა უკვდავებისა“, „მე და წლები“...

წიგნის მშვენიერებაა მდიდარი ფოტოარქივი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ნარკვევი „ღვანლმოსილი პედაგოგი“, რომელიც ასახავს აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის **ნაპოლეონ (ნაპო) გერგედავას** ცხოვრების გზას.

მრავალმხრივი შემოქმედია ჩვენი კოლეგა და მეგობარი კლარა ფაჩუაშვილი, ბრწყინვალე ჟურნალისტი, — ეს თავისთავად. ამავე დროს, ჩინებული თეატრალია, ჩინებული მსახიობია, ბევრი საოცარი ზეიმისა და პოეზიის საღამოს ორგანიზატორია, პრესის მუშაკთა დამკვალთანებელია. მკითხველი ატყობს, ბოლომდე ვერ დავძლიე თემა. ყველაფერი თუ ჩვენ ვთქვით, მერე მკითხველს რაღა დავუტოვოთ წასაკითხავი? ამიტომ ყველას ვურჩევ, გულდასმით წაიკითხოს ეს დიდებული წიგნი.

**ბორის კინდელი (მიშველაძე),**  
**გაზეთი „სახალხო განათლება“,**  
**2016 წლის 20 აპრილი**

## მეგობრობა გზად და სიღად



ჩემი ორივე წიგნის („ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ და „სიტყვა მარად ცოცხლობს“) რედაქტორმა, საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრ-მა მარინე დამენიამ ადრეული ასაკიდანვე სცადა თავისი კალამი. მისი წერილები, სტატიები იბეჭდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ პრესაში. მიღწეულს არასოდეს სჯერდებოდა, მუდამ ახლის ძიებაში იყო, რამაც იქამდე მიიყვანა, რომ იგი გახდა კავკასიაში ერთადერთი „მედიამუზეუმის“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“) ფუძემდებელი. მისი გარჯა საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითა კავშირმა ჯეროვნად დააფასა და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტიკის წოდება მიანიჭა.

ჩემი და ჩემი უმცროსი კოლეგის სულიერი სამყარო და შემოქმედებითი ხედვები თანხვედრია. ჩვენი მეგობრობა 1990-იანი წლებიდან მოდის. იგი განმსჭვალულია ნდო-



ბითა და სიყვარულით. მას შემდეგ წლებმა განვლო. ჩვენი უფაქიზესი გრძნობა და უღალატობა ანთებულ კანდელს მაგონებს. 80 წლის შემოქმედს დღესაც მახსოვს მარინეს გულისხმიერება, ყურადღება და უანგარობა.

...დადგა ისეთი ჟამი, ადამიანებმა საკუთარი სულიერი სამყარო შიშვლად, უნიღბოდ წარმოაჩინეს. ისინი ამხედრდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ. დღისით, მზისით გააჩაღეს ქურდობა, ყაჩაღობა, იყო დაუნდობლობა, უმუშევრობა... მარინე კი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრია. პატრიოტული გრძნობით ანთებული იბრძვის საქართველოს ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, ტერიტორიული მთლიანობისათვის და აყალიბებს ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია „კოლხურ ნანას“.

მარინეს პიროვნების დასახასიათებლად ერთ პატარა დეტალს გავიხსენებ: ყმაწვილი გოგონა საერთაშორისო საინფორმაციო ტელე-რადიოკომპანია „ევრაზიის“ რეგიონული ფილიალის დირექტორად მუშაობდა. სამსახურში მესტუმრა და შესვენებაზე ერთად წავედით. ბოტანიკურ ბაღში სული მოვითქვით. მან უბის წიგნაკი გადაშალა და რამდენიმე საკუთარი ლექსი წამიკითხა, მერე ექსპრომტად სასოებით წარმოთქვა:

„დახეთ, ამ პატარა ყოჩივარდებს,  
ყოყლოჩინა ციციქნა თვალებს  
რა ამაყად დააცეცებს!..“

\*\*\*

„... მან გულით მატარა, ოცნებით პატარა,  
სამყარომ დიდმა რომ ვერ დამიგია...“

\*\*\*

„დედაბუნებავ, თუ დამრთავ ნებას,  
ვეამბორები შენს ცისფერ კაბას!“



საკუთარ ნააზრევს დიდი განცდით, ფაქიზი სიყვარულით გამოხატავდა....

მარინემ 2006 წლიდან დაიწყო მუშაობა წიგნზე „სამეგრელო-ზემო სვანეთის მასმედიის ისტორია და ჟურნალისტების შემოქმედებითი ცხოვრება“. უფრო მოგვიანებით, 2008 წელს, მარინეს თხოვნით, მეც ჩავერთე ამ პროექტში. წიგნის მასალების მოსაპოვებლად დავდიოდით კარდაკარ, უტრანსპორტოდ, ვხვდებოდით ვეტერან-ჟურნალისტებს, პოლიგრაფისტებს, ფოტოკორესპონდენტებს და ვაგროვებდით საინტერესო ბიოგრაფიული ხასიათის მასალებს, სურათებს... შრომამ ნაყოფი გამოიღო. ამჟამად ეს წიგნი გამზადებულია გამოსაცემად...

როდესაც მარინე თავის ფიქრებსა და გეგმებზე საუბრობს, ყველას როდი ძალუძს ჩასწვდეს მის აზრებს, რადგან იგი თითქმის არაფერს გეგმავს მხოლოდ ანმყოზე გათვლილს. იგი შორსმჭვრეტელია, თითქმის ყველა მისი პროექტი სამომავლო მიზნებს ისახავს. ამიტომ ცოტას თუ გაეგება მისი.

ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობისას გამოვლინდა, რომ ავტორისა და რედაქტორის სულიერება და სულისკვეთება შეესაბამება ერთმანეთს. ახლის ძიება, დაუღლელი შრომა ჩვენთვის ღვთის საჩუქარია.

დასასრულს მაღლობა მინდა ვუთხრა ჩემს ძვირფას მეგობარს, სულით მდიდარ ქალბატონ მარინეს, რომლის მითითებებმა, დახვეწილმა გემოვნებამ და მასალების ღრმა ცოდნამ დიდად შეუწყო ხელი ნაშრომების წიგნებად ჩამოყალიბებას.

**ავტორი.**

**29 ივნისი, 2018 წ.**

## ბოლოთქმა

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ — ბიბლიური სიბრძნეა მე-12 საუკუნის გენიოსი ქართველი პოეტის შოთა რუსთველის ეგ სიტყვები.

ღმერთსა სწადდა და ამიტომაც ათქმევინა მართალი სიტყვა ამ წიგნის ავტორს მისი ცხოვრების 80 წლის მიწურულს. წიგნის „ქალი სუსტი — ქალი ძლიერის“ გაგრძელება — „სიტყვა მარად ცოცხლობს“ — მკითხველთა მიმართ სიყვარულის გამოხატვით დაასრულა. განვლილი ცხოვრების გზაზე თავისი ჟინი, კერპი, გული და გონიერება ავტორმა დაუმორჩილა შრომას. მისი სავალი გზა კაცთა სიყვარულით, პატიოსნებითა და სიმართლითაა განათებული. ავტორი სკოლის ასაკიდანვე ეზიარა მძიმე ფიზიკურ შრომას, ღრმად ჩასწვდა მშრომელი კაცის ფიქრსა და გრძნობას, ყოფა-ცხოვრებას. ეშინოდა, თავის სულიერ ტაძარში დაუპატიჟებელ „სტუმარს“ ტალახი არ შემოეტანა. ფხიზლობდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სატანამ სცადა მისი დამორჩილება, უმანკოების წართმევა, მაგრამ ამაოდ... ბოროტება დამარცხდა და უმანკოება თვითშენირვაში გადასული, სიყვარულით დამთავრდა. იმედი აციმციმდა, სულმა შვება იგრძნო და აფხაზეთის ომს გადარჩენილ მარტოსულ ქვრივ მამაკაცზე დაქორწინდა.

„ასე მგონია, ცხოვრების მიწურულს, „ახალგაზრდა მოხუცი“ ვარ, წინ ვიყურები, ჩემი კალამი მჭრელია. ჩემს შუბლზე აზროვნების ნაოჭები იწონებენ თავს. ყველაზე ძვირფასი გრძნობა მეუღლისადმი სიყვარულია, რომელიც შემოქმედებით შრომაში მამხნევებს და ხშირად ჯანსაღ აზრებსაც მანვდის.

გმადლობთ, ბატონო ნაპო, დიდო პედაგოგო, დიდო ადა-მიანო!“ — ასე ამთავრებს ავტორი თავის სათქმელს.

# სარჩევი

პატრიარქის ლოცვა .....	3
დრო, ფაქტები, მოვლენები .....	5
საქართველოს დამოუკიდებლობა.....	7
რომ ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდეთ .....	15
მოქალაქეთა კავშირი და ედუარდ შევარდნაძე, 1992-2003 წლები .....	16
ათასობით მეზრძოლისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მამულს შენიშნული სიცოცხლე .....	19
ქართველთა და აფხაზთა ძმობა და მტრობა.....	22
თურმე პრეზიდენტს „არ სცოდნია“ ზუგდიდელი დევნილების გასაჭირი .....	23
ივანე მოროხია.....	31
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი, 2003-2012 წლები .....	33
<b>„დემოკრატიული“ ტირანიის 9 წელიწადი</b>	
„მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცაათა“ .....	39
2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენები.....	46
ხელისუფლების ზენოლა მასმედიაზე.....	49
წართმეული და გაფლანგული მილიონები .....	58
რეჟიმი უნილბოდ .....	62
საკაშვილის დანაშაული და სასჯელი.....	65
„ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი, 2012-2018 წლები....	67
100 წელი საქართველოს დამოუკიდებლობიდან .....	70
9 აპრილი თუ 26 მაისი.....	74
2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.....	83
ყველა ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს .....	89
საქართველოს მიწა ეკუთვნის ქართველ ერს .....	90

ალვადგინოთ შელახული ღირსება! .....	92
ლაზური ენის მსგავსად მეგრულსაც ემოქერება	
გაქრობის საფრთხე .....	96
მსოფლიო ცივილიზაცია ბობოქრობს, საკითხავია, საით წავა და რა ბოლო ექნება? .....	104
მთავრობამ გაიხსენოს წარსული, დაეყრდნოს აწმყოს, იფიქროს მომავალზე .....	106
„საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“ („მედიამუზეუმი“) .....	108
ზვიად გამსახურდია — 80 .....	111
ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავსაყოფად .....	116
ექიმი — მოწოდებით, ცხოვრების წესით, სულისკვეთებით .....	118
ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს .....	120
შეხვედრა ჯუმბერ ლეჟავასთან .....	123
მერაბ ქვარაია — ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი....	124
ლაშა გვასალია .....	126
არის წარსული და მომავალი .....	128
საზოგადოება „ზუგდიდელი“ .....	130
სახალხო ზეიმი „ზუგდიდობა“ .....	132
2014 წლიდან განხორციელებული პროექტები.....	134
2018-2021 წლების გეგმა .....	136
ბიოგრაფია.....	139
განცხადება.....	141
დაუვიწყარი შეხვედრა .....	144
სამეგრელოს ჟურნალისტური მატრიანე.....	149
მეგობრობა გზად და ხიდად .....	151
ბოლოთქმა .....	154